

მექსიკა მორიგი სკანდალისათვის ემზადება

A2



ექს მისის მაკარტნის სიგიჟე

A8



ტრაბახა იტალიელები და სტუმართმოყვარე გერმანელები

C1

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 4 ივლისი, 2006 წელი. №147 (1299)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## ამბები

### ცესკო-ს დაფინანსება იზრდება

დაახლოებით ორი კვირის წინ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებისთვის, დამატებით, ჯერ 6 მილიონი ლარის გამოყოფა მოითხოვა, შემდეგ კი - 2 მილიონის.

A2

## სამართალი

### გიორგი გვიჩიანი "სვანური წესით" გასამართლებას ითხოვს

"ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთაში ბრალდებული გიორგი გვიჩიანი "სვანური წესით" გასამართლებას ითხოვს. ამის შესახებ განცხადება განსასჯელმა გიორგი გვიჩიანმა თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე გააკეთა.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 4/07 | 5/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 23 |
| ბათუმი | 22 | 26 |
| სოხუმი | 25 | 26 |
| ქუთაისი | 23 | 28 |
| გორი | 18 | 22 |
| თელავი | 19 | 22 |
| ონი | 14 | 17 |
| ზუგდიდი | 25 | 30 |
| ახმეტა | 20 | 22 |
| სამტრედია | 24 | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7720 |
| ევრო | 2.2623 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2685 |
| რუბლი | 0.0659 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
რევიუ A 5
ტენდერი A 6
ტენდერი A 7
რევიუ A 8

# სუვერენიტეტი, დემოკრატია და სულიერება

## სულიერებაზე დაფუძნებული რუსული გლობალიზაციის მოდელი

სოფო ბუკია

*"დიდი რვიანის" სამიტის მოახლოებასთან ერთად, რუსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურობა შეიმჩნევა. ოპოზიცია კრემლს საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებით ემუქრება, რომელსაც "ანტისამიტიც" კი შეარქვეს. პროკრემლისეული პოლიტოლოგები კი ინტელექტუალურ ფორუმებს აწყობენ, სადაც რუსული პოლიტიკის უპირატესობაზე საუბრობენ. დასავლურთან შედარებისთვის, ორი პოლიტიკური სტილის მთავარ საზომად რუსეთის პოლიტოლოგიის მამებმა "სულიერება" აირჩიეს, რომელიც, თურმე, დღეს და გადმოდღეს რუსეთში და ფაქტობრივად მოკვდა დასავლეთში.*

დასავლელი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ითხოვს, რომ 15-17 ივლისს სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილი "დიდი რვიანის" სამიტის დღის წესრიგში რუსული დემოკრატიის შეფასების საკითხი დადგეს.

რამდენიმე დღის წინ ბრიტანეთის ავტორიტეტულმა კვლევითმა ცენტრმა Foreign Policy Centre (ამ ცენტრს თავად პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი კურირებს) დაასრულა მუშაობა მოხსენებაზე, რომელიც სპეციალურად "დიდი რვიანის" სამიტისთვის მომზადდა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსეთმა გადაუხვია დემოკრატიულ სტანდარტებსა და ადამიანის უფლებათა დაცვის აღიარებულ ნორმებს; რომ რუსეთი არ აკმაყოფილებს "დიდი რვიანის" წევრობისთვის საჭირო კრიტერიუმებს და, მით უმეტეს, არ იმსახურებს ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეობას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საბაჟო გადასახადები

## რძის ფხვნილი ნულოვანი საბაჟო განაკვეთით არ დაიბეგრება

B

თინა შავაძე

*საქართველოს პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს "საბაჟო გადასახადის შესახებ". პარლამენტსა და მთავრობას შორის გამოთქმული შენიშვნები ასახულია შეთანხმების ფურცელში. კერძოდ, დოკუმენტში საუბარია, თუ რა სახის პროდუქციაზე შემცირდება საბაჟო გადასახადის განაკვეთი 0 პროცენტამდე. კანონპროექტზე მსჯელობა მიმდინარე კვირას გაგრძელდება და მისი მოსმენა პარლამენტის რიგგარეშე სესიებზეა დაგეგმილი.*



# დიალოგი ჯერ არ შემდგარა

## ქართული მხატვრობის ანთოლოგია ერევანში

სოფო კილასონია

ივნისის ბოლოს, ერევნის ნაციონალური გალერეის სივრცეში ერთი მეტად მასშტაბური და საინტერესო გამოფენა დაიხურა. თითქმის ერთთვიანი ექსპოზიცია ქართველი მხატვრობის ანთოლოგიას წარმოადგენდა. გამოფენის ერევანში წარდგენის ინიციატორი საქართველოს ელჩი სომხეთში, ბატონი რევაზ გაჩეჩილაძე, ექსპოზიციის ავტორები კი ეროვნული გალერეის ხელმძღვანელობა, ქალბატონი ქეთევან კორძახია და ბატონი დავით ანდრიაძე გახლავთ.

**დავით ანდრიაძე**: ერევნის ნაციონალურ გალერეაში 26 მაისთან დაკავშირებით გაიხსნა ქართველ მხატვართა გამოფენა, ქართული მხატვრობის რეტროსპექტივა. იდეის ავტორმა, რეზო გაჩეჩილაძემ ჩვენ მოგვანდო ეს საქმე. ამ გამოფენას ახლდა პროტოკოლით გათვალისწინებული ელჩის მიღება, ცხადია იყო მთელი მთავრობა, ჩვენი პრეზიდენტის გარდა.

გაგრძელება A5 გვერდზე



ლევან მინდიაშვილი - "ფიქრი"

# დასავლური გეოპოლიტიკა - ინფანტილური აურზაური

*გთავაზობთ ცნობილი ანალიტიკოსის სერგეი კარაგანოვის სტატიის თარგმანს, რომელშიც კარგად ჩანს რუსეთის დამოკიდებულება ნატო-ს გაფართოების მიმართ.*

სერგეი კარაგანოვი

თუ ზოგი ამერიკელი ლიდერის, ნატო-ს წარმომადგენლების განცხადებებს გადავიკითხავთ, მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ ისლამისტი და სხვა ტიპის რადიკალები კი არა, გარეგნულად საკმაოდ ცივილიზებული ფიგურებიც კი თანდათან კარგავენ რეალობასთან კავშირს და ძალზე არარაციონალურად მოქმედებენ.

დღევანდელ მსოფლიოში განვითარებული მოვლენების პროგნოზირება და მართვა სულ უფრო რთული ხდება. განსაკუთრებით კი, რთულია ეს იმ ადამიანებისთვის და ქვეყნებისთვის, ვინც მართვას იმთავითვე მიჩვეულია.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში დაშვებული შეცდომები საკმაოდ ძვირი გვიჯდება. დაშვებულია ის, რომ სამ ქვეყანას - პაკისტანს, ინდოეთს და ჩრდილოეთ კორეას ბირთვული იარაღი აქვთ. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ მომავალში პოლიტიკური და მორალური არგუმენტების მოქმედება შეიზღუდება. საქმეში დაბომბვები და ქრთამი ჩაერთვება.

ცივილიზებული დიალოგისა და მოდერნისტული ძალების მხარდაჭერის ნაცვლად, ახლო აღმოსავლეთში სრულიად საპირისპირო კურსი გატარდა. ერაყზე დარტყმამ საკმაოდ არასასიამოვნო დესპოტური რეჟიმი კი დაამსხვრია, მაგრამ მის ადგილას დასავლეთის მიმართ სიძულვილის ტალღა წარმოშვა. დასავლეთის წინააღმდეგ განეწყვნენ ისინიც კი, ვისაც სადამი სძულდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პოლიტიკაში გადაზრდილი აკადემიური კონკურსი

*უნივერსიტეტში დაძაბული ვითარებაა. პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე გაუქმებულმა დიდმა სამეცნიერო საბჭომ გუშინ დახურული სხდომა ჩაატარა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლად პროფესორი ჯემალ მებონია აირჩია. მანამდე, ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორები ჯემალ მებონია და თენგიზ სანაძე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ფიზიკის ფაკულტეტზე სისტემურ ცვლილებებთან დაკავშირებით. "24 საათი" უკვე წერდა რომ ორშაბათიდან სამუშაო ჯგუფების შეხვედრა უნდა დაწყებულიყო, რომელიც ცვლილებების პროექტს მოამზადებდა. თუმცა მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა.*

ეკა ჭანაშია

დიდი სამეცნიერო საბჭოს დახურულ სხდომაზე უნივერსიტეტის ავტონომია აღდგენილად გამოცხადდა და საბჭოს წევრები, ჯემალ მებონიასთან ერთად, რექტორატის ფლიგელისკენ დაიძრნენ. გადალახეს დაცვის კორდონი, შევიდნენ რექტორის კაბინეტში და გია ხუბუას გააცნეს დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება. ჯემალ მებონიამ გია ხუბუას კაბინეტის დატოვება მოსთხოვა. პასუხად გია ხუბუამ განუცხადა, რომ იგი არის კანონიერი რექტორი და დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრებს კაბინეტის დატოვება მოსთხოვა. მოთხოვნა არ შესრულდა. ამის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში საპატრულო პოლიციის 40-მდე თანამშრომელი გამოჩნდა. მათ ჯერ ჟურნალისტებს დაატოვებინეს რექტორის კაბინეტი და იგივე მოსთხოვეს საბჭოს წევრებს. ბევრი პროფესორი დაემორჩილა მოთხოვნას, ხოლო ვინც არ დაემორჩილა, პატრულმა ოთახიდან გამოიყვანა.

ამ დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ფლიგელში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები - დავით გამყრელიძე, გუბაზ სანიკიძე, კოკო გამსახურდია, ირაკლი მელაშვილი, ირაკლი იაშვილი და მამუკა კაციტაძე გამოჩნდნენ. საპატრულო პოლიციის ზეწოლით, დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრებმა და მათმა მხარდამჭერებმა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს, ხოლო პოლიტიკოსები სათათბიროდ 93-ე აუდიტორიაში ჩაიკეტნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გირგვლიანის პროცესი კულმინაციას უახლოვდება

*გირგვლიანის ოჯახის გულშემატკივრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, სანდრო გირგვლიანის პროცესის მხარდასაჭერად თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინაც შეიკრიბნენ. ისინი სასამართლოს ეზოში მშვიდობიანი აქციის გამართვას გეგმავდნენ, თუმცა, უამინდობის გამო, იძულებულნი გახდნენ, შენობაში შესულიყვნენ.*

თამარ კაციტაძე

ცნობილი სახეების სასამართლოს შენობაში გამოჩენისთანავე სიტუაცია დაიძაბა. სასამართლოს მანდატური, რომელიც ხელმძღვანელობის ბრძანებას ემორჩილება და საკუთარ უფლებებშიც ნაკლებად ერკვევა, პროცესზე დასწრების მსურველთ სასამართლოს შენობის მეორე სართულზე ასვლის უფლებას არ აძლევდა. ამის გამო, სამართლებრივ საკითხებში კარგად გათვითცნობიერებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში მათ კანონის იმ უზენაეს მოთხოვნებს უხსნიდნენ, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს დამცველებს უფლება არ აქვთ, ნებისმიერი მოქალაქე, მით უმეტეს - დეპუტატები, სასამართლოში არ შეუშვას. საბოლოოდ მანდატურებმა "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლები სასამართლო დარბაზში შეუშვეს. თუმცა, მორიგი ინციდენტი თინა ხიდაშელისა და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარის ანა დოლიძის გამოჩენას მოჰყვა.

**"ამ ხელისუფლებისთვის ჩვენ პოტენციური პრობლემა ვართ, მათ ჩვენი ნეიტრალიზაცია სურთ, ამისათვის კი კარგი გზა იპოვეს - ოდნავ ხმამაღალი ლაპარაკისთვის შეუძლიათ ყველა ციხეში გაგვიშვან",** - განაცხადა თინა ხიდაშელმა, რომელიც თანმხლებ პირებთან ერთად საბოლოოდ სასამართლოს მეორე სართულზეც ავიდა და სასამართლო პროცესზეც შეუშვეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# დასავლური გეოპოლიტიკა - ინფანტილური აურზაური

პირველი გვერდიდან

მართალია, ანტიამერიკული კოალიციების შექმნა დაიწყეს არა მხოლოდ ახლა აღმოსავლეთში, არამედ ლათინურ ამერიკაშიც. ამ დროს დასავლეთი პოლიტიკოსების ნაწილმა რუსეთთან და ჩინეთთან ურთიერთობების გამწვავება გადაწყვიტა. როგორც ჩანს, ეს იმისთვის დასჭირდათ, რომ ნაწილობრივ აღედგინათ ატლანტიკური სოლიდარობა და, ამასთან, კიდევ უფრო დაესუსტებინათ ევროპა. მაგალითად, აქტიურად ალაპარაკდნენ პოლონეთში, რუსეთის საზღვართან, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგების თაობაზე. ეს, თითქოს, ტერორისტული რაკეტების მოსაგერიებლად იყო საჭირო, რომლებიც, სინამდვილეში, პოლონეთამდე ვერც კი აღწევს.

ასევე ბევრს საუბრობენ ავსტრალიის, სამხრეთ კორეის, იაპონიისა და ახალი ზელანდიის ნატო-ში გაწევრიანებაზე. ჩამოთვლილთაგან არც ერთ ქვეყანას ნატო არ სჭირდება, მაგრამ PATO-ს, CENTO-ს, SEATO-ს და დიდი ხნის წინ დავიწყებული სხვა პაქტებისა თუ ფსევდოპაქტების აღორძინების იდეა კვლავაც დღის წესრიგში დგება.

ამასთან, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე გაკეთდა განცხადება ნატო-ში გაწევრიანებისთვის ისეთი ქვეყნების მომზადების შესახებ, როგორებიცაა ხორვატია, მაკედონია, ალბანეთი... ეს ქვეყნები არანაირ კრიტერიუმებს არ შეესაბამებიან ნატო-ს წევრობისთვის [illegible]დებულო სტანდარტებს.

და ყველაზე მთავარი: ვაშინგტონსა და კიევში საკმაოდ სერიოზულად საუბრობენ უკრაინის დაჩქარებულ გაწევრიანებაზე ნატო-ში, რაც 2008 წლისთვის უნდა მოხდეს. უკრაინაში ნატო-სკენ ისწრაფვის ის, ვისაც საკუთარი ძალებისა და უკრაინული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის არ სჯერა. ასევე ისინი, ვისაც რუსეთის კონკურენტუნარიანობა აშინებს და ამიტომ ცდილობს, საკუთარი ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური ჯაჭვებით აშშ-ს მიაბას.

კარგად იგრძნობა, რომ ბევრს არ ესმის, თუ რა შეიძლება მოჰყვეს უკრაინის მიმართულებით ნატო-ს გაფართოებას. მაგალითად, ძალზე საეჭვოა, რომ უკრაინა რუსეთთან დემარკირებული საზღვრის გარეშე დარჩენას შეძლებს (დღეს რუსეთ-უკრაინის საზღვარი, ფაქტობრივად, მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და კორუმპირებულ ჩინოვნიკებს კვებავს). და თუკი ნამდვილი საზღვრის შექმნას შეეცდებიან, მაშინ გარანტირებულია პრობლემები მოსახლეობისთვის. მაშინ ნებისმიერი გორაკი სტრატეგიული მნიშვნელობის გახდება, ყველა ხევი - ისტორიული მნიშვნელობის. ერთი გოჯი მიწის გამო ბრძოლას დაიწყებენ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა შეიძლება მოჰყვეს ამგვარ დაპირისპირებას - ალბათ, სისხლი. მილიონობით ოჯახი გაიყოფა. მილიონობით ადამიანი, ვინც საზღვრის მეორე მხარეს სამუშაოდ წასულა, ლუკმა-პურის გარეშე დარჩება.

ესმით კი ეს ყველაფერი მათ, ვინც უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას მიესალმება? ზოგ მათგანს ესმის, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა ამ საკითხზე არ დაფიქრებულა. უმრავლესობას დაავიწყდა უახლესი ისტორიის მწარე გაკვეთილები.

ცხადია, რუსეთი სერბეთი არ არის. რუსეთი ნატო-ს შემდგომ გაფართოებას გადაიტანს. თუმცა, იგი დროებით დასუსტდება და ანტიდასავლური კავშირების ბაზირების ცენტრი გახდება. ბევრ რუს პოლიტიკოსს მოეწონება სტატუს-კვო საზღვრის მიღმა. შემდეგ სტატუს-კვო საზღვრის გასწვრივ ნატო-ს საბრძოლო ფორმირებების განლაგება დაიწყება და ... ფოს როლის თამაში. იმედი მაქვს, ისინი გონივრულნი არ დაუვიწყებიან.

წარმოუდგენლად დიდი ზარალი მიადგება უკრაინას. უკრაინა დაკარგავს სასიცოცხლო მნიშვნელობის, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება არცერთ ისე იდეალურ პარტნიორს, რომელსაც, მიუხედავად ყველაფრისა, არასოდეს მიუყენებია მისთვის ზიანი და არასოდეს უთამაშია მის წინააღმდეგ.

დაზარალდება დასავლეთიც. რუსეთ-უკრაინის საზღვართან ხელოვნურად შექმნილი არასტაბილურობა საბოლოოდ დაასამარებს უმსხვილესი ზესახელმწიფოების კავშირის შექმნის იდეას. კავშირი, რომელიც მოწოდებული უნდა იყოს ახალი საფრთხეების წინააღმდეგ საბრძოლველად, არ შედგება. მის ნაცვლად კი გაჩნდება ბლოკების დაპირისპირება. და თუ ეს მოხდება, ყველა წააგებს - ყველა, ტერორისტებისა და რადიკალების გარდა, ცხადია.

ნატო-ს ამგვარი სახიფათო გაფართოება უკრაინის მიმართულებით არ უნდა დავუშვათ. იმედი ვიქონიოთ, რომ რაციონალიზმი და თვითგადარჩენის ინსტინქტი გაიმარჯვებს.

*პროექტი სინდიკატი, 2006წ.*

# პრემიერ-მინისტრი აზერბაიჯანში მიემგზავრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი 5 ივლისს, ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მიემგზავრება.

ვიზიტის ფარგლებში, ზურაბ ნოღაიდელი ჰეიდარ ალიევის საფლავს გვირგვინით შეამკობს. მოგვიანებით, გაიმართება ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არტურ რასი-ზადესთან. ვიზიტის ბოლოს ნოღაიდელი შეხვედრას აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან გამართავს. სავარაუდოდ, ზურაბ ნოღაიდელი "შაჰ-დენიზის" პროექტიდან საქართველოს წილის გაზრდის თაობაზე მოლაპარაკებებს გამართავს მოლაპარაკებებს.

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობის მიღებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს საქართველოს მთავრობა "შაჰ-დენიზის" კონსორციუმთან და აზერბაიჯანის მთავრობასთან ერთი წელია აწარმოებს. გარკვეული შეთანხმება მხარეებს შორის უკვე მიღწეულია და მთავრობა იმედოვნებს, რომ ახალი წლიდან საქართველო განსაზღვრულზე მეტი გაზის მიღებას შეძლებს.

ადრე მიღწეული შეთანხმების თანხამად, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის ტრანზიტიდან საქართველოს წილი 5 პროცენტია, კიდევ 5-პროცენტს საქართველო შეღავათიან ფასად (1000 კბმ 55 დოლარად) მიიღებს; 2007-2008 წლებში, საქართველოს ამ მილსადენიდან წელიწადში სულ 200-250 მილიონი კუბური მეტრი აირის მიღება შეუძლია, 2011 წლიდან კი 800 მილიონი კუბური მეტრის.

ბოლო მონაცემებით, საქართველოს გაზის მოხმარება წელიწადში 1,2 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს, უახლოეს მომავალში კი მოხმარება 2-3 მილიარდამდე გაიზრდება. სწორედ ამიტომ, საქართველო ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან დამატებითი მოცულობის აირის მიღებას ითხოვს. საქართველო ცდილობს დაითანხმოს კონსორციუმი, რომ 2007-2012 წლებში საქართველოს წილი ყოველწლიურად 1,5 მილიარდი კბმ აირს შეადგენდეს. პრემიერ-მინისტრი საქართველოში 5 ივლისს საღამოს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

# ყირიმში წყალდიდობას მსხვერპლი მოჰყვა

კოკისპირული წვიმით გამოწვეულ წყალდიდობას ყირიმში ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ორი ადამიანი კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბელგოროდის რაიონში ასობით სახლი დაიტბორა, დაზიანდა ავტომაგისტრალები და ხიდები. ათასობით ადამიანი უსახლკაროდაა დარჩენილი. სააგენტო ძრია ნოვოსტის" ცნობით, სინოპტიკოსები ამინდის გაუარესებას ვარაუდობენ.

წუხელ სტიქიამ ბულგარეთიც დააზარალა. პოპულარულ კურორტ მზიანი ნაპირის ბურგასას რაიონიდან ტურისტების ევაკუაცია დაიწყო. დატბორილია 20-მდე სასტუმროს ქვედა სართულები. საკურორტო ქალაქების ქუჩებში წყლის სიმაღლემ 50 სანტიმეტრს გადააჭარბა. აღნიშნულ რეგიონში აღარ მუშაობს ტრანსპორტი. რამდენიმე დასახლებული პუნქტი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

რუმინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებიდან 500-ზე მეტი ადამიანია ევაკუირებული. სტიქიამ 6 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 15 კი - უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. რეგიონში 2000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი დაზიანდა. რამდენიმე დასახლებული პუნქტი მთლიანად მოწყვეტილია გარემოსაგან. **მედიანიუსი**

**International School of Economics**

**მიიღეთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლება!**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ინგლისურენოვანი მაგისტრატურა.**

**საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკის, BP-ს, SIDA-ს, და სხვა დონორების დახმარებით სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია.**

**სასწავლო პროცესს წარმართავენ დასავლეთის ცნობილი უნივერსიტეტების პროფესორები.**

**იჩქარეთ, საბუთების მიღება 15 ივლისამდე.**

**მისამართი: თსუ I კორპუსი, ოთახი 220, ტელ. 22 11 17. www.iset.tsu.ge**

**ღია კარის დღე გაიმართება 11 ივლისს, 17 საათზე, თსუ I კორპუსის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში.**

# პოლიტიკაში გადაზრდილი აკადემიური კონკურსი

პირველი გვერდიდან

გოგი გოგოლაშვილი, უნივერსიტეტის პროფესორი: **"ჩვენ მცირე წინააღმდეგობა შეგვხვდა რექტორის მისაღებთან, რომელიც წარმატებით გადავლახეთ და შევედით რექტორის კაბინეტში. იქ თათბირობდნენ გია ხუბუა, ვანო ბოკერია, დათო აფრასიძე და დათო კერესელიძე. ხუბუას გავაცანით დიდი სამეცნიერო საბჭოს დადგენილება და ჯემალ მებონიამ მას კაბინეტის დატოვება მოსთხოვა, რაზეც გია ხუბუას არ აღმოაჩნდა არანაირი არგუმენტი. იგი იყო სრულიად გაოგნებული, ისევე როგორც ყველა ის პირი, ვინც მასთან კაბინეტში იმყოფებოდა. ხუბუამ მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, რომ იგი არის პრეზიდენტის მიერ დანიშნული და კაბინეტს არ დატოვებს. ამის შემდეგ კაბინეტში შემოვიდა პატრული."**



ამბოხებული პროფესურა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კაბინეტში.

ინტერპრესნიუსი

დავით აფასიძე, სოციალურ მეცნიერებათა და პოლიტოლოგიის ფაკულტეტის დეკანი: **"რექტორის მოადგილის კაბინეტში ვისხედით - მე, ნინო ჩიქოვანი - ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი ვანო ბოკერია და პროგრამებს განვიხილავდით. შემოვარდა ეს ხალხი, შევიდნენ პირდაპირ გიას კაბინეტში, 30-მდე იყვნენ. ორი ჩემთვის უცნობი ადამიანი, ისინი არიან უნივერსიტეტის თანამშრომლები, იყვნენ ნასვამები. გოგოლაშვილი და სანაძე ბოლო ხმაზე გაყვიროდნენ, რომ ჩვენ ავიღეთ უნივერსიტეტში ხელისუფლება და შენ გადაგაყენეთო. გია ხუბუამ მათ აბსოლუტურად მშვიდად - ისე, რომ არ დაურღვევია ეთიკის ნორმები - მათ განუცხადა: მე ვარ პასუხისმგებელი წესრიგზე, დატოვეთ კაბინეტი! წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული გავხდები, აღვკვეთო კანონდარღვევაო."**

საპატრულო პოიციამ უნივესრიტეტში ყველა შესასვლელი ჩაკეტა. მოგვიანებით გაიხსნა სააქტო დარბაზიდან გასასვლელი. მოგვიანებით სააქტო დარბაზში შეკრებილ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრებსა და მათ მხარდამჭერებს პოლიტიკური პარტიები შეურთდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ, საგანგებო ბრიფინგზე განცხადება გააკეთა.

**"მივმართავ პოლიციას, დაისაჯოს ინციდენტის ყველა მოთავე. ეს იყო ეთიკური და აკადემიური სტანდარტების უხეში დარღვევა. მათ გადააბიჯეს კანონს და ადამიანურ ღირსებას. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, სტუდენტებს არ გავაკაროთ ის ადამიანები, ვინც თავს უფლება მისცა და თავის კოლეგებს შეურაცხმყოფელი საქციელითა და სიტყვებით დაუპირისპირდა"**, - განაცხადა ლომაიამ.

განათლების მინისტრმა აღნიშნა, რომ შს სამინისტროს უკვე მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ, რათა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე იმ პირების წინააღმდეგ, ვინც კანონი დაარღვია. მისი განმარტებით, დღეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მცირე ჯგუფმა, ოპოზიციის ხელშეწყობით, ძალის გამოყენებით უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს გია ხუბუას მისივე კაბინეტში საფრთხე შეუქმნა და მძიმე მორალური ზიანი მიაყენა.

როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის არჩევის საკონკურსო კომისიის შემადგენლობები უკვე დამტკიცდა. ოფიციალური ინფორმაციით, წარდგენილია 1888 განაცხადი. ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე 180 აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად 798 განმცხადებელი იბრძვის. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 159 ვაკანსიაა, რომელზეც პრეტენზიას 371 მსურველი აცხადებს. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე წარდგენილ 592 განაცხადის ავტორი 155 აკადემიურ თანამდებობაზე უნდა გადანაწილდეს, ხოლო მედიცინის ფაკულტეტზე 80 აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად 127 განმცხადებელი იბრძვის.

საკონკურსო კომისია შემოსული განაცხადების შესწავლას მომავალი კვირიდან დაიწყებს.

მათთვის კი, ვინც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზშია გამაგრებული, აკადემიური პროცესები დამთავრდა და პოლიტიკური დაიწყო.

# ცესკო-ს დაფინანსება იზრდება

*დაახლოებით ორი კვირის წინ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებისთვის, დამატებით, ჯერ 6 მილიონი ლარის გამოყოფა მოითხოვა, შემდეგ კი - 2 მილიონის.*

ნათია მსხილაძე

5 ივლისს პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტში 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით შემაჯამებელი სხდომა გაიმართება. კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი კოვზირიძის განცხადებით, შემაჯამებელ სხდომაზე თავს მოუყრიან ყველა ცვლილებას. საბოლოოდ, ბიუჯეტის პროექტი შენიშვნების გასათვალისწინებლად მთავრობას უკან გადაეგზავნება.

ცესკო-ს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩასატარებლად თავიდან 9 მილიონ 54 ათას 200 ლარი გამოუყვეს. ამ თანხაში შედის ადმინისტრაციის ხელფასებიც.

დაახლოებით ორი კვირის წინ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დამატებით 6 მილიონი ლარი მოითხოვა, რაზეც სიტყვიერი თანხმობა მიიღო. ამასთანავე, საარჩევნო უბნების დამტკიცების შემდეგ, ცესკო დამატებით 2 მილიონ ლარს მიიღებს. აღნიშნული თანხა საარჩევნო უბნების მოწყობას მოხმარდება. **"2 მილიონი ლარი საოლქო კომისიების მივლინებებს, ტრანსპორტის ხარჯებს, რეკლამას, ბიულეტენების დაბეჭდვას, უბნებში ვიდეოთვალის დამონტაჟებას, ცხელი ხაზის ამოქმედებასა და სხვა წვრილმან საკითხებს მოხმარდება,"** - აღნიშნა ცესკო-ს თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა.

აღნიშნულ თანხაში შევა ცხელი ხაზის ამოქმედება, რომლის მეშვეობითაც არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეეძლება ნებისმიერ მოქალაქეს. ცხელ ხაზს მოემსახურებიან აზერბაიჯანული და სომხური ენების მცოდნე ოპერატორი და იურისტი.

გარდა იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩასატარებლად გარკვეულ ფინანსური ცვლილებები განხორციელდება, საარჩევნო კოდექსში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების თანახმად, რომელიც პარლამენტმა პირველ ივლისს დაამტკიცა, 2008 წლამდე შუალედური არჩევნები აღარ ჩატარდება.

სწორედ ამ ცვლილების თანახმად, ხაშური მაჟორიტარის გარეშე დარჩება, რადგან ამ რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ვალერი გელაშვილს უფლებამოსილება დაახლოებით ერთი წლის წინ შეუწყვიტეს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლონლაძე აცხადებს, რომ საარჩევნო კოდექსში ზემოაღნიშნული ცვლილებების შეტანის რეკომენდაცია საქართველოს ხელისუფლებას ევროკავშირის ექსპერტებმა მისცეს. ალექსანდრე ლონლაძის განმარტებით, შუალედური არჩევნების ჩატარება ძალზე ძვირი ჯდება და სერიოზულ დარტყმას აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს. უკანასკნელი შუალედური მაჟორიტარული არჩევნები, რომელიც 2005 წლის სექტემბერში 5 საარჩევნო ოლქში გაიმართა, სახელმწიფოს 2 მილიონ ლარამდე დაუჯდა.

# მექსიკა მორიგი სკანდალისათვის ემზადება

## საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული "კანდიდატები" პოზიციების დათმობას არ აპირებენ

თეა მაისურაძე

მექსიკაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თუმცა არჩევნებში წარმოდგენილი სამი კანდიდატურიდან ორი, ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორი და ფილიპ კალდერონი თავს გამარჯვებულებად მიიჩნევენ და თავიანთი პოზიციების დათმობას არ აპირებენ. ამგვარი ინციდენტი ლოპეს ობრადორისა და ფილიპ კალდერონის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობაში მცირე სხვაობამ გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ანდრეს მანუელ ლოპესი (დემოკრატიულ რევოლუციური პარტია), რობერტო მადრაზო (ინსტიტუციურ რევოლუციონისტური პარტია) და ფილიპ კალდერონი (ეროვნული მოქმედების პარტია) იღებდნენ.

მექსიკის საარჩევნო კომისიის მიერ ჯერჯერობით მხოლოდ ხმათა 44 პროცენტია დათვლილი. ამ მონაცემების მიხედვით, კალდერონმა 38 პროცენტი, ლოპეს ობრადორმა 36 პროცენტი, ხოლო რობერტო მადრაზომ კი ხმათა მხოლოდ 19 პროცენტი მიიღო.





ჭერჭერობით გაურკვეველია, ვინ იქნება მექსიკის მომავალი პრეზიდენტი.

მექსიკის საპრეზიდენტო არჩევნები კვირას გაიმართა და მასში მონაწილეობა 103 მილიონი მექსიკელიდან 71-მა მილიონმა ამომრჩეველმა მიიღო. საყურადღებოა ისიც, რომ ეს პირველი არჩევნები იყო, როდესაც აშშ-ში მცხოვრებ მექსიკელებს ხმის მიცემის შესაძლებლობა მიეცათ.

არჩევნებმა ყოველგვარი ინციდენტების გარეშე ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით 2 ადამიანის მკვლელობას, რომლებიც ერთ-ერთ საარჩევნო უბანში მუშაობდნენ და მოკლულ იქნენ ამ უბნების გახსნის შემდეგ, თუმცა სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციით, ამ ადამიანების მკვლელობას არანაირი კავშირი არა აქვს საპრეზიდენტო არჩევნებთან.

ფედერალური საარჩევნო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ლუის კარლოს უგალდემ, კვირას საღამოს განაცხადა, რომ ლოპეს ობრადორსა და ფილიპ კალდერონის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობაში ძალიან მცირე სხვაობაა. მისივე თქმით, ხმების ოფიციალური დათვლა ოთხშაბათს დაიწყება და შედეგები აღნიშნული პროცედურის დასრულებისთანავე გახდება ცნობილი. ამ განცხადების შემდეგ, ლოპეს ობრადორი და ფილიპ კალდერონი სახელმწიფო ტელევიზიით გამოვიდნენ და თითოეული მათგანი ცდილობდა მოსახლეობის დარწმუნებას თავის უპირატესობაში.

პოპულისტმა ლოპეს ობრადორმა, რომელსაც ძირითადად მექსიკის გაჭირვებული ფენა უჭერს მხარს, ტელევიზიის საშუალებით მიმართა მოსახლეობას და თავის მომხრეებს გამარჯვება მიულოცა: **"ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მექსიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩვენ გავიმარჯვეთ"**. მან ასევე განაცხადა, რომ ის პატივს სცემს მექსიკის ყველა სახელმწიფო ორგანოს და მათი მხრიდანაც იგივეს მოითხოვს. ლოპეს ობრადორმა მოწინააღმდეგეებს მოუწოდა, რომ ეღიარებინათ სამართლიანი არჩევნების შედეგები: **"ჩვენ მოვახდინეთ ტრიუმფი და გავიმარჯვეთ"** - განაცხადა მან.

ეროვნული მოქმედების პარტიის წარმომადგენელმა, ფილიპ კალდერონმა, რომელიც პრეზიდენტ ვისენტე ფოქსის პოლიტიკის გამგრძელებლად არის მიჩნეული, განაცხადა: **"ჩვენი გამარჯვება გარდაუვალია და ეს სულ ცოტა ხანში გახდება ყველასათვის ცნობილი"**. ამავდროულად, რევოლუციონერი დემოკრატი ლოპესი დამაჯერებლად აცხადებს, რომ მას ხელთ აქვს მისი გამარჯვების დამამტკიცებელი ყველა დოკუმენტი: **"სხვებმა პატივი უნდა სცენ ჩვენს ტრიუმფალურ გამარჯვებას"**.

არჩევნებში მონაწილე მესამე კანდიდატი, რობერტო მადრაზო, რომელიც ინსტიტუციურ-რევოლუციონისტურ პარტიას წარმოადგენს, მიღებულ ხმათა რაოდენობით მესამე ადგილზე გავიდა. ინსტიტუციურ-რევოლუციონისტური პარტიის წარმომადგენლები "გამარჯვებულ კანდიდატებს" წესრიგის დაცვისაკენ მოუწოდებენ. მათი ლოზუნგი ასეთია: **"ფრთხილად იყავით... თქვენ, შესაძლოა, ქვეყნის სტაბილურობა საფრთხეში ჩააგდოთ"**.

საყურადღებოა, რომ ლოპესისა და კალდერონის წინასაარჩევნო კამპანია ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ლოპეს ობრადორი მოსახლეობას მილიონობით ახალ სამუშაო ადგილს და აშშ-ში მექსიკელთა არალეგალური იმიგრაციის საკითხის გადაწყვეტას, ხოლო კალდერონი კი უმუშევართა პრობლემების მოგვარებასთან ერთად, "ფოქსიზმის" გაგრძელებას ჰპირდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მექსიკამ არჩევნების მშვიდობიანად და სამართლიანად ჩატარებისათვის დაახლოებით 10 მილიონი ამერიკული დოლარი დახარჯა, სკანდალი ალბათ გარდაუვალია. საპრეზიდენტო არჩევნებში "გამარჯვებული კანდიდატები" პოზიციების დათმობას არ აპირებენ. ამრიგად, ვითარების დაძაბვა მექსიკისათვის არცთუ ისე სახარბიელოა, რადგან ეს ზიანს მიაყენებს მის ეკონომიკას და აქ არსებულ ისედაც არამყარ დემოკრატიას.

მექსიკის საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ს ყურადღების ცენტრშია. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, არჩევნებში მონაწილე სამივე კანდიდატი აშშ-სთან ურთიერთობების გაღრმავებას ერთმნიშვნელოვნად უჭერდა მხარს, თუმცა აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაციის დამოკიდებულება მექსიკის საპრეზიდენტო არჩევნებში წარმოდგენილი კანდიდატებისადმი არაერთგვაროვანია. აშშ განსაკუთრებით უარყოფითად არის განწყობილი ლოპეს ობრადორის, დემოკრატიულ რევოლუციონისტური პარტიის კანდიდატის მიმართ მისი პოპულისტური კამპანიის გამო, რომლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ზოგიერთი დეტალის გადასინჯვა და შეცვლა წარმოადგენს. აშშ-ს ასევე ძალიან აშფოთებს ის ფაქტი, რომ ანდრეს მანუელ ლოპესი მემარცხენეთა კანდიდატია და მას ისეთივე შეხედულებები გააჩნია, როგორიც ჰუგო ჩავესს ვენესუელაში და ევო მორალეს ბოლივიაში.

მოკლედ

## მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონში გაემგზავრა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ გამთენიისას ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. საქართველოს პრეზიდენტის ვაშინგტონში ვიზიტი ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიწვევით ხორციელდება. ჯორჯ ბუშისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა თეთრ სახლში 5 ივლისს შედგება. შეხვედრაზე განიხილება საქართველოში კონფლიქტების მოგვარების, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პრობლემატური საკითხები, თანამშრომლობა ენერგოუსაფრთხოების სფეროში, ასევე საქართველოში დემოკრატიის განვითარების პერსპექტივები.

თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტი ბუში პრეზიდენტ სააკაშვილის თეთრ სახლში ვიზიტს მიესალმება. "საქართველო არის უმნიშვნელოვანესი ქვეყანა კავკასიაში და ღირებული პარტნიორი ტერორიზმთან ბრძოლაში, ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს წვლილი ერაყში" - ნათქვამია განცხადებაში. **ინტერპრესნიუსი**

## სტეფანაკერტი არაღიარებულთა "თანამეგობრობას" უერთდება

სტეფანაკერტმა სოხუმის, ტირასპოლისა და ცხინვალის მიერ დაფუძნებული "დემოკრატიისა და ხალხთა უფლებების" თანამეგობრობაში გაერთიანებისათვის მზადყოფნის სურვილის შესახებ განაცხადა. ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ჯავის რაიონის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. 14 ივნისს, სოხუმში აფხაზეთის, დნესტრისპირეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პრეზიდენტების ოფიციალური შეხვედრა გაიმართა, რომელზეც სერგეი ბაგაფშმა, იგორ სმირნოვმა და ედუარდ კოკოითმა შავიზღვისპირეთ-კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების საკითხები და კონფლიქტების მოსაგვარებლად "საგარეო საფრთხეების წინააღმდეგ ერთობლივი დაპირისპირების" შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს.

მხარეებმა სოხუმში ერთობლივი დეკლარაციას მოაწერეს ხელი, რომლითაც "დემოკრატიისა და ხალხთა უფლებების" თანამეგობრობა დაფუძნდა და მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება სამშვიდობო საქმიანობის წარმოების შესახებ. თანამეგობრობის მიზანს მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგება, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზე უარის თქმის დაუშვებლობა და მოლაპარაკებების წარმოება წარმოადგენს.

მხარეები დარწმუნებულები არიან, რომ "სამშვიდობო ინიციატივები და მისწრაფებები პოზიტიურ გავლენას იქონიებენ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე და ფართო მხარდაჭერას მიიღებენ." **ინტერპრესნიუსი**

## პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობოებმა საგანგებო შტაბი შექმნეს

პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობოთა კოალიციამ ერთობლივი საგანგებო შტაბი შექმნეს. საკოორდინაციო შტაბის მიზანია იმ პროცესებზე რეაგირება, რომელიც ქვეყანაში ბოლო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს.

დღეს გამართულ შეხვედრაზე არასამთავრობო კოალიციამ და ოპოზიციურმა პარტიებმა ყურადღება გაამახვილეს ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, კერძოდ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესი, სინდისის პატიმრებსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიის პრობლემაზე. არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" წარმომადგენელმა ნანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში განსაკუთრებული პრობლემები გაჩნდა და სამოქალაქო სექტორმა გადაწყვიტა, თავისი ძალისხმევა კიდევ უფრო გააძლიეროს.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა თქმით კი, თუ ხელისუფლება შემოდგომისთვის არ შეწყვეტს თავის უკანონო ქმედებებს და ძალადობას, ისინი დაიწყებენ უფრო ფართო მასშტაბიან საპროტესტო აქციებს იმ "ძალადობისა და უკანონობის წინააღმდეგ, რომელიც მიმდინარეობს სინდისის პატიმრების მიმართ", კერძოდ, ირაკლი კაკაბაძისა და მისი მეგობრების წინააღმდეგ, რომლების საკუთარი აზრის გამოხატვის გამო ოცდაათდღიან პატიმრობაში იმყოფებიან.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ დღეს ბრძოლა მიმდინარეობს არა ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის, არამედ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. ადამიანები, რომელიც თავის ქმედებებს ახორციელებენ უხეში, კანონსაწინააღმდეგო ძალით, ჩვენ ჩამოვაშორებთ ხელისუფლებას და ამას გააკეთებს არა რომელიმე ოპოზიციური პარტია, არამედ საზოგადოება. **მედიანიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge




# სუვერენიტეტი, დემოკრატია და სულიერება

პირველი გვერდიდან

ივნისის ბოლოს ამერიკელი სენატორების ერთმა ჯგუფმა თხოვნით მიმართა "დიდი რვიანის" წევრი-ქვეყნების ლიდერებს, სანკტ-პეტერბურგის სამიტზე მკაცრად გააკრიტიკონ რუსეთის ანტიდემოკრატიული პოლიტიკა.

მოსკოვს კარგად ესმის, რომ თუ სამიტზე კრემლის პოლიტიკას "გადაუარეს", რუსეთის, როგორც "დიდი რვიანის" თავმჯდომარე-ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას დიდი ზიანი მიადგება. საყოველთაო კრიტიკის ფონზე რუსეთს ძალიან გაუჭირდება ამა თუ იმ იდეის "გატანა". ეჭვის ქვეშ დადგება რუსეთის ინიციატივები ენერგეტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში. და რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აისახება 2008 წელზეც (2008 წელს რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებია).

აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ კრემლი აქტიურად იწყებს საკუთარი პოზიციის დაცვას ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების კუთხით. ამ მიზანს ემსახურებოდა ინტელექტუალური ფორუმი - პატარა პოლიტიკური ზეიმი, რომელიც პუტინის პოლიტოლოგებმა საკუთარ პრეზიდენტს მიუძღვნეს.

რუსმა პოლიტოლოგებმა ინტელექტუალურ კონფერენციაზე პოსტსაბჭოთა სივრცის წარმომადგენლებიც დაპატიჟეს. კონფერენციას უძღვებოდნენ პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციის სამმართველოს ხელმძღვანელი მოდესტ კოლეროვი, პრეზიდენტის მრჩეველი ჯაჰან პოლიევა, პოლიტოლოგები - სერგეი მარკოვი და გლებ პავლოვსკი. მათ ზურგს უკან დარბაზში დსთ-ს წევრი ქვეყნების დროშები გამოიფინა, მათ შორის, საქართველოსიც. დასავლეთისა და რუსეთის პოლიტიკურ კულტურებს შორის პარალელების გავლებაში რუს პოლიტოლოგებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი დელეგაციებიც დაეხმარნენ.

ფორუმის ორგანიზატორებმა ერთ-ერთ მთავარ სასაუბრო თემად რუსეთის "სუვერენიტეტი" აირჩიეს, რომელსაც თითქოსდა ვიღაც ხელყოფს.

რუსული "სუვერენიტეტის" თემა, რომელიც რუსეთში ბოლო ხანებში ძალიან აქტუალურია, დაახლოებით ერთი კვირის წინ ბატონმა სურკოვმა კიდევ უფრო გააააქტიურა. პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ვლადისლავ სურკოვმა დახურული პრესკონფერენცია გამართა უცხოელი ჟურნალისტებისთვის, სადაც სწორედ ამ თემაზე ისაუბრა. როგორც სურკოვის პრესკონფერენციაზე მყოფი ჟურნალისტები აღნიშნავენ, კონცეპტუალური თვალსაზრისით, მას ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ საკმაოდ საინტერესო აქცენტები გააკეთა. სურკოვმა მიანიშნა, რომ დასავლეთის კრიტიკა რუსეთის მისამართით გამოწვეულია არა დემოკრატიის ნაკლებობით ამ ქვეყანაში, არამედ მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით. სურკოვმა, რომელსაც კრემლში იმდენად დიდი გავლენა აქვს, რომ მას პუტინის შესაძლო მემკვიდრედაც კი ასახელებენ, რუსეთი წარმოაჩინა როგორც "სუვერენული დემოკრატია". **"ჩვენი, რუსული დემოკრატიის მოდელს "სუვერენული დემოკრატია ჰქვია,"** - განმარტა სურკოვმა. მისი შეფასებით, რუსული "სუვერენული დემოკრატია" არაფრით განსხვავდება დასავლური დემოკრატიებისგან.

რუსი პოლიტოლოგების კონფერენცია, რომელიც სურკოვის იდეებით იყო გაჯერებული, სერგეი მარკოვმა გახსნა. მისი თქმით, შეკრებილთა მთავარი მიზანია შეასრულონ საზოგადოების დაკვეთა, რომელიც "უკვე დიდი ხანია ითხოვს იცოდეს, თუ საით მიდის რუსეთი". კონფერენციაზე ამ საკითხთან დაკავშირებით დაგეგმილი იყო დისკუსიაც, რომელიც არ შედგა ერთი მარტივი მიზეზის გამო - დარბაზში შეკრებილთა სრულ უმრავლესობას ერთი და იგივე პოზიცია აღმოაჩნდა.

კონფერენციის ტონი მოდესტ კოლეროვმა განსაზღვრა. მან სიტყვა ყბადაღებულ რუსულ სუვერენიტეტზე ჩამოაგდო. კოლეროვის თქმით, დასავლეთს ძალიან აშინებს სიტყვა "სუვერენიტეტი", რომელიც "ამიერიდან მთავარ რუსულ ღირებულებას განსაზღვრავს". **"ჩვენი დასავლელი პარტნიორები იმ დონეზე დავიდნენ, რომ დამოუკიდებლად ვერ წყვეტენ ისეთ მარტივ საკითხებსაც, როგორიცაა, მაგალითად, მობილური ტელეფონების აკუმულატორებში ტყვიის შემცველობის დასაშვები რაოდენობის განსაზღვრა,"** - დასცინა დასავლეთს კოლეროვმა.

მსჯელობა რუსეთის სუვერენულ "დემოკრატიაზე" და მის უდავო უპირატესობაზე "ჩამორჩენილ" დასავლეთთან განავრცო გლებ პავლოვსკიმ. კრემლის მთავარმა პოლიტტექნოლოგმა მის საყვარელ თემას - "ხავერდოვან რევოლუციებს" გაჰკრა კბილი. **"რუსეთი და ევროპა - ორი ინტეგრაციული პროექტია. მათ აერთიანებთ პრინციპი - "არასოდეს არ". ევროპა იბრძვის, რომ არასოდეს არ დაუშვას ომი ევროპულ სახელმწიფოებს შორის, ხოლო რუსეთი იბრძვის, რომ არასოდეს არ დაუშვას სამოქალაქო ომი და რევოლუციები,"** - საინტერესოდ მსჯელობს პავლოვსკი.

რუსული იდუმალი პოლიტიკური მენტალიტეტის ამოცნობას ერთი უზბეკი დეპუტატიც შეეცადა, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, რუსული პოლიტიკის ერთი საინტერესო, აქამდე ყველასათვის უცნობი თავისებურება უგრძვნია. **"რუსეთის მისიაა გახდეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტის გარანტი,"** - სწამს უზბეკ დეპუტატს იგორ კორენევს. თუმცა, როგორ აპირებს სხვისი სუვერენიტეტების დაცვას რუსეთი, რომელსაც თურმე საკუთარ სუვერენიტეტთან ვერ ჰქონია საქმე კარგად, კორენევი არ აკონკრეტებს.

კვანძის გახსნა ბოლოს მოხდა, როდესაც ტრიბუნასთან შემაჯამებელი სიტყვით მარკოვი გამოვიდა და რუსეთის სულიერ მისიაზე ილაპარაკა. მარკოვის თქმით, რუსეთს წარმატებული არსებობისთვის ზე-იდეა სჭირდება. მარკოვი იხსენებს, რომ სხვადასხვა დროს რუსეთი სხვადასხვა მისიით საზრდოობდა - მართლმადიდებლობა, კომუნიზმი. და აქვე დაისახა რუსეთის ახალი მისიაც: **"რუსეთის ახალი როლი მსოფლიოსთვის გლობალიზაციის თანამედროვე, ახალი მოდელის შეთავაზებაა. რუსულ მოდელს უკვე არსებულისგან ის გამოარჩევს, რომ გლობალიზაციის რუსული მოდელი დაფუძნებული იქნება სულიერებაზე,"** - დასახა მისია მარკოვმა. იმის დასამტკიცებლად, რომ რუს ადამიანს ყველასაგან გამორჩეული, ღრმა სულიერება ახასიათებს, მარკოვმა ქრესტომათიული მაგალითი მოიყვანა. **"გამდიდრებული რუსი სწრაფად ფლანგავს ფულს, რადგან იცის, რომ ფული ცოდვის მატარებელია,"** - შეჰღაღადა მარკოვმა დარბაზს და მქუხარე ტაშითაც დაჯილდოვდა.

კონფერენციაზე, რომელსაც რატომღაც ინტელექტუალური ფორუმი შეარქვეს, ითქვა, რომ კარგი იქნებოდა, დემოკრატიულობის რეიტინგების ანალოგიურად, შესაძლებელი იყოს ქვეყნების "სულიერების რეიტინგების" დადგენა. როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს, რუსული გლობალიზაციის მოდელის ასამუშავებლად ქვეყნების "სულიერების რეიტინგის" დადგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ, თურმე, საკმაოდ რთულია.


**Georgian National airlines**

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით - ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# გიორგი გვიჩიანი "სვანური წესით" გასამართლებას ითხოვს

*"ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთაში ბრალდებული გიორგი გვიჩიანი "სვანური წესით" გასამართლებას ითხოვს. ამის შესახებ განცხადება განსასჯელმა გიორგი გვიჩიანმა თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე გააკეთა.*

**"მზად ვარ სვანური წესით ხატზე დავიფიცო და დოკუმენტურად დავამტკიცო, რომ მე და ჩემთან ერთად ბრალდებულები ლომინაძის მკვლელობში უდანაშაულონი ვართ,"** - განაცხადა მან.

გიორგი გვიჩიანმა სასამართლოს სთხოვა, დაუშვას პრეცედენტი და მას უფლება მისცეს, "სვანური წესით" დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

**"ამ წესით, დაზარალებულის და ჩემი ოჯახის ოთხ-ოთხი წარმომადგენლის და ოთხი ნეიტრალური ადამიანის წინაშე დავამტკიცებ, რომ უდანაშაულო ვარ. თორმეტივემ უნდა დაიჯეროს ჩემი სიმართლე და დაიფიცოს ხატზე, რომ მკვლელობაში ბრალი არ მიმიძღვის, რაც იმას ნიშნავს, რომ გავმართლდები. თუ თორმეტიდან ერთი მაინც არ დაიფიცებს, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ დამნაშავე ვარ და 20 წელი მომისაჯოთ",** - განაცხადა გვიჩიანმა.

იგი დარწმუნებულია, რომ ეს მკაცრი წესი ამერიკულ დემოკრატიაზე უფრო სამართლიანია. ამ მოთხოვნის გამო, ხუმრობის ხასიათზე დამდგარმა მოსამართლემ გიორგი გვიჩიანს ურჩია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია ადვოკატთან გაიაროს.

გიორგი გვიჩიანი აცხადებს, რომ მის მიმართ ეჭვები იმ ჩვენებების გამო გაჩნდა, რომელიც სამართალდამცველებს მისი ოჯახის პირადმა მტერმა ნოდარ გვიჩიანმა მისცა.

**"სწორედ ამ ადამიანის ცრუ ჩვენების საფუძველზე ჩაცხრილეს აფრასიძეებიც",** - დასძინა მან.

როგორც ცნობილია, "თბილგაზის" გაკოტრების მმართველი გიორგი გვიჩიანი 7 მარტს საკუთარ კაბინეტში სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. მას ბრალად ედება "ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთა. განსასჯელი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ მისი დაკავება ძმების - ნუგზარ და ნოდარ გვიჩიანების ანგარიშსწორებას უკავშირდება. როგორც გიორგი გვიჩიანი და მისი ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე ამბობენ, 1991 წელს ნოდარ და ნუგზარ გვიჩიანს უფროსი ძმა მოუკლეს. მკვლელობას ძმები გიორგი გვიჩიანის ნათესავს აბრალებდნენ. ადვოკატ ხაჩიძის თქმით, ამის გამო, სვანური ადათ-წესების საფუძველზე, ამ ორ ოჯახს შორის მტრობა წარმოიშვა.

ადვოკატების მტკიცებით, გარკვეული პერიოდის წინ ნოდარ გვიჩიანის პატიმრობის პერიოდში დაკავებული გიორგი გვიჩიანს მობილური ტელეფონით უკავშირდებოდა და, როცა ამ კონტაქტს გამოხმაურება არ მოჰყვა, პატიმარმა გიორგი გვიჩიანს SMS-ები გაუგზავნა.

**"მესიჯების შინაარსის თანახმად, ნოდარ გვიჩიანს მაშინდელი პროკურატურის მაღალჩინოსნები სთხოვდნენ "ეი-ი-ეს თელასის" ყოფილი ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის განზრახ მკვლელობის აღიარებას და გიორგი გვიჩიანის შემკვეთად დასახელებას. მას, ამის სანაცვლოდ, საპროცესო გარიგებით გაათავისუფლებდნენ",** - განმარტავს ადვოკატი. მისივე თქმით, ამის შესახებ გიორგი გვიჩიანმა გენერალურ პროკურატურას აცნობა, თუმცა რეაგირება არ მომხდარა.

გუშინ გიორგი გვიჩიანის სასამართლო პროცესი მთავარი მოწმის და მკვლელობის შემსრულებლის გიორგი ლაპაჩიშვილის დაკითხვის დროს დაიხურა.

გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული პირი მკვლელობის ღამეს მკვლელს ავტომანქანაში ელოდებოდა. რაც შეეხება დაცვის მხარეს, დიმიტრი ხაჩიძეს მიაჩნია, რომ საქმეში რამდენიმე დეტალი გამოიკვეთა, რომელიც ბადებს ეჭვს, რომ ბრალდება ცრუ კვალზე დგას.

გუშინდელი პროცესის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება მოსამართლემ ბრალდების შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო. ამ შუამდგომლობას კატეგორიულად არ ეთანხმებოდა დაცვის მხარე. ადვოკატების მტკიცებით, ამით პროცესის საჯაროობის უფლება დაირღვა, რადგან პროცესის დახურვის საფუძველი არ არსებობდა.

გუშინ თბილისის თბილისის სააპელაციო სასამართლომ გიორგი გვიჩიანის კიდევ ერთ საქმესთან დაკავშირებით განაჩენი გამოიტანა - ძალაში დატოვა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

შეგახსენებთ, რომ დაცვის მხარე სააპელაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს ასაჩივრებდა და გვიჩიანის სრულ გამართლებას მოითხოვდა. გიორგი გვიჩიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე წლის წინ აღიძრა - მაშინ, როცა იგი "ეი-ი-ეს თელასის" კომერციული მენეჯერი იყო. პროკურატურა გვიჩიანს "ეი-ი-ეს თელასისთვის" 2,5 მილიონი ლარის ოდენობის ზარალის მიყენებას ედავებოდა. საქმე ეხება რუსეთის ჯარებისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვის დროს განხორციელებულ ჩათვლებს, რა დროსაც, ბრალდების თანახმად, "თელასს" 2,5 მილიონი ლარის ზარალი მიადგა.

ბრალდებულის ადვოკატის დიმიტრი ხაჩიძის განცხადებით, საქმეში დევს რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ "ეი-ი-ეს თელასს" გვიჩიანის ქმედებით ზარალი არ მიუღია, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ეს მტკიცებულებები საკმარისად არ ჩათვალა.

გიორგი გვიჩიანის მიმართ საქმე აღძრული იყო "სამეწარმეო ორგანოში ხელმძღვანელის მიერ, ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ, საკუთარი ინტერესებისთვის უფლებამოსილების გამოყენების მუხლით", რომელსაც შემდეგ ამნისტია შეეხო და ამ მუხლით გასამართლებული პირები სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდნენ. თუმცა, გვიჩიანს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 700 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. გუშინ სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

*24 საათი*

## მოკლედ

### სპეცოპერაცია ჭუბერში

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, 2006 წლის 3 ივლისს მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს 23 წლის გელა ცინდელიანი. პოლიციის ოპერაცია დაღუპულის ძმის, გოჩა ცინდელიანის დაკავებისათვის დაიგეგმა, თუმცა ძებნილი ადგილზე არ იმყოფებოდა. სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ადგილობრივი მცხოვრები გარიკ ჩხვიმიანი პოლიციამ სპეცოპერაციის გამო აღშფოთების ხმამაღლა გამოთქმისთვის დააკავა. საქართველოს სახალხო დამცველი შეშფოთებულია სპეცოპერაციების დროს მოქალაქეთა დაღუპვის გახშირებული ფაქტებით და გულისტკივილს გამოთქვამს კიდევ ერთი ახალგაზრდის დაღუპვის გამო. სახალხო დამცველი სამართალდამცველ ორგანოებს მოუწოდებს დროულად და ობიექტურად გამოიძიონ მომხდარი ფაქტი. მომხდარ ინციდენტს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებიც სწავლობენ. **24 საათი**

### სამდღიანი ვადა გენერალურ ინსპექციას

დმანისის რაიონში, ხრამის ხეობაში მდებარე შობის მონასტერში სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრასთან და იქ ჩატარებულ ჩხრეკასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა. გენინსპექციამ ეს დავალება შინაგან საქმეთა მინისტრისგან ვანო მერაბიშვილისგან მიიღო. სპეცოპერაციაში მონაწილე ყველა პირის გამოსავლენად და, შესაბამისად, დასასჯელად ვანო მერაბიშვილმა გენინსპექციას სამდღიანი ვადა მისცა. გუშინ შს მინისტრი დმანისშიც ჩავიდა და ეპარქიის წინამძღოლს მეუფე ზენონს პირადად მოუხადა ბოდიში. როგორც ცნობილია, ნიღბიანები შობის მონასტერში მყოფ მორჩილებსა და არქეოლოგებს მოულოდნელად დაესხნენ თავს და მათი და ტაძრის ჩხრეკა ისე განახორციელეს, რომ ვის ან რას ეძებდნენ, არაფერი უთქვამთ. ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა მიწაზე დააწვინეს მონასტერში მყოფი მორჩილები და რესტავრატორ-არქიტექტორები, რომლებიც სამონასტრო კომპლექსში სამუშაოებს ასრულებენ. იძულებით ძირს დაწვენილების განძრევის შემთხვევაში, სპეცრაზმელები სროლით იმუქრებოდნენ. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, სპეცრაზმელებმა ორი ახალგაზრდა მორჩილი თან წაიყვანეს, დაკითხვის შემდეგ კი გაათავისუფლეს. საქმე ისაა, რომ ვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრი მომხდარის გამო აღშფოთებას გამოთქვამდა და გენერალურ ინსპექციას სპეცოპერაციაში მონაწილეების გამოვლენას მოსთხოვდა, მისმა უწყებამ შობის მონასტერში სპეცრაზმელების შეჭრისა და იქ ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო. "დმანისის რაიონში მდებარე შობის ტაძარში ჩხრეკის ოპერაციის ჩატარების შესახებ ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. სოფელ ჩარდახში შსს-ს თანამშრომლებმა ტაძართან მდებარე შენობა დაათვალიერეს" , - ასეთი გახლდათ შსს-ს პირველი კომენტარი. როგორც შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა ხიზანიშვილმა თავდაპირველად განაცხადა, სამინისტროს თანამშრომლებმა ძებნილის დასაკავებლად შობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ის მშენებარე დამხმარე ნაგებობა დაათვალიერეს, რომელშიც მხოლოდ მუშები იმყოფებოდნენ. "შსს-ს ასეთი ტრადიცია აქვს - როცა ეკლესიაშია ამგვარი მოქმედებებია ჩასატარებელი, აუცილებლად ხდება მათი გაფრთხილება, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შსს-ს წარმომადგენლები ეკლესიაში არ შესულან", - განაცხადა ხიზანიშვილმა. **24 საათი**

# გირგვლიანის პროცესი კულმინაციას უახლოვდება

პირველი გვერდიდან

თუმცა, პოლიტიკური პარტიების და, საერთოდ, სასამართლო დარბაზში მყოფთა უკმაყოფილება ამით არ დასრულებულა. შეკრებილები აპროტესტებდნენ იმას, რომ, ცუდი აკუსტიკის გამო, დაკითხულ მოწმეთა ხმა დარბაზში არ ისმის და იმასაც, რომ ბრალდებულები ნიღბიანი სპეცრაზმელებით არიან დაფარულნი, რაც, სხვათა შორის, ქართული მართლმსაჯულებისთვის უპრეცედენტო ფაქტია - დღემდე არც ერთ ბრალდებულს ამგვარი პრივილეგიით არ უსარგებლია.

სასამართლო დარბაზში პოლიტიკური პარტიების მიერ გამოთქმული პრეტენზიები საბოლოოდ იქამდე მივიდა, რომ მოსამართლემ თავდაპირველად "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლის დავით გამყრელიძის პროცესიდან გაძევება მოითხოვა. დეპუტატის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ კი მოსამართლე გიორგი ჩემიამ სხდომაზე შესვენება გამოაცხადა და დარბაზი თავად დატოვა.

აღნიშნულ ინციდენტამდე სასამართლომ შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის ვასილ სანოძის მძღოლის ლევან ჭიპაშვილის დაკითხვა მოასწრო, რომელმაც გირგვლიანის მკვლელობის ღამეს "შარდენ-ბარში" ვასილ სანოძე, თათია მაისურაძე, ანა კალანდაძე და თაკო მერაბიშვილი მიიყვანა. ლევან ჭიპაშვილი "შარდენ-ბარში" მეორედ იმ ორი ლარის გადასახდელად დაბრუნდა, რომელიც, თითქოს, სუფრის წევრებს დააკლდათ. მაგრამ, სასამართლო დაკითხვაზე მოწმემ ვერაფრით გაიხსენა, ფული სტუმრების დაშლიდან რა პერიოდში გადაიხადა.

მართლმსაჯულების წინაშე კიდევ უფრო დაბნეულები ჩანდნენ სიგარეტის გამყიდველი ნინო გველესიანი, რომელმაც 27 იანვარს ოლეგ მელნიკოვს სიგარეტი "კენტი" მიჰყიდა და ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელი ალექსანდრე საჯაია, რომელმაც გირგვლიანის მკვლელობის ღამეს ნაცემი ლევან ბუხაიძე შეიფარა. მართალია, დაკითხვისას ორივე მოწმე ცდილობდა, უკვე დაკითხული მაღალჩინოსნების ჩვენებების იდენტური ჩვენება მიეცა, მაგრამ დეტალების დაკონკრეტებას აშკარად ვერც ერთი მათგანი ვერ ახერხებდა. სამაგიეროდ, დაძაბული სიტუაციის განმუხტვას მოსამართლე ჩემია ცდილობდა, რის გამოც, გირგვლიანის დაცვამ იგი ტენდენციურობაში დაადანაშაულა.

ადვოკატის მოთხოვნით, სასამართლოს ოქმში მოსამართლის წინააღმდეგ შენიშვნა ჩაიწერა. დაცვის მხარე მოსამართლეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის დარღვევაში ამხილა, რაც ჩემიას მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებასა და პროცესზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებაში გამოიხატება.

**"მოსამართლე მოწმეებისათვის შეკითხვის დასმის საშუალებას არ გვაძლევს",** - განაცხადა დაცვის მხარემ, რომელმაც მოგვიანებით აღნიშნა, რომ თუ მოსამართლე უფლებამოსილების გადამეტებას გააგრძელებს, არ არის გამორიცხული, რომ გიორგი ჩემიას აცილებაც მოითხოვონ.

სანდრო გირგვლიანის მეგობრის გერმანე გობეჯიშვილის დაკითხვის შემდეგ, რომელმაც ზუსტად აღწერა ის დღე, როცა დაკარგულ მეგობარს ეძებდა და ის ტერიტორია, სადაც გარდაცვლილი მეგობარი იპოვეს, მთავარი ბრალდებულის, შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის პირველი სამმართველოს უფროსი გია ალანიას დაკითხვაც დაიწყო, რომელიც, თითქმის, სამ საათს გაგრძელდა.

თუმცა, ვიდრე განსასჯელი მართლმსაჯულებისთვის ჩვენების მიცემას დაიწყებდა, მის წინ მობილიზებული ნიღბებით და იარაღით აღჭურვილი სპეცრაზმელები, მანდატურის თანამშრომლები და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული სასამართლოს თანამშრომლები რკინის გისოსებთან ისე მჭიდროდ ჩამწკრივდნენ, რომ ბრალდებულთა სახეები დარბაზში მყოფებს აღარ დაუნახავთ.

გია ალანიამ დეტალურად გაიხსენა მკვლელობის ღამეს განვითარებული მოვლენები, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა წინა დღეებში დაკითხული დაზარალებული ლევან ბუხაიძის ჩვენებისგან.

ალანიას ჩვენებით, გირგვლიანის მკვლელობის საღამოს დათა ახალაიამ იგი "შარდენ-ბარში" დაპატიჟა, მაგრამ, საქმეების გამო, გვიანობამდე მისვლა ვერ შეძლო.

**"მოგვიანებით, როდესაც სამსახურებრივი საქმეები მოვაგვარე, ჩემს კოლეგებს ავთო აფციაურს და ალეკო ღაჭავას დავუკავშირდი, რათა ბარიდან ერთად წავსულიყავით სახლში",** - ირწმუნება ალანია.

პოლიციელის თქმით, ვინაიდან, თოვლის გამო, გზები მოყინული იყო, საკუთარი მანქანა სამსახურში დატოვა, ბარში კი სამსახურის კუთვნილი "ემელის" ჯიპით წავიდა, რომელსაც ნომრები არ ჰქონდა, ამიტომ ოპერატიული ნომრები გაუკეთა (სხვათა შორის, აღნიშნულ მანქანა ერთ-ერთი საქმიდან იყო ამოღებული და მისი გამოყენება არავის შეეძლო - რედ.).

**"როდესაც ბართან მივედი, დავინახე, რომ კართან, 2-3 მეტრში ახალგაზრდა მამაკაცი იდგა, რომელიც გურამ დონაძეს აგინებდა. ვკითხე, ვინ იყო და რატომ იგინებოდა, რაზეც მიპასუხა, - შენ თვითონ ვინა ხარო, - მეც შემაგინა და გზა გააგრძელა",** - აცხადებს ალანია.

ალანიას თქმით, იგი უცნობ ახალგაზრდას, რომელსაც მალევე კიდევ ერთი მამაკაცი შეუერთდა, საქმის გასარკვევად უკან გაჰყვა. ლესელიძის ქუჩის მიმართულებით წასულ უცნობებს ალანია აფციაურთან და ღაჭავასთან ერთად მანქანით დაეწია. ამასთან, სამმართველოს ყოფილი უფროსის თქმით, მან დაურეკა თავის კოლეგას მიხეილ ბიბილურს, რადგან ფიქრობდა, რომ თუ ამ ახალგაზრდების დაკავება გახდებოდა საჭირო, მას გააყოლებდა, თავად კი ბარში წავიდოდა.

ალანიას ჩვენებით, პოლიციელებსა და უცნობებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება და მსუბუქი ფიზიკური დაპირისპირება ჯერ კიდევ ლესელიძის ქუჩაზე მოხდა, რის შემდეგაც ახალგაზრდები მანქანაში ჩასვეს. ვინაიდან ბიბილური აგვიანებდა, ალანიას გადაუწყვეტია, "დაკავებულები" ქალაქგარეთ გაეყვანა, "ერთ-ორი წამოერტყა და საქმის გარჩევა ამით დაესრულებინა".

**"ამის შემდეგ მანქანა დავძარით და სანამ საქმეს ვარკვევდით, მივხვდი, რომ თბილისიდან გავედით. მანქანა ოქროყანაში გავაჩერეთ და გადმოვედით. სანდროს და ბუხაიძეს რომ დავარტყით, ისინი მიწაზე დაეცნენ და აღარ ინძრეოდნენ. ვინაიდან დაცემულებს ჩვენ აღარ ვურტყამთ, ჩხუბი აღარ გაგვიგრძელებია. თუმცა, ცოტა ხანში ბუხაიძემ გინება დაიწყო და მას დავუწყეთ ცემა. ამასობაში ბიბილურიც მოვიდა, რომელიც უკვე გირგვლიანთან ჩხუბობდა. მოულოდნელად სროლის ხმა გავიგე, ბიბილური ისროდა. როგორც მან მითხრა, სანდროს დანა დაუნახა და, გაფრთხილების მიზნით, ჰაერში გაისროლა. ამის შემდეგ დავინახე, რომ ვიღაც გარბოდა და ჩვენც წამოვედით",** - განაცხადა გია ალანიამ, რომელიც სასამართლო პროცესზე ამტკიცებდა, რომ მომხდარის შესახებ არავისთვის მოუყოლია.

ადვოკატის შეკითხვაზე, ჰქონდათ თუ არა პოლიციელებს დანა, ალანიამ განაცხადა, რომ მას და მის მეგობრებს დანა არ ჰქონიათ და ამიტომ არ არის მისთვის ცნობილი, თუ საიდან აქვს მიყენებული სასიკვდილო ჭრილობები სანდრო გირგვლიანს, რომელიც ექსპერტიზამ დააფიქსირა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების პროცესში სამართალდამცველები ირწმუნებოდნენ, - სასამართლო პროცესზე ადვოკატებს საშუალება ექნებათ, ნებისმიერ განსასჯელს დაუსვან შეკითხვებიო, - გუშინდელ პროცესზე საწინააღმდეგო მოხდა. ალანიასგან განსხვავებით, დანარჩენმა ბრალდებულებმა გირგვლიანის დაცვის მხარის კითხვებს დუმილის უფლებით დააღწიეს თავი. პროცესზე მხოლოდ მათ მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები წაიკითხეს.

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა თანდათან კულმინაციას უახლოვდება. ადვოკატები იმ ოპერატიული ვიდეომასალების გამოქვეყნებას ითხოვენ, რომელიც განსასჯელთა სამსახურმა ანუ "კუდ"-მა დანაშაულის გახსნაზე მუშაობისას თავად გადაიღო. თუმცა, მოსამართლემ ადვოკატთა შუამდგომლობის დაკმაყოფილებისგან თავი შეიკავა, რამაც დაცვის მხარის პროტესტი გამოიწვია.

სანრო გირგვლიანის გუშინდელი პროცესის დროს დაწყებული ხმაური საქალაქო სასამართლოს კედლებს გასცდა და მას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გამოეხმაურა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ ყველა ის პირი, რომელიც მოსამართლემ დარბაზიდან გააძევა, პროცესს ვეღარ დაესწრება, რადგან მათ სასამართლოს შინაგანაწესი დაარღვიეს. კუბლაშვილმა სასამართლო პროცესზე მისული პარლამენტარები არეულობის მოწყობის მცდელობაშიც დაადანაშაულა და პასუხისმგებლობა იმ მანდატურებს დააკისრა, რომლებმაც დავით გამყრელიძის პროცესიდან ძალით გაყვანა ვერ შეძლეს.

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი კი საპასუხო ბრიფინგზე უზენაესი სასამართოს თავმჯდომარეს უფლებამოსილების გადამეტებაში და დიქტატის განხორციელებაში ადანაშაულებს, ხოლო გირგვლიანის პროცესთან დაკავშირებით აცხადებს:

**"ამ შემთხვევაში, მოსამართლე, პროკურორი და ეჭვმიტანილების ადვოკატები ერთი მხარეა, რომლებიც წარმოადგენენ ვანო მერაბიშვილს და მის ცოლს, რაც აღმაშფოთებელია",** - ამბობს დავით გამყრელიძე.



ბრალდებულები ნიღბიანი სპეცრაზმელებით არიან დაფარულნი.

## განცხადება

2006 წლის 17 ივნისს გამოქვეყნებული იქნა შპს "თბილლიფტი"-ს განცხადება ლიფტის სათადარიგო ნაწილების სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერის შესახებ.

შეტანილი იქნეს ცვლილება გამოქვეყნებულ განცხადებაში:

1) მოსაწოდებელი საქონლის ჩამონათვალის პირველ ლოტში მითითებული დეტალის მწარმოებელი ქარხანა "მოგილოვი" ამოღებული იქნეს.

2) პირველ და მეორე ლოტში მითითებული დეტალის დასახელება "ზალეპანიე" და "გერკონი" ამოღებული იქნეს.

3) განცხადების მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ირედაქციით: "ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული ცალკეული ლოტების მიხედვით".






# რუპორის შიში

## მწერლები აპროტესტებენ - ხელისუფლებას არ ესმის

ია ვეკუა

ქართველ სამართალდამცავებს ძალიან ეშინიათ რუპორის - ნივთის, რომელიც ყველაზე ხმამაღლა ამბობს მათთვის ასე არასასურველ ტექსტებს. ხოლო თუ რუპორით ირაკლი კაკაბაძე და მისი მეგობრები ლაპარაკობენ, მაშინ ეს შიში იმდენად უმძაფრდებათ, რომ სურვილი უჩნდებათ, მაშინვე ციხეში ჩააყუდონ - რაც შეიძლება სასტიკი ფორმებითა და ხანგრძლივი ვადით. არადა, ეს სამართალდამცავებიც რუპორით მოსული ხელისუფლების დამცავები არიან...

29 ივნისს ირაკლი კაკაბაძე, ზურა რთველიაშვილი და "თანასწორობის ინსტიტუტის" სხვა წევრები სააპელაციო სასამართლოს ეზოში, დავით კოხრეიძისა და შალვა რამიშვილის საქმის განხილვისას დააპატიმრეს. მანამდე კი საქალაქოში სანდრო გირგვლიანის მკვლელობის პროცესს აპროტესტებდნენ. დაპატიმრებიდან რამდენიმე წუთში მათი მომავალი 30 დღე სააპელაციო სასამართლოს ახალმა თავმჯდომარე ეკა ტყეშელაშვილმა დაგეგმა - ირაკლი კაკაბაძე, ზურა რთველიაშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ლაშა ჩხარტიშვილი და დავით დალაქიშვილი ერთ თვეს წინასწარი დაკავების საკანში გაატარებენ. თუმცა ირაკლი კაკაბაძე ჯანმრთელობის გაუარესების გამო იმავე დღეს ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს.

ვიდრე "თანასწორობის ინსტიტუტელები" იძულებით "შვებულებაში" არიან, ახალგაზრდა მწერლები მათ მახარდამჭერ მორიგ შეხვედრას მართავენ. ლიტერატურულ კაფეში კამერული მასშტაბისა და ამბიციების მქონე შეხვედრა ტრადიციული შემადგენლობის ინიციატივით ჩატარდა: ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი, ბასა ჯანიკაშვილი, დავით ქართველიშვილი, შოთა იათაშვილი, დათო ტურაშვილი, დავით მაღრაძე და უფროსები - ლაშა თაბუკაშვილი და კოტე ჯანდიერი.

ამ შეხვედრას კი წინ უძღოდა პრესაში ქართული პენ-ცენტრის განცხადების გამოქვეყნება, რომელშიც ვითარების ზოგადი მიმოხილვის გარდა, იმაზეცაა საუბარი, რომ განცხადების ასლი პენ-კლუბის სათავო ოფისში, ლონდონშიც გააგზავნეს.

**დავით მაღრაძე:** "პენ-კლუბის ცენტრალურ ოფისს განცხადება გუშინ გავუგზავნეთ. მასში ყველას ვაცნობებთ, რომ ჩვენი კლუბის წევრები უკანონოდ დააპატიმრეს. ვთხოვთ, მოახდინონ გარკვეული რეაგირება, რათა დაპატიმრებულებზე არ განხორციელდეს ზეწოლა. ამავე შინაარსის განცხადებებს პენ-კლუბის ყველა ქვეყნის წარმომადგენლობას გავუგზავნით".

**ლაშა ბუღაძე:** "სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას დაავიწყდა, რა ძალაა საზოგადოება და რისი გაკეთება შეუძლია ხალხს. მაგრამ ის უფრო სამწუხაროა, რომ იგივე საზოგადოება აქციებს აღარ ეხმაურება. აქედან გამომდინარე, მსგავს საპროტესტო გამოსვლებზე უარი ვთქვით და მხოლოდ განცხადებების გაკეთებით შემოვიფარგლებით. ასევე არ გვიცდია ხელისუფლებასთან შეხვედრა, რაც უაზრობად მიგვაჩნია. მთავარი პასუხისმგებელი კი მოსამართლე ტყეშელაშვილია, რომელმაც თანამდებობაზე მოსვლისთანავე აქციის მონაწილეთა დაპატიმრება განახორციელა".

**ლაშა თაბუკაშვილი:** "ეს ყველაფერი დეჟავიუს ჰგავს - ჩვენ არაერთხელ გვინახავს წინა ხელისუფლებების მიერ განხორციელებული დაპატიმრებები, დარბევები და სხვა სახის უკანონო ქმედებები. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გაჩუმება არ შეიძლება. ჩვენ კარგად ვიცით, სადამდე მიგვიყვანა გაჩუმებამ ერთხელ, ორჯერ... საკუთარ თავზე ვბრაზდები, რადგან ვიცი, რომ არ შემიძლია დავეხმარო ამ ბიჭებს, იმასაც ვერ ვხვდები, რატომ დააპატიმრეს - მათ ხომ მხოლოდ ის დააშავეს, რომ სანდროს მკვლელობაზე გული შესტკივათ1"

**კოტე ჯანდიერი:** "კომუნისტების რეჟიმისას მერაბ მამარდაშვილმა თქვა: ხელისუფლების ექსტრემიზმი ოპოზიციურ ექსტრემიზმს იწვევს. საკუთარ ხალხთან ძალმომრეობითი პოლიტიკის გატარება სრულიად წარმოუდგენელია. ასე თუ გაგრძელდება, ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აღმოჩნდება. არც კი ვიცი, მეტი რა ვთქვა, რადგან არ მაქვს იმედი, რომ ეს ხელისუფლება ჩვენს ნათქვამს გაიგებს..."

# დიალოგი ჯერ არ შემდგარა

პირველი გვერდიდან

**- როგორი პინციპით შეარჩიეთ ნამუშევრები და როგორი სახე მიიღო ექსპოზიციამ?**

- თავიდან გვქონდა განსაზღვღვრული ვიწრო მასშტაბის გამოფენა. ავირჩევდით ხუთ, ექვს მხატვარს და ა.შ., მაგრამ მადა ჭამაში მოდისო და დიდ მასშტაბში გადაიზარდა ყველაფერი. თავდაპირველად გვსურდა გაგვეკეთებინა 50-იანი წლების შემდგომი მხატვრობა, პრინციპი არ იყო ისტორიული გავითარებისა და დინების წარმოდგენა. ჩვენ შევქმენით ჩვენებური ვერსია, გამოფენა - ანთოლოგია. კონუნქტურის მომენტიც იყო. გვინდოდა ახალგაზრდებთან ერთად ცნობადი სახელებიც ყოფილიყო. რა თქმა უნდა, იყო სუბიექტურობა და სათანადოდ ტენდენციურობაც, ბუნებრივია შევეცადეთ ის მხატვრები და ის ნამუშევრები შეგვერჩია, რომლებიც ჩვენ ყველაზე მეტად მოგვწონს. გამოფენის გაკეთების იდეის ავტორებმა ეს საქმე მხოლოდ იმიტომ არ გვანდეს, რომ ეროვნული გალერეის ხელმძღვანელები ვართ, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენი პროფესიონალიზმის სჯერათ. იყო სრულიად განსხვავებული შემთხვევებიც, ზოგიერთმა მხატვარმა მაინცდამაინც დიდი სურვილი არ გამოთქვა გამოფენაში მონაწილეობაზე. ანდა მათი ამბიციები ჯგუფურ გამოფენას სცილდებოდა. შესაბამისად მონაწილეთა რაოდენობა და ვინაობა დაიხვეწა და საინტერესო გამოფენაც გამოვიდა.

**- ხომ არ იგეგმება საპასუხო გამოფენა თბილისში?**

- საპასუხო გამოფენა თბილისში ნამდვილად იგეგმება, მოლაპარაკება სომხეთის ნაციონალური გალერეის გენერალურ დირექტორთან უკვე შედგა. ერევანში წაღებული ქართული მხატვრობის გამოფენისგან განსხვავებით, ჩვენ სომხური მხატვრობის გამოფენას ოდნავ გავსხვავებულად ვგეგმავთ. ჩვენ გამოვფენთ არა მარტო სომხეთში მოღვაწე მხატვრების ნამუშევრებს, არამედ იმ მხატვრებისაც, ვინც საქართველოში და ბევრად უფრო შორს არიან ცნობილნი: არშილ გორკი, სარიანი, ქოჩარი, ნინა სავეტისიანი და სხვები...

**- როგორი წარმოდგენის ბრძანდებით თანამედროვე სომხურ მხატვრობაზე?**

- ახალ გენერაციას მე პირადად არ ვიცნობ, ახლახანს რომ ჩავედით ერევანში, იქ შევეცადეთ რაღაცას მაინც გავცნობოდით.

**- და როგორია შთაბეჭდილება?**

- არაპოლიტკორექტული და უხერხულია ის, რაც ახლა უნდა გიპასუხოთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ წყალწყალაა მათი თანამედროვე მხატვრობა. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ენას ფლობენ, მაგრამ მომეჩვენა, რომ ის დრამატული მუხტი, რომელიც ჰქონდა სომხურ ფერწერას, დაკარგულია. სადღაც შუაში არიან, ერთი მხრივ, ყბადაღებული სალონური მხატვრობა და მეორე მხრივ, თვითმიზნური თანამედროვე არტი. მაგრამ ჩვენთან სომხური მხატვრობის გამოფენა ყველაფრის მიუხედავად იქნება, იგი დაახლოებით 2008 წელს გაიმართება.

ის, რომ ამიერკავკასიის ხელოვანები ერთმანეთს არ იცნობენ და ჩვენს ხელოვნებას შორის პარალელის გავლება გვიჭირს, ახალი ამბავი არაა. თბილისში იმართებოდა სახელოვნებო ფორუმი "აპოლონია", რომლის მიზანი სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი არტისტების შემოქმედების წარმოდგენა და მათი სინთეზში აღქმა გახლდათ, მაგრამ უკვე ორი წელია, რაც აღნიშნული მოვლენა დიდად აქტიურობითა და მნიშვნელოვნებით არ გამოირჩევა. შედგა თუ არა დიალოგი? - ამაზე პასუხი მე ნამდვილად არ მაქვს. ერთი ვიცი მხოლოდ, რომ მხატვრული ენა და ფორმები, ტენდენციები და ინტერესები ამ სამი ქვეყნის ხელოვანებს რადიკალურად განსხვავებული გააჩნიათ. თუმცა რამდენად ჩამოყალიბებულია მათი შეხედულებები საერთოდ, ეს კიდევ სხვა განსჯის საკითხია. დიალოგი ჯერ ალბათ არ შემდგარა, მაგრამ პირველი ეტაპისთვის გარკვეული ძვრები მაინც არსებობს. თუნდაც ერევნის ნაციონალურ გალერეაში წარმოდგენილი ექსპოზიცია, რომელიც ჩვენ ნამდვილად არ გვინახავს, მაგრამ გადმოცემით ვიცით, რომ მასში ყველა თუ არა, რამდენიმე მნიშვნელოვანი და საინტერესო ავტორიც მოიაზრებოდა. ზურაბ ნიჟარაძე, დიმიტრი ერისთავი, ოლეგ ტიმჩენკო, მერაბ აბრამიშვილი, თენგიზ მირზაშვილი, ირაკლი სუთიძე, ვახტანგ ახალკაციშვილი, ლევან მინდიაშივილი... მე სრული სიის ჩამოწერას ნამდვილად არ ვაპირებ, უბრალოდ მსურდა, ამ პატარა ჩამონათვალით შემექმნა იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ ფართო იყო თაობებისა და ინდივიდების სპექტრი.

საშემოდგომოდ სურათების ეროვნულ გალერეაში რემონტი დასრულდება. იქ განახლებული მუშაობა ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცევა და სავარაუდოდ, მისმა ხელმძღვანელობამ სომხური მხატვრობის გარდა, არაერთი სხვა მოვლენა უნდა წარმოგვიდგინოს. ეროვნული გალერეის განახლებასთან დაკავშირებით არაერთი კითხვა გვებადება, ამ თემას მოგვიანებით დავუბრუნდებით.

# ჰარი პოტერს სიკვდილი ემუქრება

ლიტერატურულ გმირს, ჰარი პოტერს, სიკვდილი ემუქრება. ამის შესახებ მწერალმა ჯოან როულინგმა "ბი-ბი-სის" ჟურნალისტებს თავად განუცხადა.

ჰარი პოტერი, შესაძლოა, ბოლო, მეშვიდე წიგნში დაიღუპოს. წიგნის გამოსვლას მომავალი წლის დასაწყისში ვარაუდობენ. მართალია, ჰარი პოტერის ბედი დანამდვილებით დაუზუსტებელია, მაგრამ დანარჩენ ორ მთავარ გმირს უეჭველი სიკვდილი ელის.

"არ მინდოდა ასე მომხდარიყო, მაგრამ ბოროტები მთავარ გმირებს სდევნიან და ისინი უნდა დაიღუპონ", - განაცხადა მწერალმა.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას როულინგი გაურბოდა მომავალი წიგნის სიუჟეტის ამა თუ იმ კონკრეტულ დეტალზე საუბარს, მაგრამ განაცხადა, რომ კარგად ესმის იმ მწერლების, რომლებიც მთავარ გმირს კლავენ, მაგალითად, აგატა კრისტის. ამით მწერალი სხვა მწერლებს იმის საშუალებას არ აძლევს, რომ ნაწარმოების გაგრძელების ცდუნებამ დასძლიოს და რომ მისი გმირები გააცოცხლოს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# პოეტის დაბრუნება

ჯავახეთში დაბადებული სომეხი რეჟისორის, არტურ ხაჩატრიანის ფილმი "პოეტის დაბრუნება", რომელიც სომეხი აშუღის, ჯივანის შესახებ მოგვითხრობს, ჩეხეთის (კარლოვი ვარის) საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამაშია შესული.

ფილმის ჩვენება 30 ივნისს შედგა. საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ნომინაციაში, ხაჩატრიანის ფილმის გარდა, მიხაელ გლავოგერის (გერმანია), სერგეი ლოზნიცის (რუსეთი), მიროსლავ იანეკის (ჩეხეთი) და მსოფლიოს სხვა ცნობილი რეჟისორების ფილმებია წარდგენილი.

"პოეტის დაბრუნება" მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები აშუღი პოეტისა და ფილოსოფოსის, ჯივანის ცხოვრებას ეხება. გადაღებები ერევანში, გიუმრსა და საქართველოში (ჯავახეთში) მიმდინარეობდა.

"ძალიან მინდოდა, აშუღ ჯივანის შესახებ ფილმი გადამეღო. ჯივანი, ისევე როგორც მე, ჯავახეთში იყო დაბადებული. ისეთ მხატვრულ ხერხს ვეძებდი, რომ მთავარი გმირის როლი მსახიობს არ შეესრულებინა. ბოლოს გადავწყვიტე, შექმნილიყო ჯივანის სკულპტურა, რომლის თვალითაც თითქოს მაყურებელი თანამედროვე სომხეთსა და ჯავახეთში მიმდინარე მოვლენებს დააკვირდება, დაინახავს, რა შეიცვალა და რა დარჩა ძველებური სახით", - განაცხადა ფილმის რეჟისორმა. მისი თქმით, სურათი სომხური ფოლკლორის ელემენტებს შეიცავს.

აღსანიშნავია, რომ "პოეტის დაბრუნებამ" როტერდამის 35-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე კრიტიკოსთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ხაჩატრიანმა კარლოვი ვარის ფესტივალზე 2003 წელს მეორე საპრიზო ადგილი ფილმისთვის "დოკუმენტალისტი" მოიპოვა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# მსოფლიო ბანკი

გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ახალი ეკლესია შენდება. ნიგვზიანის თემის საკრებულოს თავმჯდომარის ბადრი ჭყონიას განცხადებით ეკლესიის მშენებლობას საფუძველი, რამდენიმე დღის წინ ჩაეყარა.

"წარვადგინეთ პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკმა დააფინანსა. დამკვეთები საკრებულო და სათემო კავშირია", - განაცხადა ჭყონიამ. მისივე თქმით, თემის მოსახლეობა მშენებლობაზე უსასყიდლოდ მუშაობს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" აცხადებს კონკურსს ქონების იჯარაში გადაცემაზე

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" (შემდგომში - "პარკი"), დაფუძნებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 9 აგვისტოს N 82 დადგენილებით, აცხადებს კონკურსს **ბათუმის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე განთავსებული N7 კაფე-ბარის "ფანტაზიას" იჯარით გადაცემაზე** და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კაფეს დაშენების ფართი შეადგენს - 250.00 კვ. მეტრს, სასარგებლო ფართი - 202.00 კვ. მეტრს. აღნიშნული ქონება არ არის რაიმე ვალდებულებით დატვირთული.

3. კონკურსის ტიპი - კომერციული, სახე - პირობიანი.

4. წლიური საიჯარო ქირის მინიმალური ოდენობა - 10000 ლარი.

5. იჯარის მაქსიმალური ვადა - 10 წელი.

6. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსის შემდეგი პირობები:

ა) იჯარაში აღებული ქონება გამოიყენოს მოსახლეობის კულტურულ-გასართობი დასვენებისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის მიზნით. მოიჯარეს უფლება არ აქვს სხვა დანიშნულებით გამოიყენოს ეს ქონება;

ბ) შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, 2006 წლის ბოლომდე მოახდინოს იჯარაში აღებული ქონებისა და მისი ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია-განახლება.

7. მოიჯარე ვალდებულია წლიური საიჯარო ქირა გადაიხადოს ყოველკვარტალურად, კვარტალის მესამე თვის მეთხუთმეტე დღეს, მათ შორის I და IV კვარტლებში - წლიური საიჯარო ქირის ათ-ათი პროცენტის, II კვარტალში - ოცდაათი პროცენტის, III კვარტალში - ორმოცდაათი პროცენტის ოდენობით.

8. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დაცვა, გასწიოს ამ ქონებასთან დაკავშირებული კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, კავშირგაბმულობის, დაცვისა და სხვა ხარჯები, გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები.

9. მოიჯარეს უფლება აქვს მოახდინოს იჯარაში აღებული ქონების რეკონსტრუქცია-გაფართოება და სხვა გაუმჯობესებანი მეიჯარეს თანხმობითა და მშენებლობის წარმოების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

10. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება.

11. კონკურსის მონაწილე შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი.

12. დაინტერესებულმა პირებმა, პარკის მიერ დადგენილი განაცხადის ფორმა, ქართულ ენაზე, შეუძლიათ მიიღონ სამუშაო დღეებში დილის 10 საათიდან 17 საათამდე პარკის შემდეგ იურიდიულ და ფაქტიურ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13, პარკის ადმინისტრაცია.

13. კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს:

ა) შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსში მონაწილის თანხმობა გამოცხადებულ საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

ბ) საკონკურსო წინადადება, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ (შემოთავაზებული საიჯარო ქირა მითითებული უნდა იყოს სიტყვიერად და ციფრებით);

გ) "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საქართველოს მოქალაქე (რეზიდენტი) ფიზიკური პირის მიერ:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი. ინდივიდუალური მეწარმე (საწარმო) წარმოადგენს აგრეთვე ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

- შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ცნობას მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) უცხო ქვეყნის ფიზიკური პირის მიერ - მისი პირადობის დამადასტურებული საბუთი, დადგენილი წესით ლეგალიზებული საქართველოს საგარეო სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ;

ვ) საქართველოში რეგისტრირებული (რეზიდენტი) იურიდიული პირის მიერ:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (ან, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან) და წესდების (დებულების) ასლი, აგრეთვე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.;

- რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სასამართლოდან ცნობა იმის თაობაზე, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

- რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციიდან ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

- მის საკუთრებაში არსებული ქონების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საჯარო რეესტრის ადგილობრივი სააგენტოს ცნობა ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

ზ) უცხო ქვეყნის იურიდიული პირის მიერ - ამონაწერი შესაბამისი ქვეყნის რეესტრიდან და სხვა დამადასტურებული საბუთები, დადგენილი წესით ლეგალიზებული საქართველოს საგარეო სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ, აგრეთვე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი (თუ ის საქართველოს მოქალაქეა) ან პირადობის დამადასტურებული საბუთი, დადგენილი წესით ლეგალიზებული საქართველოს საგარეო სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ (თუ ის უცხო ქვეყნის მოქალაქეა);

თ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირის მიერ.

14. კონკურსში მონაწილეობისათვის ბეს სიდიდე შეადგენს წლიური საიჯარო ქირის მინიმალურ ოდენობის 10 პროცენტს ანუ 1000 ლარს. ის უნდა ჩაირიცხოს ზღვისპირა პარკის ანგარიშზე N 5609555 "თი ბი სი ბანკის" ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი N 220501835,

საიდენტიფიკაციო კოდი N245541864, ჩარიცხვის დოკუმენტში უნდა მიეთითოს გადახდის დანიშნულება - ბე **ბათუმის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე განთავსებული N7 კაფე-ბარის "ფანტაზიას" იჯარით გადაცემაზე** კონკურსში მონაწილეობისათვის.

15 დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რეკონსტრუქცია-განახლების პროექტის ბეჭვდითი და ელექტრონული ვერსიები და საკონკურსო წინადადება, რომელშიც წლიური საიჯარო ქირის ოდენობა არ შეიძლება იყოს ამ განცხადებაში მითითებულ საიჯარო ქირაზე ნაკლები, ქართულ ენაზე, დახურული კონვერტებით, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 4 ივლისიდან 2006 წლის 4 აქვისტოს ჩათვლით, სამუშაო დღეებში, დილის 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N13, პარკის ადმინისტრაცია. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 4 აქვისტოს 18 საათზე, იმავე მისამართზე, დაინტერესებული პირებისა და სხვა მსურველთა თანდასწრებით.

16 კონკურსის შედეგების შესახებ წერილობით ეცნობება მის მონაწილეებს 2006 წლის 9 აქვისტომდე, ხოლო, შემდგომ, 10 კალენდარულ დღეში, კონკურსში გამარჯვებულს ხელმოსაწერად, წერილობით გადაეცემა (გაეგზავნება) საიჯარო ხელშეკრულების პროექტი. ხელშეკრულების გაფორმება ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მოწმდება სანოტარო წესით და რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. სანოტარო და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯებს ფარავს მოიჯარე. ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულს ბე არ დაუბრუნდება.

18. ქონების იჯარაში აღებისას, "ბე" მოიჯარეს ეთვლება პირველი კვარტლების საიჯარო ქირის დაფარვისას.

19. კონკურსში დამარცხებულებს კონკურსში მონაწილეობისათვის ჩარიცხული ბე უბრუნდებათ შედეგების გამოცხადებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, მათთვის მოსახერხებელი ფორმით.

20. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ბატონ ვახტანგ წულაძესთან, პარკის ოფისში, ასევე საქალაქო ტელეფონით (995222) 74721 ან მობილური ტელეფონით 8(93) 750155, აგრეთვე ელექტრონული ფოსტით - info@batumipark.com

**საკონკურსო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს ღია ტენდერს საარჩევნო კაბინების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენეობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი N220101107, ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900, სახაზინო კოდი N300033133; მიუთითეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოდგენეთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

| საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| საარჩევნო კაბინა ერთადგილიანი | 1650 |
| საარჩევნო კაბინები ორადგილიანი | 2350 |

3. მისაწოდებელი საქონლის მახასიათებლები:

3.1 კაბინის ზომებია:
სიმაღლე - 190 სმ.
შესასვლელი მხარის სიგანე - 75 სმ.
მარცხენა და მარჯვენა გვერდების სიგანე - 80 სმ.

3.2 საარჩევნო კაბინა უნდა იყოს მარტივად ასაწყობი და დასაშლელი, აწყობილ მდგომარეობაში უნდა იყოს მყარი, ხოლო ვიზუალური თვალსაზრისით ესტეთიური.

3.3 ფარდა კაბინის კედლებზე ისე უნდა იყოს დამაგრებული, რომ შეუძლებელი იყოს გარედან მისი გადაწევა და კაბინაში შეხედვა. კაბინა უკნიდან და გვერდებიდან დაფარული უნდა იყოს გაუმჭირვალე ფარდით. კაბინის წინა მხარე ღია უნდა იყოს მისი სიმაღლის ნახევრამდე, ხოლო ზედა ნახევარი ფარდით უნდა იყოს დაფარული.

3.4 კაბინაში აუცილებლად უნდა იყოს თარო, რომელზეც შესაძლებელი იქნება საარჩევნო ბიულეტენის შევსება.

4. მიწოდების ადგილი - საოლქო საარჩევნო კომისიებში.

5. მიწოდების სასურველი ვადებია: ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. პრეტენდენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 24 ივლისი 16:00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

7. როგორც ფიზიკური პირის ასევე იურიდიული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ჭიკაძე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. .N29 ტელ: (8-22) 987005,

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს თსუ-ს სოხუმის ფილიალის კორპუსის (ქ.თბილისი, ჯიქიას ქ.N9) კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესაკეთებელი ობიექტების ჩამონათვალი:

1) პირველ სართულზე ორი საშხაპე;
2) მეორე სართულის NN202, 203, 204, 205, 207 ოთახები;
3) მეორე სართულის ორი ტუალეტი;
4) მესამე სართულის ორი ტუალეტი;
5) მესამე სართულის NN302, 304, 306, 307, 309, 311, 312, 313, 315, 317, 321, 323, 316 ოთახები და კორიდორი;
6) კვების ბლოკი;
7) მეხუთე სართულის ორი ტუალეტი;
8) მეექვსე სართულის ორი ტუალეტი;
9) მეოთხე სართულის ორი ტუალეტი;
10) მეშვიდე სართულის ორი ტუალეტი.

კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების განხორციელების ვადებია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 24 ივლისის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე. სატენდერო მოსაკრებლი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: კ/ბ "რესპუბლიკა", ანგ.ანგ.N345634, ბანკის კოდი 220101757, საიდენტიფიკაციო კოდი 204864548.

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 25 ივლისის 10.00 საათიდან 26 ივლისის 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე:… ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 26 ივლისის 14 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება.
3. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

**ფიზიკური პირებისათვის:**

**1.** ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
**2.** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან).
2. სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილებას რეგისტრაციის შესახებ.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, რომლებიც ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრს: ინგა მერკვილიშვილი, ტელ: 25 15 48, 893 73 42 14. ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. გორის გამგეობა (მის. ქ. გორი, სტალინის გამზ. N16) აცხადებს ტენდერს ქალაქ გორის ტერიტორიაზე არსებული დავით აღმაშენებელის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ა) საერთო ფართი -26 700 კვ.მ.;

ბ) ორმოული შეკეთება,

გ) შემასწორებელი ფენა;

დ) გადაკვრა წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონით 26 700 კვ.მ 4,0 სმ სისქით.

ე) სამუშაოს შესრულების ადგილია ქალაქი გორი.

ვ) სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 30 სექტემბრამდე.

**2.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 25 ივლისს 900 სთ-დან 1600 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქალაქი გორი, სტალინის გამზირი N16, ქ. გორის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.

**3.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

**ა)** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**ბ)** ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან\და ლიკვიდაცია;

**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

**ე)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან\და სანაციის საქმე.

**ვ)** ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;

**ფიზიკური პირისათვის:**

**ა)** მეწარმის რეგისტრაციის მოწმობა;

**ბ)** ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**გ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**დ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**ე)** ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

**ა)** ინფორმაციას, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

**ბ)** ინფორმაციას, უკანასნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ;

**4.** განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, უნდა ახლდეს მე-3 პუნქტში მითითებული ბეჭედდასმული დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**5**. პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადება, წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ბეჭედდასმულ და დალუქულ კონვერტში, წარმომდგენის ხელმოწერის აღნიშვნით.

**6.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და ვერ დასახელდება პრეტენდენტად თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**7.** ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.

**8.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის (საქართველოს ეროვნული ბანკი ანგ.N200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300434040,) შემდეგ, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში შეეძლებათ მისამართზე: ქალაქი გორი, სტალინის გამზ. N16, გამგეობის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ქ. გორის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.

**9**. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ქ. გორის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატის წევრს დავით მღებრიშვილს მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზირი N16, ტელ (8270) 7-20-97.

**ქალაქ გორის გამგეობის სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში გარე განათების ლამპიონების კომპლექტის სამონტაჟო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 24 ივლისიდან 2006 წლის 25 ივლისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან),

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

გ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 24 ივლისის 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

**6**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

---

**ამა წლის 24 ივლისს 12 საათზე ჩატარდება სს "ელექტროვაგონშემკეთებელი" ქარხნის საერთო კრება.**

დღის წესრიგი:
I. სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებები;
II. საზოგადოების წესდების შეცვლა;
III. სხვადასხვა.
მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის №32.

სს "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" გენერალური დირექტორი დავით გზირიშვილი

---

# განცხადება ტენდერის გაუქმების შესახებ

1. ბოლნისის რაიონის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური (მისამართი: ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106, რაიონის გამგეობის შენობა. სს "საქართველოს ბანკი" ა/ა 3303000001) 21 ივნისის №136 (1288) "24 საათში" გამოქვეყნებული ქ. ბოლნისის ცენტრალური წყალსადენის რეზერვუარების მიმდებარე საავტომობილო გზის, სოფ. ტანძიაში და სოფ. ტალავერში საავტომობილო გზების შეკეთების (მოხრეშვის) სამუშაოების შესახებ ბოლნისის რაიონის ბიუჯეტის სეკვესტრის გამო აცხადებს გაუქმებულად.

2. ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ დაბა თამარისის სოფ. ტალავერის, სოფ. დარბაზის, სოფ. ჭაპალას და სოფ. ტანძიის სკოლების შეკეთების სამუშაოების შესასყიდად განცხადებაში რაიონის ბიუჯეტის სეკვესტრის გამო შევიდა შემდეგი ცვლილებები, კერძოდ: განცხადებიდან ამოღებულ იქნას სოფ. დარბაზის და სოფ. ჭაპალას სკოლების შეკეთების სამუშაოები და ტენდერი ჩატარდეს დარჩენილი სოფლების - სოფ. თამარისის, სოფ, ტალავერის და სოფ. ტანძიის სკოლების შეკეთების სამუშაოებზე.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

---

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1**. ქ. თბილისის მერიის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს რაიონში სპორტული მოედნების მოწყობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი:**
სპორტული მოედანი ასფალტის საფარით, ზომით 25მX15მ - 4 ერთეული;
სპორტული მოედანი ასფალტის საფარით, ზომით 30მX16მ - 1 ერთეული;
სპორტული მოედანი ასფალტის საფარით, ზომით 37,5მX17.5მ - 1 ერთეული;
სპორტული მოედანი ასფალტის საფარით, ზომით 36მX17.6მ - 1 ერთეული;
სპორტული მოედანი ასფალტის საფარით, ზომით 27მX15მ - 1 ერთეული;
სპორტული მოედანი ასფალტის საფარით, ზომით 27მX22მ - 1 ერთეული;
შესყიდვის ობიექტის კონკრეტული პარამეტრები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 15 დეკემბერი.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 25 ივლისს 11 სთ-დან 16 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი სარაჯიშვილის გამზირი N1 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

**4.** პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების ჩამონათვალი:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

ე) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

a) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

ბ) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში გაწეული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

გ) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ.

დ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

**5.** თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**6.** სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში გლდანი-ნაძალადევის რაიონი N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: N300014040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 4 ივლისიდან 2006 წლის 24 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი სარაჯიშვილის გამზირი N1, III სართული, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

**7.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების გარანტირების მექანიზმი.

**8.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

**9.** ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნანა ლომჯარია საკონტაქტო ტელეფონი: 62-96-73 და ნინო კიკვაძე საკონტაქტო ტელეფონი 65-25-13, მისამართზე: სარაჯიშვილის გამზირი N1 III სართული, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

**სატენდერო კომისია**

---

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**
**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 03.05.19**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ყაზბეგის რაიონის, სოფ. ცდოს გაზსადენის რეაბილიტაცია**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ყაზბეგის რაიონის, სოფ. ცდოს გაზსადენის რეაბილიტაცია**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***სოფ. ცდოს სათემო კავშირთან "ცდო"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სოფ. ცდოს სათემო კავშირი "ცდო"***, იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 3 ივლისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:
**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 500 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 17 ივლისს 11:00** - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 17 ივლისს 11:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

---

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**
**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 04.04.11**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ლაგოდეხის რაიონის, ქ. ლაგოდეხის წყალსადენის რეკონსტრუქცია**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ლაგოდეხის რაიონის, ქ. ლაგოდეხის წყალსადენის რეკონსტრუქცია**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***ქ. ლაგოდეხის სათემო კავშირთან "მომავლის წყალი"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***ქ. ლაგოდეხის სათემო კავშირი "მომავლის წყალი"***, იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 3 ივლისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:
**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 900 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 17 ივლისს 12:00** - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 17 ივლისს 12:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

---

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**
**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 04.02.16**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ყვარელის რაიონის, სოფ. საბუეს სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ყვარელის რაიონის, სოფ. საბუეს სკოლის რემონტი**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***სოფ. საბუეს სათემო კავშირთან "საბუე"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სოფ. საბუეს სათემო კავშირი "საბუე"***, იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 3 ივლისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:
**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 600 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 17 ივლისს 13:00** - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 17 ივლისს 13:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სალიანდაგო მასალების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების შესწორება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 28 ივნისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სალიანდაგო მასალების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში, მე-3 პუნქტში მოწოდების პირობა ნაცვლად SIF-თბილისი-სა იკითხებოდეს SIP-თბილისი.

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

## სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" სატენდერო განცხადება

| | |
|---|---|
| **ქვეყანა:** | საქართველო |
| **სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადა:** | 2006 წლის 21 აგვისტო, 17:00 სთ. (თბილისის დროით) |
| **პროექტის სახელწოდება:** | სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის" (სგსე) ელექტრო გამანაწილებელი ქსელისათვის საჭირო მასალების შესყიდვა |
| **რეგ. №:** | BMZ - № 2002 65 983 |
| **სატენდერო პროცედურა:** | საერთაშორისო ტენდერი |
| **პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია:** | სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (სგსე) |
| **დაფინანსება:** | სგსე-ს მიერ გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკიდან (KfW) მიღებული სესხი |

საქართველოს მთავრობამ KfW-სგან მიიღო სესხი, რომელიც გადაასესხა "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" პროექტის "ენერგოგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია I" განსახორციელებლად. სესხის ნაწილით მოხდება წინამდებარე განცხადების საფუძველზე ჩატარებული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებით შესყიდული საქონლის ღირებულების დაფინანსება.

სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" აცხადებს ტენდერს მასალა-მოწყობილობებზე, მათ შორის: მეტალის ყუთები ელ. ენერგიის მრიცხველებისათვის, რკინა-ბეტონის ბოძები და სხვა მასალები ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელისთვის. საქონლის დეტალური ჩამონათვალი და ტექნიკური აღწერილობა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია: ბ-ნ რეალ მეთიუ, ელ-ფოსტის მისამართი: real.mathieu@PAConsulting.com და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას ქვემოთ მოცემულ მისამართზე. ტენდერში მონაწილე დაინტერესებულ პირებს, ქვემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე, შეუძლიათ შეიძინონ სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი ინგლისურ ენაზე, რომლის ღირებულებაა 200 ლარი ან 90 ევრო. აღნიშნული თანხა მათ უკან არ უბრუნდებათ. სატენდერო დოკუმენტაცია გაიგზავნება დაბეჭდილი სახით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეიძლება შემდეგ მისამართზე:

**რეალ მეთიუ**
**სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია"**
**მარჯანიშვილის ქ. N16ა**
**თბილისი, 0102, საქართველო**

## შესწორება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 20 ივნის კომპიუტერულ ტექნიკის შეძენაზე გამოცხადებული ტენდერის მე-5 ლოტში არის:

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | ასლგადამღები | 16ppmA4\A3zoom50-20 10000p\month | 10 |

შესწორებული:

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | ასლგადამღები | 16ppmA4\A3zoom50-20 10000p\month | 1 |

## ექს მისის მაკარტნის სიგიჟე



პოლ მაკარტნის ყოფილი მეუღლე ჰითერ მილსი სიგიჟის ზღვარზეა. ახლობლები და მეგობრები სერიოზულად შიშობენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. საქმე ისაა, რომ მაკარტნისთან დაშორების შემდეგ, ვინც მის სახლს მიუახლოვდება, ყველას ვიდეოკამერით იღებს. იმასაც ამბობს, რომ თავდასხმის ეშინია.

მილსს ეშინია, რომ მასაც ჯონ ლენონივით მოკლავენ, ან დანით დაესხმებიან თავს, როგორც ეს ჯორჯ ჰარისონის შემთხვევაში მოხდა. ჰითერ მილსი ყველაზე საშინელისთვისაც მზადაა, რადგან ისიც კი აიკვიატა, რომ მის პატარა გოგონას გაიტაცებენ. გაზეთი The Sun იუწყება, რომ ერთხელ, სეირნობისას, მილსი პაპარაცებს მიუბრუნდა და უკივლა: "თავი დაანებეთ ჩემს შვილს, შეწყვიტეთ ჩვენი დევნა. ყველაფერს კამერით ვიღებ!"

ჰითერ მილსის წარმომადგენელის განცხადებით, ექს მისის მაკარტნი მოვლენებს საკმაოდ რეალურად აფასებს, რადგან შვილების გატაცებისგან არც ერთი ცნობილი ადამიანი არ არის დაზღვეული. თუმცა, არც იმას მალავს, რომ რამდენიმე დღის წინ მილსმა სამედიცინო ცენტრში აკვათერაპიის რამდენიმე კურსი გაიარა, რაც ნერვების დასაწყნარებელ საუკეთესო საშუალებად ითვლება.

როგორც ტაბლოიდები იუწყებიან, ჰითერ მილსის ნერვული, აშლილობა ქმართან განშორების გარდა, მისი პორნოწარსულის გახსენებამაც გამოიწვია. 1988 წელს მილსი გერმანული სპეციალური გამოცემისთვის Die Freuden der Liebe ("სიყვარულის ბედნიერება") პოზირებდა. 112-გვერდიან წიგნში უამრავი ილუსტრაციაა, რომლებზეც დედიშობილა მილსი "სექსის გაკვეთილებს" ატარებს. ასევე The Sun-ში დაიწერა სტატია იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობაში მაკარტნის ნაბოლარა შვილის დედა "ცხელი პორნოს" ვარსკვლავი იყო.

ამ სტატიას რამდენიმე გულახდილი ფოტო ახლდა. ერთ-ერთზე შიშველი, ზეთით "გაპოხილი" მილსი სექსუალურ კავშირს ამყარებს მამაკაცთან, რომელიც ვიბრატორსაც იყენებს. სხვა ფოტოებზე მილსი ხელბორკილებითაა, ხელში მათრახი უჭირავს და ტყავის საცვლები აცვია.

მილსის ადვოკატები ირწმუნებიან, რომ მათი კლიენტი არასდროს გადაუღიათ "ცხელ პორნოში", თუმცა გერმანიაში გამოცემული წიგნის შემთხვევაში აღიარეს, რომ მასში დაბეჭდილ ფოტოებზე მართლაც ჰითერ მილსია გამოსახული. ადვოკატების თქმით, მილსი ქმარს არაფერს უმალავდა, რადგან პორნოინდუსტრიასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ჰითერ მილსისა და პოლ მაკარტნის განქორწინება ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა, უკვე დიდი ხანია ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

## მირაჟის სიყვარული

**შოუ "ბითლზის" წევრებზე**




30 ივნისს ლას ვეგასში გაიმართა ახალი საცირკო შოუ, რომლის სათაურიც "სიყვარულია". წარმოდგენა "ბითლზის" წევრების ცხოვრებას ეხება და ამიტომ მის პრემიერაზე პოლ მაკარტნიმ, რინგო სტარმა, ჯონ ლენონის ვაჟებმა, მეუღლემ და ჯორჯ ჰარისონის შვილებმა მოიყარეს თავი.

წარმოდგენის სიუჟეტი ნაწილობრივ ქრონოლოგიურია, ნაწილობრივ კი გამოგონილი მოგზაურობაა დროში, როდესაც ოთხეულმა ლივერპულიდან მსოფლიო დაიპყრო. შოუს დროს დარბაზის კედლებზე პროექციით გადის "ბითლზის" ბოლო კონცერტის კადრები და ისმის ფრაგმენტები მათი ინტერვიუებიდან.

"ბითლზის" თემაზე საცირკო შოუს შექმნის იდეა Cirque du Soleil-ს ხელმძღვანელს გი ლილიბერტეს ჯორჯ ჰარისონმა გარდაცვალებამდე (2001) რამდენიმე თვით ადრე შესთავაზა. კონცეფციის მომზადებასა და სხვა მოსამზადებელ სამუშაოებს 5 წელი დასჭირდა. წარმოდგენის სრულქმნაში მონაწილეობა მიუღიათ რინგო სტარს, პოლ მაკარტნის, ოლივია ჰარისონსა და იოკო ონოს. პრემიერისთვის ვეგასის სასტუმრო "მირაჟში" სპეციალურად აუშენებიათ საკონცერტო დარბაზი, რომელიც 2000 კაცს იტევს.

## ჯონი დეპი ოცნებობს



ჯონი დეპი ოცნებობს რომელიმე პატარა თეატრში ითამაშოს "ჰამლეტი". 43 წლის მსახიობი სინანულით აღნიშნავს, რომ ჰამლეტის განსასახიერებლად მხოლოდ რამდენიმე წელი დარჩა, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ ამ გმირის მამის როლს მიიღებს.

სურვილი, რომ ითამაშოს შექსპირის პიესაში, მსახიობმა ახალი ფილმის ვერბინსკის "კარიბის ზღვის მეკობრეები: მიცვალებულების სუნდუკის" პრემიერის შემდეგ გაამჟღავნა. "ნებისმიერი ადამიანის კარიერაში არის აღმაფრენა და დაშვება. არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს მაღაზიების წინ მომიხდეს წარმოდგენების გამართვა", - აღნიშნა მსახიობმა.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა ალმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით ალმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

დიღომი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-7კმ, შპს „აუტოჰაუზი"
ტელ:53-07-14; 53-07-15; 22-25-90; ფაქსი:53-07-16
ელ.ფოსტა: autohaus@access.sanet.ge




"AutoBild"-ის 2006 წლის დასკვნის თანახმად ოპელი უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა გერმანულ ავტომწარმოებელთა შორის. გასულ წელს კონცერნი აღიარებული იყო, როგორც საუკეთესო გერმანული ბრენდი, მისი პროდუქციის საიმედოობით, ხარისხით, მომსახურებით და მომხმარებელთა გამოხმაურებით. კონცერნის მაღალ ხარისხს ასევე ადასტურებს სხვა გამოკითხვებიც; JD Power-ის გამოკითხვის შედეგად ოპელ-ვექტრაში წლის საუკეთესო ავტომანქანად აღიარეს.

"Bamberg"-ის უნივერსიტეტმა ოპელი მისი ხარისხით ევროპის საუკეთესო მარკად აღიარა.

"CarCheck"(შტუთგარდი)-ის გამოკითხვის შედეგად დადასტურდა, რომ ოპელს წუნის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ევროპულ ავტო ბაზარზე




"AutoBild"-მა განსაზღვრა საუკეთესო ბრენდი, გამოიყენა რა რამდენიმე ურთიერთისგან განსხვავებული მეთოდი. კერძოდ გამოკითხულ იქნა 24000ა/მ მფლობელი, შესწავლილ იქნა „TUV"-ის რეპორტი და ანალიზი ჩაუტარდა ა/მ ტესტის შედეგებს.

Auto Bild

2005 წლის ყველაზე ხარისხიანი ევროპული ავტოკომპანია

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## გაზპრომი საზღვრებს გარეთ მოღვაწეობას აფართოებს

კომპანია "გაზპრომის" აქციონერთა კრებაზე კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ "გაზპრომი" საზღვარგარეთ მოღვაწეობის მასშტაბებს კიდევ უფრო გაზრდის. მათივე თქმით, კომპანია მართვის სტრუქტურის რეორგანიზაციაზეც მუშაობს. "ჩვენ უახლოესი და პერსპექტიული ქვეყნების ბაზრებზე ბევრი მასშტაბური იდეის განხორციელებას ვაპირებთ. ეს კი პირველ რიგში მართვის სტრუქტურაში გარკვეული სიახლეების გატარებასთან არის დაკავშირებული." აცხადებს კომპანიის ხელმძღვანელი ალექსეი მილერი.

ცვლილებების შეტანის მცდელობა კომპანიაში არ აგვიანებს და კომპანიის პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი მედვედევი აქციონერთა საბჭოში გადადის, სადაც მას კიდევ 9 ახალი წევრი მოჰყვება.

მისივე განცხადებით, კომპანია "გაზპრომი" ბრიტანული კომპნია Centrica-ს აქციონერებთან შესაძლო შესყიდვის თაობაზე არანაირ მოლაპარაკებას აღარ აწარმოებს. "ჩვენ ამ ეტაპზე, მხოლოდ იქ მომუშავე კომპანიების საქმიანობის შესწავლით ვართ დაკავებულები,"-განაცხადა მილერმა.

ის, რომ კომპანიაში დიდი წინსვლებია, ამაზე მისი კაპიტალიზაციაც მეტყველებს. დღევანდელი მონაცემებით "გაზპრომის" კაპიტალიზაცია კიდევ 2,5%-ით გაიზარდა და 247 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამის საფუძველზე რუსული ბუნებრივი აირის კონცერნი სიდიდით მსოფლიოში უკვე მესამე პოზიციაზე გადის.

## British Petroleum-ს ამერიკის სასამართლო ემუქრება

ბრიტანული კომპანია British Petroleume-ის ხელმძღვანელი ლორდ ბრაუნი შესაძლოა ამერიკის სასამართლოს წინაშე წარდგეს. სასამართლო ბრაუნს ევროპულ ნავთობკომპანიაში ფასების მომატებასა და ფინანსურ მანიპულაციაში ედავება.

ბრიტანული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა British Petroleum-ის წინააღმდეგ ორი საქმის გამოძიება დაიწყო. ერთი, მომხმარებლებისათვის მიწოდებულ ბუნებრივ აირზე ფასის ხელოვნური ზრდა და შენარჩუნება, ხოლო მეორე კი, კომპანიის ხელმძღვანელობაში გარკვეული დარღვევები გახლავთ, რომელიც ფარულ მოლაპარაკებებთან არის დაკავშირებული. ეს მეორე საქმე კი ის მთავარი მიზეზია, რის გამოც კომპანიის შეფს ლორდ ბრაუნს სასამართლო დაკითხავს.

აღნიშნულ დარღვევებს ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავმა ორგანოებმა, ამერიკის იუსტიციის სამინისტრომ და საწვავი ნედლეულის ფუჩერსული ვაჭრობის კომისიამ მოჰფინა ნათელი. ორგანოების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ 2004 წელს კომპანია British Petrolume პროპანის აირის ფასებით მანიპულირებდა. აღნიშნული საწვავი ტეხას-ნიუ-იორკის გაზსადენს მიეწოდებოდა. აქედან გამომდინარე კი ამერიკელი მოსახლეობა იძულებული იყო საწვავის არაკანონიერად მომატებული ღირებულება გადაეხადა.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3155 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9786 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4825 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7720 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8271 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1517 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3021 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3082 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2520 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4398 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3408 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1305 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1544 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2470 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1935 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2319 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3991 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5965 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1643 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4368 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3303 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2845 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5574 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5953 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1158 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4231 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5401 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4470 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5419 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,7976 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1292 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1498 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4407 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2442 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4375 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0792 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2218 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2281 |




# საბაჟო გადასახადები

### რძის ფხვნილი ნულოვანი საბაჟო განაკვეთით არ დაიბეგრება

თინა შავაძე

*საქართველოს პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს "საბაჟო გადასახადის შესახებ". პარლამენტსა და მთავრობას შორის გამოთქმული შენიშვნები ასახულია შეთანხმების ფურცელში. კერძოდ, დოკუმენტში საუბარია, თუ რა სახის პროდუქციაზე შემცირდება საბაჟო გადასახადის განაკვეთი 0 პროცენტამდე. კანონპროექტზე მსჯელობა მიმდინარე კვირას გაგრძელდება და მისი მოსმენა პარლამენტის რიგგარეშე სესიებზეა დაგეგმილი.*

- **ზოგიერთ ჯგუფებში ჩამოთვლილი საქონელი, მცირე გამონაკლისების გარდა, იბეგრება მაქსიმალური განაკვეთით, ხოლო გამონაკლისები - შემცირებულით. მაგალითად, ხორცსა და ხორცის საკვებ სუბპროდუქტებში (ჯგუფი 02) რატომ უნდა იბეგრებოდეს მხოლოდ გაყინული შინაური ღორის ბარკლები და მისი ნაჭრები 5-პროცენტიანი განაკვეთით, როდესაც ამ ჯგუფში შემავალი ნებისმიერი დასახელების საქონელი, მათ შორის, ახალი და გაციებული ხორცი 12-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება?**
- **კანონპროექტში არანაირი ცვლილება არ ეხება ხე-ტყის მასალის საბაჟო გადასახადს არც ექსპორტის, არც იმპორტის დროს. საბაჟო გადასახადების ასეთი სისტემა კი ხელს უწყობს ადგილობრივი რესურსების გადინებას, რაც იწვევს საქართველოს ტყეების მნიშვნელოვან განადგურებას.**



B2

# საქართველოს საგადამხდელო ბალანსი 64 პროცენტით გაუარესდა

### წლის ბოლომდე ექსპერტები ამ ციფრის გაზრდას ელიან

მარიამ ჭაჭვაძე

*საქართველოს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში კვლავ უარყოფითია და მან 2006 წლის პირველ კვარტალში 193 მილიონ 500 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა ეს მაჩვენებელი 64.3 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. წლის ბოლომდე მოსალოდნელია საგადამხდელო ბალანსის კიდევ უფრო გაუარესება - ქვეყანაში შექმნილი რამდენიმე გარემოება ასეთი პესიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა.*

**იმ ფონზე, როცა რუსეთი ქართული წარმოების ალკოჰოლურ სასმელებს და მინერალურ წყლებს კარს უხურავს, ექსპერტები ექსპორტთან დაკავშირებით არასახარბიელო პროგნოზს აკეთებენ. მათი თქმით, წლის ბოლომდე მოსალოდნელია ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება. ამის ალბათობა რომ ძალიან დიდია, ამას კიდევ რამდენიმე ფაქტორიც ადასტურებს. მინერალური წყლები და ალკოჰოლური სასმელები - ამ ორ პროდუქციას წლების განმავლობაში საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში წამყვანი პოზიცია ეკავა, რომელთა გასაღების ყველაზე დიდი ბაზარი, დაახლოებით 70 პროცენტი, რუსეთი იყო.**

B4

# ის რისკში ერკვევა

### AIG - სადაზღვევო ბიზნესის ზვიგენი

გოჩა ქიმუცაძე

*დაზღვევა ყოველთვის ითვლებოდა ბიზნესის განსაკუთრებით კონსერვატიულ სახეობად. თუმცა ამ სფეროს ლიდერი, ამერიკული კომპანია American International Group Inc (AIG)-ი აშკარად განსხვავებული, ნოვატორული მეთოდებით გამოირჩევა. AIG სადაზღვევო ბაზრის უპირობო ლიდერია, იგი მსოფლიოს 140-მდე ქვეყანაში მოღვაწეობს და მისი პოლისი ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ყოველი 1000 ადამიანიდან ერთს მაინც აქვს. ამიტომაც შეარქვეს მას შურით აღვსილმა კონკურენტებმა "ზვიგენი".*
*სადაზღვევო გიგანტი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა. განთქმულ ჟურნალ Forbes-ის რეიტინგში იგი მეოთხე ადგილზეა და მხოლოდ Citigroup-ს, General Elactric-ს და Bank of America-ს ჩამორჩება. შარშან AIG-ის სუფთა მოგებამ 106,98 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო მისი საბაზრო კაპიტალიზაცია 172,24 მილიარდ დოლარს უტოლდება.*

**გასულ წელს AIG-ი ფინანსურ სკანდალში გაეხვა, რასაც გრინბერგის გადაყენება მოჰყვა. როცა სამი წლით ადრე მან თავისი მემკვიდრის შერჩევა საუკეთესო მეგობარს და კომპანიონს ფრენკ ზაბრს დაავალა, ალბათ, მაშინ წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ მის კარიერას წერტილს სწორედ ზაბრი დაუსვამდა. ზაბრმა გრინბერგის გადაყენება მოითხოვა და მისი პოსტის თავისი ფავორიტის, მარტინ სალივანის მიერ დაკავებას ხელი ყველანაირად შეუწყო.**



მარტინ სალივანი.

B3

## "საირმეს" ჩამოსხმის ლიცენზიაზე აუქციონი ოთხშაბათს გაიმართება

"საირმეს" მინერალური წყლის ჩამოსხმის 25-წლიან ლიცენზიაზე აუქციონი გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 5 ივლისს 12 საათზე გაიმართება. როგორც "პრაიმ-ნიუს ბიზნესს" სამინისტროში განუცხადეს, ლიცენზიის მოპოვებაზე სამინისტროში 2 განაცხადი შევიდა. განაცხადების მიღება 15 მაისიდან 15 ივნისამდე მიმდინარეობდა. ლიცენზიის საწყისი ფასი 400 ათას ლარს შეადგენს. სამინისტროს ინფორმაციით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც დააკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და სახელმწიფოს ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს. ლიცენზია საირმის წყლის მთლიან მარაგზე ერთი კომპანიის მფლობელობაში გადავა. აქამდე მინერალურ წყალზე 3 ლიცენზია იყო გაცემული, აქედან ერთ მფლობელს ლიცენზია ვადამდე ჩამოერთვა, ხოლო ორს მოქმედების ვადა იანვარში გაუვიდა, - აცხადებენ სამინისტროში. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ენერგობალანსში ელექტროენერგიის იმპორტს 16 პროცენტი უკავია

"ენგურჰესის" სარეაბილიტაციოდ გაჩერების შემდეგ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა (სესბ) 1-15 ივლისის ენერგობალანსი შეიმუშავა და შესათანხმებლად სახელმწიფო ელექტროსისტემაში გადააგზავნა. ენერგობალანსში გათვალისწინებულია ქვეყნის შიდა რესურსები (ჰიდროელექტროსადგურები, "თბილსრესის" მე-3 ბლოკი და აირტურბინა) და მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებული ელექტროენერგია, - აცნობეს "პრაიმ-ნიუს ბიზნესს" საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრიდან. სესბ-ის მერ შემუშავებული ბალანსის მიხედვით, "თბილსრესის" მე-3-ე ენერგობლოკის საშუალო დღე-ღამური გამომუშავება 3,12 მლნ კვტსთ-ს (სიმძლავრე 130 მეგავატი) შეადგენს. აირტურბინის საშუალო დღე-ღამური გამომუშავება საპროგნოზო გრაფიკში 0,94 მლნ კვტსთ-ია (სიმძლავრე - მაქსიმალური 90 მეგავატი, მინიმალური 0 მვტ). ჰიდროსადგურები საშუალოდ 11,8 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. საპროგნოზო გრაფიკში მეზობელი ქვეყნებიდან 3,226 მლნ კვტსთ-ი ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება (მთლიანი ბალანსის 16%); მათ შორის, რუსეთიდან 3,1 მლნ კვტსთ და თურქეთიდან 0,126 მლნ კვტსთ ელექტროენერგია შემოედინება. ზემოთ ჩამოთვლილი სიმძლავრეების გათვალისწინებით 1-15 ივნისის პერიოდისათვის საპროგნოზო საშუალო დღე-ღამურმა გასაყიდმა ელექტროენერგიამ, ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით, 19.1 მლნ კვტსთ შეადგინა, მათ შორის: ქ. თბილისისთვის დაგეგმილია 4.5 მლნ კვტსთ ელ.ენერგიის მიწოდება, შესაბამისად, მაქსიმუმზე სიმძლავრე 260 მვტ-ს შეადგენს. გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას 4.5 მლნ კვტსთ-ი ელექტროენერგია მიეწოდება, მაქსიმუმზე 290 მვტ სიმძლავრით. აჭარის ენერგოკომპანიისთვის დაგეგმილია 0.98 მლნ კვტსთ-ის ოდენობის ელექტროენერგიის მიწოდება, სიმძლავრე მაქსიმუმზე 70 მვტ-ია. კახეთის ენერგოდისტრიბუციისთვის დაგეგმილია 0.5 მლნ კვტსთ ელექტროენერგიის მიწოდება, მაქსიმუმზე 44 მვტ სიმძლავრით. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლები 20,1 პროცენტით გაიზარდა

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლები 2005 წელს, წინა წელთან შედარებით, 20,1%-ით გაიზარდა და 715,5 მლნ ლარი შეადგინა, - აღნიშნულია "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" მიერ წარმოდგენილ 2005 წლის წლიურ ანგარიშში. ზრდის მოცულობამ 2005 წელს 119,6 მლნ ლარი შეადგინა. 2000 წლიდან საკომუნიკაციო მომსახურების დარგის საერთო წლიურმა შემოსავალმა თითქმის 2,38-ჯერ იმატა, რაც ეკონომიკის ამ სექტორში მიმდინარე რეფორმების წარმატებულობის ერთ-ერთ მაჩვენებლად უნდა იქნას მიჩნეული, - აცხადებენ კომისიაში. კომისიის ინფორმაციით, შემოსავლების წლიური ზრდის ტემპი 2005 წელს 20,06% შეადგინა. საქართველოს საკომუნიკაციო მომსახურების დარგის ყოველთვიური შემოსავლების ოდენობა საქართველოს ერთ მოსახლეზე გადაანგარიშებით 4,3 ლარიდან 15,1 ლარამდე გაიზარდა. ხუთი წლის განმავლობაში საკომუნიკაციო მომსახურების ტარიფების რებალანსირებისას მათი ოდენობები პრაქტიკულად არ გაზრდილა, არამედ რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მათ მკვეთრ შემცირებას (მაგალითად, საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ბაზრის სეგმენტი), და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მოთხოვნილი მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით არანაკლებ 4-ჯერ გაიზარდა, - ნათქვამია ანგარიშში. გასული 5 წლის განმავლობაში ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლების წილი მშპ-ში ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით. თუ 2000 წელს აღნიშნული მაჩვენებლის ოდენობა 3,52% შეადგენდა, 2005 წელს მთლიან შიდა პროდუქტში დარგის შემოსავლების წილი 6,21%-მდე გაიზარდა. ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში შემცირდა ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების შემოსავლების წილი დარგის მთლიან შემოსავლებში - 42%-დან 35,2%-მდე. ტელერადიომაუწყებლობის წილი შედარებით ვიწრო დიაპაზონში მერყეობდა და საშუალოდ 4,25%-ს შეადგენდა. "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" 2005 წლის ანგარიში, კანონის შესაბამისად, პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს წარედგინა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველოში სამაუწყებლო ბაზარი დინამიურად ვითარდება

ტელერადიომაუწყებლობის სფეროში 2005 წელს კომპანიების მიერ მიღებულმა საერთო შემოსავალმა 31,729 მლნ ლარამდე მოიმატა და საქართველოს ელექტრონული კომონიკაციების ბაზრის მთლიანი შემოსავლების 4,43% შეადგინა, - აღნიშნულია "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" მიერ წარმოდგენილ 2005 წლის წლიურ ანგარიშში. ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული სეგმენტი 2002 წლამდე ეკონომიკური მომგებიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებული მომზიდველობით არ გამოირჩეოდა, რაც იმ პერიოდში სარეკლამო ბაზრის მცირე მოცულობით და განვითარების დონით იყო განპირობებული. 2003 წლიდან დაიწყო სამაუწყებლო ბაზრის მკვეთრი გაფართოება. შემოსავლების ზრდა, ძირითადად, საეთერო ტელემაუწყებლობის სეგმენტის გაფართოებამ განაპირობა, რომლის წილი სამაუწყებლო სექტორის მთლიან შემოსავლებში 5 წლის განმავლობაში 28,2%-დან თითქმის 64%-მდე გაიზარდა. ამ პერიოდის განმავლობაში ტელემაუწყებლობის შემოსავლების წლიური ზრდის ტემპის კომპოზიტურმა ინდექსმა 48,8% შეადგინა. "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" დაკვეთით ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფის მიერ საქართველოს მასშტაბით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 46%-ზე მეტმა გამოთქვა სპეციალიზირებული არხის არსებობის სურვილი, მათ შორის, მხატვრული ფილმების - 43,6%, სპორტული - 39,3%, საინფორმაციო - 29,7%, იუმორისტულ-გასართობი - 25,6%. კომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადებისა და პროგრამირების ასპექტით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას კომისია ითვალისწინებს საზოგადოების პრიორიტეტებს და ლიცენზიის მაძიებელთა მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციების მათთან შესაბამისობას. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# საბაჟო გადასახადები

პირველი გვერდიდან

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი მოითხოვს, მთავრობამ წარმოადგინოს ანალიზი, რამდენად ინარჩუნებს ქვეყანა წარმოდგენილი საბაჟო ტარიფებით ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის აუცილებელ ბერკეტებს და რამდენად უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვას ანალოგიური პროდუქციის იმპორტისაგან. აგრარულ-სასურსათო სექტორის დაცვისა და ადგილობრივი წარმოების წახალისების მიზნით კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილ კანონპროექტში გაითვალისწინონ შემდეგი პოზიციები: მაღალხარისხოვანი სათესლე და სანაშენე პროდუქციის უკმარისობის გამო ყველა მზესუმზირის თესლზე - 120600100, წმინდა ჯიშის სანაშენე ცხოველებზე - 010210, ცხენებზე -010110100, საჯიშე (წმინდა სისხლის) ღორებზე - 010310000, თხებზე - 010420100, სანაშენე წიწილებზე - 010511 110, ხარის სპერმაზე - 051110, რძის ფხვნილზე: ა) 04031051000 - არაუმეტეს 1,5 მას. პროცენტისა, Bბ) 04031053000 - 1,5 მას. პროცენტზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 27 მას. პროცენტისა, გ) 04031059000 - 27 მას. პროცენტზე მეტი, რძის ცხიმზე 04059010000 - ცხიმის შემცველობით 99,3 მას. პროცენტზე მეტი და წყლის შემცველობით არაუმეტეს 0,5 მას. პროცენტისა, ნაცვლად წარმოდგენილი 12-პროცენტიანი განაკვეთისა შემოღებულ იქნას 0-პროცენტიანი განაკვეთი. აღნიშნული განპირობებულია მეთესლეობის, სანაშენე მეცხოველეობის, მეფრინველეობის და გადამამუშავებელი წარმოების განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით.

**მთავრობამ რძის ფხვნილის გარდა, დანარჩენი შენიშვნები გაითვალისწინა.**

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს სეზონური საბაჟო გადასახადის გაუქმება კი მიუღებლად მიაჩნია, რადგან იგი უარყოფითად იმოქმედებს ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაზე;

**შენიშვნა გათვალისწინებული არ არის (სეზონური ტარიფების გაუქმება ხელს შეუწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, კორუფციის შესაძლებლობის შემცირებას და აღრიცხვიანობის გამარტივებას).**

ამის გარდა, კომიტეტის შენიშვნები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:



სპეციალური გადასახადების ცხრილში დაემატება შემდეგი სახის საქონელი: ხორბლის ფქვილი, ჩაი, ხილის წვენები და ზოგიერთი სხვა პროდუქტი, რომელთაც საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ჩვენს ბაზარზე შემოდის უცხო ქვეყნებიდან დემპინგური ფასებით, ამ ქვეყნების მიერ შესაბამისი სფეროს საწარმოების სუბსიდირების შედეგად.

**შენიშვნა გათვალისწინებული არ არის (ეწინააღმდეგება კანონპროექტის ერთიან პრინციპს. კანონპროექტი არ ითვალისწინებს გამონაკლისებს).**

აბსოლუტურად მიუღებელია ხორბლის, ჭვავის და სხვა მარცვლეულის, აგრეთვე, სათესლე მასალის იმპორტზე მოქმედი გათავისუფლების მაგიერ 12-პროცენტიანი განაკვეთის შემოღება;

**შენიშვნა გათვალისწინებულია.**

მიუღებელია, რომ ზოგიერთ ჯგუფებში ჩამოთვლილი საქონელი, მცირე გამონაკლისების გარდა, იბეგრება მაქსიმალური განაკვეთით, ხოლო გამონაკლისები - შემცირებულით. მაგალითად, ხორცსა და ხორცის საკვებ სუბპროდუქტებში (ჯგუფი 02) რატომ უნდა იბეგრებოდეს მხოლოდ გაყინული შინაური ღორის ბარკლები და მისი ნაჭრები 5-პროცენტიანი განაკვეთით, როდესაც ამ ჯგუფში შემავალი ნებისმიერი დასახელების საქონელი, მათ შორის, ახალი და გაციებული ხორცი 12-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება? ანალოგიური მდგომარეობაა მე-17, მე-20 ჯგუფში.

**შენიშვნა გათვალისწინებული არ არის (ეწინააღმდეგება კანონპროექტის ერთიან პრინციპს. კანონპროექტი არ ითვალისწინებს გამონაკლისებს).**

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების მე-8 მუხლის ლ) ქვეპუნქტი, რომელიც შეეხება ფიზიკურ პირებს, დახვეწას საჭიროებს. კერძოდ, კომიტეტს მიაჩნია, რომ აქ მითითებული თანხის და წონის ოდენობები უნდა გაიზარდოს და, აგრეთვე, დაემატოს ერთგვაროვანი საქონლის შემოსატანი მოცულობები, რაც დღეს, სამწუხაროდ, არ არის.

**შენიშვნა გათვალისწინებულია ნაწილობრივ (არსებული 300 ლარამდე ზღვარი საჰაერო ტრანსპორტით პროდუქციის შემოტანისას გაიზრდება 1500 ლარამდე).**

პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის შენიშვნები:

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქციისათვის თანაბარი საბაზრო პირობების შექმნა გამოიწვევს კონკურენტუნარიანი გარემოს გაუმჯობესებას და ადგილობრივი წარმოების ხარისხზე ორიენტირებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი თანაბარი საბაზრო პირობების შექმნა ჩვენი ეროვნული ტრადიციული დარგების სამეწარმეო პოტენციალის შემცირებას გამოიწვევს. ამიტომ, გარკვეული დროით მაინც უნდა იქნას შენარჩუნებული პროტექციონისტური მიდგომა სამამულო სტრატეგიული დარგების მიმართ, ხოლო თანაბარი საბაზრო პირობების შექმნით ადგილობრივი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს დარგები მყარად დადგებიან ფეხზე. ამიტომ სასურველია, ნორმატიული აქტით განისაზღვროს, თუ რომელი სფეროები უნდა იყოს დაცული და რა რეჟიმები იქნება გათვალისწინებული;

**შენიშვნა გათვალისწინებული არ არის (ეწინააღმდეგება კანონპროექტის პრინციპებს. ამასთან, არალიბერალური მიდგომაა).**

კანონპროექტის მოსალოდნელ ფინანსურ შედეგებში აღნიშნულია იმპორტირებული პროდუქციის ფასების შემცირება. ეს გამოიწვევს ადგილობრივ მწარმოებელთა განადგურებას, რადგანაც მათ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელი არ მიუწვდებათ და პროდუქციის ერთეულზე დაბალ თვითღირებულებას ვერ უზრუნველყოფენ. შედეგად, მივიღებთ იმას, რომ წავახალისებთ მწარმოებელს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს ნაბიჯი გამართლებული იქნებოდა დეფიციტის პირობებში. ამჟამად, როდესაც ჩვენი ბაზარი გაჯერებულია ყველა სახის პროდუქციით, მიზანშეწონილია, წახალისდეს სამამულო წარმოება;

**შენიშვნა გათვალისწინებული არ არის (ეწინააღმდეგება კანონპროექტის ერთიან პრინციპს. კანონპროექტი არ ითვალისწინებს გამონაკლისებს)**

წარმოდგენილ კანონპროექტში არანაირი ცვლილება არ ეხება ხე-ტყის მასალის საბაჟო გადასახადს არც ექსპორტის, არც იმპორტის დროს. საბაჟო გადასახადების ასეთი სისტემა კი ხელს უწყობს ადგილობრივი რესურსების გადინებას, რაც იწვევს საქართველოს ტყეების მნიშვნელოვან განადგურებას. ამიტომ აუცილებელია, ხე-ტყის რესურსების გატანა მაქსიმალური საბაჟო გადასახადით დაიბეგროს, ხოლო შემოტანა - მინიმალურით;

**შენიშვნა გათვალისწინებულია ნაწილობრივ (ხე-ტყის მასალის იმპორტი ნულოვანი განაკვეთით დაიბეგრება).**

## საქართველოში გაზის და ნავთობის მოპოვებაზე ლიცენზია სამმა კომპანიამ მოიპოვა

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის და გაზის მოპოვებაზე ლიცენზია სამმა კომპანიამ მოიპოვა.

როგორც "პრაიმ-ნიუს ბიზნესს" საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოდან აცნობეს, დასავლეთ საქართველოში V სალიცენზიო ბლოკზე ნავთობის და გაზის მოპოვების ლიცენზია საქართველოში რეგისტრირებულმა ყაზახურმა კომპანიამ "აქსაი-BMP" მიიღო (300 ათასი აშშ დოლარი). "Global oil energy"-მ ლიცენზია VIIb (600 ათასი აშშ დოლარი) და VIII (150 ათასი აშშ დოლარი) ბლოკებზე მიიღო."Strait oil and gas"-მა ნავთობის და გაზის მოპოვების ლიცენზია VIa (250 ათასი აშშ დოლარი) და VIb (200 ათასი აშშ დოლარი) ბლოკებზე მოიპოვა.

დასავლეთ საქართველოში V, VIa, VIb, VIIb და აღმოსავლეთ საქართველოში VIII სალიცენზიო ბლოკებზე ნავთობის და გაზის მოპოვებაზე 25-წლიანი ლიცენზიის მისაღებად სახელმწიფო სააგენტოში სულ 11 განაცხადი შევიდა. სატენდერო წინადადებები მხოლოდ შავი ზღვის აკვატორიაში მდებარე IId სალიცენზიო ბლოკზე არ იყო წარმოდგენილი.

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ანდრო კოტეტიშვილის განცხადებით, სავარაუდო ინვესტიციები საქართველოში აღნიშნულ ბლოკებზე ძებნა-ძიების და მოპოვებით სამუშაოებზე 50 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ტენდერში მონაწილეობა ხუთმა კომპანიამ მიიღო - "Global oil energy" (რეგისტრირებულია ბრიტანულ ვირჯინიის კუნძულებზე), "Strait oil and gas" (რეგისტრირებულია გიბრალტარზე), "ბავარიული ნავთობისა და გაზის კომპანია" (რეგისტრირებულია გერმანიის ქალაქ აუგსბურგში), "ანგლო ჯორჯია პეტროლეუმი", "აქსაი-BMP" (ორივე - რეგისტრირებულია თბილისში).

დღესდღეობით საქართველოში ნავთობის 16 და გაზის 2 საბადო არსებობს. ახალი საბადოების ძებნას და არსებულ ჭაბურღილებზე ნავთობისა და გაზის მოპოვებას აქამდე სახელმწიფო კომპანია "საქნავთობი", უცხოური კომპანიები "კანარგო", "ანადარკო" და "ფრონტერა" ახორციელებდნენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**


გალტ & თაგგარტ სიქიურითის
GALT & TAGGART SECURITIES

3 ივლისი 2006

საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 494,087 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 41,858,369 |

| | 30-ივნ-2006 | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.773 | ▲ | 0.11% | 1.09% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 576.0 | ▲ | 0.29% | 63.19% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 517.1 | ▲ | 0.17% | 61.41% |

GTBC ინდექსი (GEL) & სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




საქართველოს ბანკის აქციის ფასი




გაცვლითი კურსი GEL/US




| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 7,910 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 223,572 |

| მომავალ კვირას | |
|---|---|
| სსბ-ს სესია No. 53 | 4 ივლისი |
| სსბ-ს სესია No. 54 | 6 ივლისი |

საფონდო ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 0.17%-ით შემცირდა, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 494.1 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები რვა სხვადასხვა აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო სამი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 0.36%-ით), გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ყიდვა, დაიკლო 0.57%-ით), და უნივერმაღი თბილისი (UTB, ფლობა, ფასი არ შეცვლილა). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 70.6% მოდიოდა.

გასულ კვირას საქართველოს ბანკმა 2006 წლის მაისის არააუდიტირებული, ბანკისა და მთლიანი ჯგუფის კონსოლიდირებული შედეგები გამოაქვეყნა. ბანკის წმინდა მოგებამ 6.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 59.0%-ით მეტია. ნორმალიზებულმა წმინდა საოპერაციო მოგებამ 4.1 მლნ. ლარი შეადგინა, ანუ 116%-ით მეტი, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. არსებული ზრდა გამოიწვია წმინდა საპროცენტო შემოსავლების წლიურმა მატებამ 63%-ით 4.2 მლნ. ლარამდე და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ზრდამ 102%-ით 2.9 მლნ. ლარამდე. წლის დასაწყისიდან ბანკის ნორმალიზებული წმინდა საოპერაციო მოგება გაიზარდა 65%-ით 15.2 მლნ. ლარამდე, რაც გამოწვეული იყო წმინდა საპროცენტო შემოსავლების 46%-იანი ზრდით 18.3 მლნ ლარამდე და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების 56%-იანი ზრდით 10.4 მლნ ლარამდე.

ეკონომიკა

**2006 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა 133.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა,** რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 50%-ით აღემატება. აქედან 88.4% (118.3 მლნ. აშშ დოლარი) პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მოდის. პრივატიზაციიდან შემოსული თანხები ქართული კომპანიების სააქციო კაპიტალში ინვესტიციების 35.9%-ს (42 მლნ აშშ დოლარს) შეადგენს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციები სამეწარმეო და საბანკო სექტორებში. სამეწარმეო ინვესტიციების წილი კომპანიების ავტორიზებულ კაპიტალში 75.7%-ს (63.5 მლნ. დოლარს) გაუტოლდა BP-ის ინვესტიციების ჩათვლით. საბანკო სექტორზე ამგვარი ინვესტიციების 10.4%, ანუ 12.3 მლნ. აშშ დოლარი მოდის.

2006 წლის აპრილ/მაისის პერიოდში სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის (Shah-Deniz) მშენებლობაში ინვესტიციებმა 100 მლნ. დოლარს გადააჭარბა. თბილისის და ბათუმის აეროპორტების მშენებლობებისა და თბილისის ბუნებრივი აირის სადისტრიბუციო ქსელის რეკონსტრუქციის ჩათვლით, ინვესტიციებმა მეორე და მესამე კვარტალში შესაძლოა 700 მლნ. აშშ დოლარს მიაღწიოს.

მილსადენი

**ევროკავშირი მხარს უჭერს ტრანსკასპიური გაზსადენ Nabucco-ს მშენებლობას და უზრუნველყოფს მის ძირითად დაფინანსებას.** Nabucco-ს მთლიანის ღირებულება, რომელიც სავარაუდოდ 2012 წელს ამოქმედდება, სავარაუდოდ 5.8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ტრანსკასპიური გაზსადენის საშუალებით თურქმენეთიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან გაზი მიეწოდება ევროპას. გაზსადენის დასავლეთის ნაწილი დაიწყება საქართველოს დასავლეთს საზღვრებიდან და გადაკვეთს თურქეთს, ბულგარეთს, რუმინეთს, უნგრეთს და ავსტრიას. სამხრეთი ნაწილი შეუერთდება მილსადენს, რომელიც გადაკვეთს ერაყს, ირანის ყურის ქვეყნებს და შესაძლოა ირანს. გაზსადენის სიგრძე 3300 კმ იქნება.

სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.11%-ით გაიზარდა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 7.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 13.1 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ეროვნული ბანკმა ჯამში 1.8 მლნ. აშშ დოლარი გაყიდა.

ეროვნული ბანკის ცნობით 2006 წლის 16 ივნისს საქართველოს უცხოურმა სავალუტო რეზერვებმა 500.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინეს, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს 196.5 მლნ აშშ დოლარით აღემატება. სავალუტო რეზერვების ზრდა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო ობიექტების პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხებით. 2006 წლის პირველი 5 თვის განმავლობაში უცხოური ვალუტის რეზერვებიდან შემოსავალმა 13.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6.5 მლნ აშშ დოლარით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემს.

გალტ & თაგგარტ სიქიურითის
GALT & TAGGART SECURITIES

3 ივლისი 2006

საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 52, 29 ივნისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 16 | 12.90 | 12.91 | 12.90 | 54.6 | 13,629 | 175,815 | 200,331,298 | - |
| UTC | 17 | 0.52 | 0.55 | 0.53 | 46.1 | 71,050 | 37,344 | 54,302,496 | ყიდვა |
| UTB | 6 | 27.00 | 27.00 | 27.00 | 50.0 | 93 | 2,511 | 26,172,909 | ფლობა |
| SLAD | 1 | 0.98 | 0.98 | 0.98 | 875.0 | 119,445 | 116,459 | 1,280,955 | რეკ. გარეშე |
| TOLI | 1 | 0.10 | 0.10 | 0.10 | -90.0 | 2 | 0 | 97,040 | რეკ. გარეშე |
| GIT | 3 | 0.15 | 0.15 | 0.15 | na | 57,024 | 8,554 | 77,452 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 340,683 | | |

სესია No. 51, 27 ივნისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 16 | 12.75 | 12.89 | 12.86 | 54.1 | 7,049 | 90,652 | 199,710,116 | - |
| UTC | 18 | 0.50 | 0.60 | 0.53 | 46.1 | 68,700 | 36,104 | 54,302,496 | ყიდვა |
| UTB | 2 | 6.30 | 27.00 | 6.44 | -64.2 | 1,007 | 6,489 | 6,246,601 | ფლობა |
| TRMS | 1 | 1.36 | 1.36 | 1.36 | 28 | 205 | 279 | 757,925 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 1 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 1,720.0 | 494 | 1,798 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| TOLI | 1 | 0.10 | 0.10 | 0.10 | -90.0 | 180,820 | 18,082 | 97,040 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 153,404 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

26 ივნისი, 2006 – 30 ივნისი, 2006

| კოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 0.71 | 0.70 | 0.79 | 0.73 | 0.8 | 1,715,200 | 144.4 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.20 | 2.21 | 2.55 | 2.48 | 12.7 | 4,948,835 | 144.3 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.36 | 1.25 | 1.39 | 1.30 | -4.4 | 308,500 | 122.2 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 12.90 | 0.36 | 54.49 | 29-ივნ-06 | 266,467 | 200,331,298 | 22.0 | 59.8 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.2 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ყიდვა | 0.53 | -0.57 | 46.11 | 29-ივნ-06 | 73,448 | 54,302,496 | 9.4 | 6.9 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | ფლობა | 2.44 | 0.00 | 110.34 | 15-ივნ-06 | 0 | 51,240,000 | 10.0 | 7.0 |
| ყაზბეგი | KAZB | ფლობა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 30-მაი-06 | 9,000 | 26,172,909 | 35.5 | 12.6 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | ფლობა | 7.51 | 0.00 | 200.40 | 29-ივნ-06 | 0 | 21,028,000 | 42.7 | 12.2 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | ფლობა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 30-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.2 |
| რუსთავცემენტი | RUCE | ყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 348,915 | 501,701,621 | | 100 |

საფონდო ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით ვაჭრობის შედეგები

26 ივნისი, 2006 – 30 ივნისი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | დაფარვის თარიღი | საპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | გაყ | საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებულებებთან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/ S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 102 | 102 | 102 | - | 11.00 | 4 | 581 | 1.03 | B-/B3 |
| პროკრედიტბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.15 | - | 15.10 | -3 | 985 | 0.35 | B / - / - |

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა ყიდვა: 10%-20% ზრდა ფლობა: 10% კლება ან 10% ზრდა, გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0162, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74ა,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
თამუნა ბიჭინაშვილი
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

ზემოთმოყვანილი მასალა შექმნილია სს "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითის" მიერ. "გალტ ენდ თაგგარტი" წარმოადგენს მომსახურების სრული სპექტრის მქონე საბროკერო კომპანიას, რომელიც დაკავშირებულია სს "საქართველოს ბანკთან" ("საქართველოს ბანკი" არის "გალტ ენდ თაგგარტის" უმსხვილესი აქციონერი და მნიშვნელოვანი კლიენტი). "გალტ & თაგგარტს" და/ან მასთან დაკავშირებულ პიროვნებებს შეუძლიათ განახორციელონ ან ჰქონდეთ განხორციელებული მათ საკუთარ ანგარიშზე ოპერაცია ან ოპერაციები იმ ინვესტიციებში, რომლებიც მოცემულია ზემოხსენებულ მასალაში ვიდრე შესაბამისი მასალა გამოქვეყნდება "გალტ ენდ თაგგარტ"-ის კლიენტებისათვის. ეს დოკუმენტი არ არის და არ უნდა იყოს გაგებული როგორც რომელიმე ფასიანი ქაღალდის გაყიდვის ან ყიდვის შეთავაზება. ინფორმაცია და შეხედულებები, რომლებსაც მოიცავს ეს დოკუმენტი, "გალტ ენდ თაგგარტი"-ს მიერ შედგენილია ან მიღებულია სარწმუნო წყაროებიდან კეთილსინდისიერების დაცვით, მაგრამ ის არ ნაწილავს და არ იძლევა მათი სიზუსტის, სრულყოფილებისა და კორექტულობის გარანტიას. ამ დოკუმენტში მოცემული ყველა შეხედულება და შეფასება ეკუთვნება "გალტ ენდ თაგგარტის" გადაწყვეტილებებს მოცემული კონკრეტული თარიღისათვის და ექვემდებარება შეტყობინების გარეშე შეცვლას. ამ დოკუმენტში გამოცემული ინფორმაცია გამოქვეყნებულია მის სავარაუდო რეციპიენტთა (მკითხველთა) დასახმარებლად, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურად ან მიღებულ იქნეს რომელიმე რეციპიენტის მიერ საკუთარი გადაწყვეტილების განხორციელებისათვის. "გალტ & თაგგარტი" არ ღებულობს პასუხისმგებლობას არანაირი, პირდაპირ თუ მოსალოდნელი, იმ დანაკარგებისათვის, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ამ დოკუმენტის გამოყენების შედეგად ან მისი შინაარსიდან გამომდინარე. ეს დოკუმენტი არ შეიძლება იყოს გამრავლებული, გავრცელებული ან გამოქვეყნებული რაიმე მიზნისათვის მესამე პირის მიერ. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიღებულ იქნეს "გალტ & თაგგარტის" ზემოთმოცემულ მისამართზე.

## „გაზპრომი" მსოფლიო რეიტინგის სათავეში აღმოჩნდა

ნავთობსა და გაზზე ფასების ზრდამ რუსული გიგანტი კომპანია "გაზპრომი" ევროპის უძვირფასეს კომპანიად აქცია. როგორც ავტორიტეტული გამოცემა Finansial Times-ი იუწყება, მთლიანობაში, "გაზპრომმა" მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიის რეიტინგში მეათედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. აღნიშნულ რეიტინგს, რომელიც კომპანიათა საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვითაა შედგენილი, კვლავინდებურად ამერიკული ნავთობგიგანტი ExxonMobil-ი ლიდერობს, მეორეზე ასევე ამერიკული მრავალპროფილიანი კონცერნი General Electric-ია, მესამეზე, როგორც მოგახსენეთ, რუსული "გაზპრომია", რომელსაც ოდნავ ჩამორჩება ამერიკული საფინანსო ჰოლდინგი Citigroup-ი, მეხუთე ადგილზე კი ბილ გეითსის Microsoft-ი ჩამოქვეითდა, რომელსაც ადრე მესამე ადგილი ეკავა. აღნიშნულ რეიტინგში აშშ კვლავ დომინირებს, კერძოდ, აღნიშნული 500 კომპანიიდან 200 სწორედ ამერიკულია. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ რეიტინგში ფართოდაა წარმოდგენილი ბანკები და ნავთობკომპანიები.

## ევროზონაში ეკონომიკის ზრდა კლებულობს

ევროზონაში შემავალი თორმეტი ქვეყნის ეკონომიკა მიმდინარე წლის განმავლობაში საგრძნობლად დაბალი ტემპით გაიზრდება. ასეთ პროგნოზს ევროპის ცენტრალური ბანკის წარმომადგენლები აკეთებენ. BBP-ს ზრდის წლევანდელმა მაჩვენებელმა 1,9%-ს მიაღწია, მაშინ, როცა ევროპის ცენტრალური ბანკი 2,1%-ს ელოდა. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები ევროზონის სამომავლო ეკონომიკურ სიტუაციას ოპტიმისტურად უყურებენ. "არცთუ ისე სახარბიელო ფინანსურმა პირობებმა და, ამასთან, მსოფლიო ეკონომიკის სუსტმა სტიმულმა ევროზონის ეკონომიკას თავისი კვალი მაინც დააჩნია," - აცხადებენ სპეციალისტები. ოფიციალური ინფორმაციით, წელს ევროზონაში ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 2,3%-ს გაუტოლდება, სამომავლოდ კი ეს მაჩვენებელი 1,9%-მდე შემცირდება. ევროპის ცენტრალური ბანკის პროგნოზით, სამომხმარებლო ფასი მიმდინარე წელს 2,3%-ით გაიზრდება, მომავალი 2007 წლისთვის კი - 2,2%-ით.

## საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციას ვერ ახერხებს

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა ჟენევის შეხვედრაზე მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. "არ ღირს იმის თქმა, რომ ეს არ იყო წარუმატებლობა. ჩვენ შევედით ჩიხში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შეთანხმება გამორიცხულა, ყოველ შემთხვევაში ამის დიდი იმედი გვაქვს," - განაცხადა ინდოეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა კამალ ნატმა.

მოლაპარაკებების დაწყების წინ, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პასკალ ლამმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციის მომავალი მათზეა დამოკიდებული. ამ წარუმატებლობის შემდეგ ის აცხადებს, რომ ადვილი შესაძლებელია, რომ ორგანიზაციამ აღნიშნული რაუნდი ვერ გადალახოს. ეს მოლაპარაკება გეგმის მიხედვით 2006 წლის ბოლომდე გრძელდება და მთელი რიგი შეთანხმებების ხელმოწერებს ითვალისწინებს.

განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თავიანთ ბაზრებზე მრეწველობის პროდუქტების საექსპორტო ტარიფების შემცირების მცდელობას ეწინააღმდეგებიან. მათი აზრით, აღნიშნული რაუნდის მთავარი მიზანი სწორედ რომ სიღარიბის გადალახვაში მდგომარეობს. განვითარებადმა ქვეყნებმა სოფლის მეურნეობის მწარმოებლებზე სუბსიდიების შეწყვეტის საკითხიც გააპროტესტეს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი, თავის მხრივ, სურვილი გამოთქვეს, რომ სურთ შეაღწიონ სოფლის მეურნეობის პროდუქტის ისეთ მსხვილ და განვითარებად ბაზრებზე, როგორიც არის, პირველ რიგში, ინდოეთი.

დიპლომატების აზრით, მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხების განხილვის შესაძლებლობა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მნიშვნელოვან წევრ ქვეყანას - ავსტრალიას, ბრაზილიას, ინდოეთს, იაპონიას, ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს "დიდი რვიანის" სამიტზე ექნებათ.

# ის რისკში ერკვევა

პირველი გვერდიდან



*მორის გრინბერგი.*

### სიცოცხლის დამზღვევი

AIG-მ სახელი სიცოცხლის დაზღვევით გაითქვა და თავისი უზარმაზარი კაპიტალის დიდი ნაწილიც სწორედ ამ სფეროში მოღვაწეობით მოაქუჩა. დღეს სადაზღვევო ბიზნესის ამ სახეობაზე მოდის კომპანიის საქმიანობის 40 პროცენტი. ეს ძალიან შთამბეჭდავი მაჩვენებელია. მაგალითად, AIG-ის ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტის, გერმანული Allianz-ის პორტფელში სიცოცხლის დაზღვევა მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს.

სიცოცხლის დაზღვევა თანამედროვე სახით გასული საუკუნის დასაწყისში AIG-ის დამაარსებელმა, ახალგაზრდა ამერიკელმა მეწარმემ კონსელიუს სტარმა მოიგონა. მან თავისი ბიზნესი 1912 წელს შანხაიში დაიწყო და სიცოცხლის დაზღვევის თავის პირველ პოლისებს ჩინელებზე Asia Life Insuranse-ს სახელით (სახელწოდება American International Group შედარებით გვიან გაჩნდა) ყიდდა.

აღსანიშნავია, რომ სტარს და მის კომპანიონებს სადაზღვევო საქმიანობის თეორიაში არაფერი გაეგებოდათ, მაგალითად, წამგებიანობის სტატისტიკის გამოთვლა არ იცოდნენ. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, როცა საქმეს მოგება მოჰქონდა? ათი წლის განმავლობაში სტარმა ოფისები გახსნა ჩინეთის ყველა მსხვილ ქალაქში, ჰონგ კონგში, ინდოჩინეთში, ჯაკარტაში, კუალა-ლუმპურაში და ფილიპინებზე.

ყველგან, სადაც სააგენტოს ხსნიდა, სტარი მაქსიმალურად იყენებდა ადგილობრივ შრომის ბაზარს და ახალ სადაზღვევო აგენტებს მუშაობას თავად ასწავლიდა. ხვათა შორის, დღესაც, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა გახსნას ახალი ოფისი კომპანიამ, აქცენტს ადგილობრივ პერსონალზე აკეთებს.

### დიდი ექსპანსია

ამერიკაში სტარის კომპანია 1926 წელს American International Underwriters-ის სახელით გამოჩნდა. მან მიზნად ლათინური ამერიკის ქვეყნების ბაზრის ათვისება დაისახა და 1930 წელს თავისი პირველი ოფისი ჰავანაში გახსნა. უკვე 1945 წლისათვის ლათინოამერიკელებისაგან შემოსულმა თანხის მოცულობამ აზიის ქვეყნებში მიღებულ შემოსავალს გადააჭარბა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამერიკასა და იაპონიას შორის დაპირისპირებამ სტარის ბიზნესის აზიაში განვითარება შეაფერხა. მას ჩინეთში არსებული ოფისების დახურვა მოუწია და ადგილობრივი ხელისუფლების არაკეთილგანწყობის გამო, ომის შემდეგ ამ ქვეყანაში მისი ბიზნესი სრული მოცულობით ვერა და ვერ აღდგა. ჩინეთში პოზიციების დაკარგვის სანაცვლოდ სტარი იაპონიაში ტრიუმფით დაჯილდოვდა, სადაც 1946 წელს ამერიკულ ჯართან ერთად შევიდა. ამერიკელებმა სტარს, როგორც თანამემამულეს, ბიზნესის განვითარებისათვის ყველა პირობა შეუქმნეს, რითაც მან სანაქებოდ ისარგებლა. სწორედ მაშინ გაწეული დიდძალი სამუშაოს დამსახურებაა, რომ დღეს AIG-ს იაპონიაში კონკურენტი არ ჰყავს. ამერიკულმა კომპანიამ იაპონური ბაზარი საბოლოოდ 2001 წელს დაიპყრო, როცა სიცოცხლის დაზღვევის სფეროში ერთადერთი სერიოზული კონკურენტი, ადგილობრივი Chyoda Life Insurance შთანთქა.

დღეისათვის უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის პირველი ბოსი მკაცრად და კონკურენტების მიმართ დაუნდობლად მოქმედებდა. სტარი თავისი მიზნების მიღწევას ნებისმიერი ხერხით ცდილობდა. იმდროინდელი ფილოსოფია კომპანიის ამჟამინდელ სტრატეგიაშიც შეინიშნება. ამასთან, სტარი ხშირად იყენებდა ამერიკული ჯარების დახმარებას ახალი ქვეყნების ბაზრების ათვისებაში. ისევე, როგორც იაპონიაში, AIG-მ ევროპაშიც მოღვაწეობა 1946 წელს თავისი თანამემამულე სამხედროების მომსახურებით დაიწყო.

თუმცა, ბებერ კონტინენტზე მას ძალიან ძლიერი მეტოქე, გერმანული Allianz-ი დახვდა, რომელთან კონკურენცია დღემდე გრძელდება. ამიტომაც AIG-მ თავისი ოფისები მხოლოდ ბელგიაში, ნიდერლანდებში და საფრანგეთში გახსნა. ამ ხარვეზის გამოსწორება კომპანიამ მოგვიანებით აღმოსავლეთ ევროპის ბაზრის ათვისებით მოახერხა.

ჩინეთისაგან განსხვავებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სტარი იღბლიანად დაბრუნდა. ფილიპინების შემდეგ, სადაც American International Assurance Company-ის 1950 წლისათვის უკვე 60 ოფისი ჰქონდა, ამ მარკით სიცოცხლის დაზღვევა პოპულარული გახდა მალაიზიაში, სინგაპურში და ტაილანდში. ამასობაში კი სტარის შვილობილი კომპანია Asia Life ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში ექსპანსიას შეუდგა.

### გრინბერგის ერა

1952 წელს American International-ის მარკით გაერთიანებული კომპანიების ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. სტარმა აშშ-ში შეისყიდა კომპანია Globe & Rutgers-ი, რომლის ერთ-ერთი განყოფილება სიცოცხლის დაზღვევაზე მუშაობდა. ამ შერწყმის შედეგად, ამერიკის ბაზარზე პირველად გამოჩნდა სიცოცხლის დაზღვევაზე სპეციალიზირებული კომპანია, რომელმაც შემდგომში მთელს მსოფლიოში სახელი AIG-ის აბრევიატურით გაითქვა.

მჩქეფარე 60-იანმა წლებმა კომპანიის პოლიტიკაში კორექტივები შეიტანა. აშკარა გახდა, რომ American Home, როგორც მაშინ იმპერიის სათავე კომპანიას უწოდებდნენ, ახალ ხელმძღვანელს საჭიროებდა. აგენტების მოღვაწეობის ის სისტემა, რომელზეც მთელი ბიზნესი იყო აგებული, საკმაოდ ძვირადღირებული გახლდათ და ამიტომ, როცა 1962 წელს კომპანიას სათავეში მორის გრინბერგი ჩაუდგა, საბროკერო სისტემა შემოიღეს.

მორის გრინბერგმა, რომელიც კომპანიას მომდევნო 43 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, მის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. რომ არა გრინბერგი, კომპანია ეგზომ დიდ წარმატებებს, ალბათ, ვერ მიაღწევდა.

ახალმა ხელმძღვანელმა პირველმა სადაზღვევო ბიზნესში კომპანიის ფარგლებში შექმნა გადამზღვევი შვილობილი კომპანია, რაც უფრო ფართო სპექტრის რისკიანი გადაწყვეტილებების მიღებას, ანუ გაცილებით მეტი კლიენტის მომსახურების საშუალებას იძლეოდა. ეს კი, ცხადია, ბაზრის უფრო დიდი სექტორის ათვისების და ტარიფების გაკონტროლების წინაპირობა იყო. გრინბერგის დამსახურებაა, რომ სადაზღვევო კომპანიების ჯგუფიდან AIG-ი ნამდვილ ფინანსურ იმპერიად გადაიქცა, რომლის შემადგენლობაში შედის საკონსულტაციო და საფინანსო მომსახურების კომპანიები. გრინბერგის მოსვლის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მსხვილ კორპორაციულ კლიენტებთან მუშაობას და დაინერგა ბიზნესის წარმოების კიდევ უფრო აგრესიული სტილი. მორის გრინბერგის ხელმძღვანელობით ისედაც წარმატებული კომპანია კიდევ უფრო აყვავდა და გაიფურჩქნა. სწორედ გრინბერგს ეკუთვნის AIG-ის ყბადაღებული სარეკლამო სლოგანი "ჩვენ რისკში ვერკვევით".

თავად AIG-ის დაარსების ოფიციალურ თარიღად 1967 წელი ითვლება, როცა იგი ჯგუფის წევრი ყველა კომპანიის მთავარი აქციონერი გახდა. ორი წლის შემდეგ მისი აქციები თავისუფალ გაყიდვაში გაიტანეს. შენარჩუნდა კომპანიის მთავარი დამახასიათებელი თავისებურება - გამუდმებული ექსპანსია. 1979 წელს AIG-ი პირველი დასავლური სადაზღვევო კომპანია გახდა, რომელმაც ერთობლივი საწარმოები გახსნა უნგრეთში, პოლონეთსა და რუმინეთში. 1980 წელს გრინბერგის ინიციატივით AIG-ი ჩინურ ბაზარს დაუბრუნდა და ამ ქვეყნის სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიასთან ერთობლივი საწარმო შექმნა.

1984 წელს AIG-ის აქციები ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გამოჩნდა. შემდგომ პერიოდში კომპანიამ განახორციელა უმსხვილესი ექსპანსია აფრიკულ და სამხრეთ ამერიკულ ბაზარზე, 1994 წელს კი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან პირველად, რუსეთშიც შევიდა.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტისაგან AIG-ი ძალიან დაზარალდა. გარდა იმისა, რომ კომპანიამ 500 მილიონი დოლარის ოდენობის ზარალი ნახა, დაიღუპა მთავარი ოფისის, რომელიც საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის შენობაში იყო განლაგებული, 600-მდე თანამშრომელი. გრინბერგი, რომელიც ამ დროს მოლაპარაკებაზე იმყოფებოდა, გადარჩა.

ამან კომპანიის აქციების თითქმის 20 პროცენტით დაცემა გამოიწვია. თუმცა, გრინბერგმა, რომელმაც სხვა კომპანიებისაგან განსხვავებით, ზარალის შესახებ სრული ინფორმაცია გაავრცელა, სიტუაციის ძალიან სწრაფად გამოსწორება შეძლო და AIG-მ ლიდერის პოზიცია მალე დაიბრუნა.

გასულ წელს AIG-ი ფინანსურ სკანდალში გაეხვა, რასაც გრინბერგის გადაყენება მოჰყვა. როცა სამი წლით ადრე მან თავისი მემკვიდრის შერჩევა საუკეთესო მეგობარს და კომპანიონს ფრენკ ზაბრს დაავალა, ალბათ, მაშინ წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ მის კარიერას წერტილს სწორედ ზაბრი დაუსვამდა. იმის გამო, რომ ნიუ იორკის ფედერალურმა ხელისუფლებამ AIG-ი ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულა, ზაბრმა გრინბერგის გადაყენება მოითხოვა და მისი პოსტის თავისი ფავორიტის, მარტინ სალივანის მიერ დაკავებას ხელი ყველანაირად შეუწყო.

ასე იყო თუ ისე, სალივანის ხელმძღვანელობით AIG-მა პოზიციები კვლავაც შეინარჩუნა და, როგორც აღვნიშნეთ, არა მარტო სადაზღვევო სფეროს, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ამერიკული სამშენებლო და სამრეწველო ბაზრის შესახებ გავრცელებულმა დამაიმედებელმა ინფორმაციებმა. გარდა ამისა, ნავთობის გაძვირებამ გაზარდა ნავთობკომპანიათა აქციები, ხოლო Nissan-თან და Renault-თან მოლაპარაკების დაწყებამ General Motors-ის აქციებზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,56 პროცენტით, 11.212,65 პუნქტამდე გაიზარდა. 0,56 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.184,18 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,63 პროცენტით, 1.278,23 პუნქტამდე მოიმატა.










## ნავთობის გაძვირება გრძელდება

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 73,5 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 73,85 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. ნავთობის ფასის ზრდას კვლავინდებურად ხელს უწყობს მსოფლიოში არსებული დაძაბული სიტუაცია და ზაფხულის საავტომობილო სეზონის დადგომა. გარდა ამისა, გარკვეული გავლენა მოახდინა რუსეთიდან ექსპორტირებულ ნავთობზე 1 აგვისტოდან გადასახადის გაზრდის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ.

## EADS-ის და Airbus-ის თავკაცები A380-ის გამო გადადგნენ

ევროპული აეროკოსმოსური გიგანტის EADS-ის ორი აღმასრულებელი დირექტორიდან ერთ-ერთი, ნოელ ფორჟარი და ავიამშენებელი კომპანია Airbus-ის თავკაცი გუსტავ ჰუმბერტი თანამდებობებიდან გადადგნენ. ოფიციალური ვერსიით, ამის მიზეზი რეორგანიზაცია გახდა. გავრცელებული ინფორმაციით, ფორჟარის ადგილს საფრანგეთის ეროვნული სარკინიგზო კომპანიის ხელმძღვანელი ლუი გალუა დაიკავებს, ჰუმბერტს კი ახლო წარსულში კონცერნ Saint-Gobain-ის აღმასრულებელი დირექტორი კრისტიან სტრეფი შეცვლის.

კონცერნის ხელმძღვანელობაში გადაადგილებების მოხდენის საკითხი მას შემდეგ დაისვა, რაც ცნობილი გახდა, რომ თვითმფრინავ A380-ის გამოშვება, შეიძლება, შვიდი თვით გადაიდოს. Airbus-მა, რომლის აქციების 80 პროცენტი EADS-ს ეკუთვნის, შემკვეთები გააოცა, როცა განაცხადა, რომ ადრე აღებული ვალდებულებების მიუხედავად, კომპანია 2007 წელს მხოლოდ 9 A380 მარკის თვითმფირინავს ააგებს, 2008-ში კიდევ 5-დან 9-მდე, 2009 წელს კი ამ მოდელის მხოლოდ 9 თვითმფრინავს გამოუშვებს.

თვითმფრინავების გამოშვების გადადება "საწარმოო პროცესის შემაფერხებელი რიგი მიზეზებით" აიხსნა. ამ ინფორმაციის ფონზე თვითმფრინავების მყიდველები - მალაიზია და არაბეთის გაერთიანებული საემიროები სასამართლოსათვის მიმართვით დაიმუქრნენ, Singapore Airlines-მა კი Airbus-თან კონტრაქტი გაწყვიტა და მისი კონკურენტი Boeing-ისაგან 4,52 მილიარდ დოლარად 20 თვითმფრინავი შეიძინა. შედეგად, მიმდინარე წლის 15 ივნისს მენეჯმენტში შეცდომების გამოსავლენად შინაგანი გამოძიების ჩატარების შესახებ განცხადება გაკეთდა, რასაც ზემოთ აღნიშნული გადადგომები მოჰყვა.

მსოფლიოში პირველი უდიდესი თვითმფრინავის A380-ის მშენებლობა საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში 2004 წლის მაისში დაიწყო. ახალი ლაინერის პრეზენტაცია 2005 წლის იანვარში ჩატარდა. მთლიანად A380-ის პროგრამაზე 13 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. A380-ის სიგრძე 70 მეტრია, ფრთების გარშემოწერილობა კი - 80 მეტრი. ეს ორიარუსიანი გიგანტი თავისი ზომებით და ტევადობით განთქმულ Boeing-747-ზე დიდია. გარდა ამისა, ლაინერი იმითაც გამოირჩევა, რომ მსგავსი მასშტაბების თვითმფრინავებზე დაახლოებით 13 პროცენტით ნაკლებ საწვავს საჭიროებს. როგორც Airbus-ის ინჟინრები ირწმუნებიან, ეკონომიური A380 ერთი მგზავრის 100 კილომეტრზე გადასაყვანად მხოლოდ 3 ლიტრ საწვავს ხარჯავს, რაც სარეკორდო მაჩვენებელია.

ამას კომპანიამ თვითმფრინავის დეტალებში ნახშირბადის და ზემსუბუქის დეტალების გამოყენებით მიაღწია. შედეგად, ლაინერის წონა 10-15 ტონით შემცირდა, მისი დაუშვებლად ფრენის მანძილი კი 14,5 ათას კილომეტრამდე გაიზარდა. მოდიფიკაციის მიხედვით, თვითმფრინავი 555-დან 840-მდე მგზავრს იტევს, ხოლო სატვირთო A380-ს 150 ტონა ტვირთი 10,4 ათას კილომეტრზე დაუშვებლად გადააქვს.

Airbus-ი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი თვითმფრინავმშენებელი კომპანიაა. დღეისათვის მისი მთავარი შემკვეთები ჩინეთი და ინდოეთია, სადაც ავიაგადაზიდვების მოცულობა მკვეთრად იზრდება. 2005 წელს Airbus-მა 1055 შეკვეთა მიიღო, რითაც უკან ჩამოიტოვა მთავარი კონკურენტი Boeing -ი, რომელსაც 1022 შეკვეთა ჰქონდა. სულ გასულ წელს Airbus-ის გაყიდვებმა 27,1 მილიარდი დოლარი შეადგინა.

## ევროკავშირში უმუშევრობა შემცირდა

ევროკავშირის ქვეყნებში უმუშევრობის საერთო დონემ შესამჩნევად მოიკლო. როგორც ევროკავშირის საინფორმაციო-სტატისტიკური სააგენტო "ევროსტატი" იუწყება, მაისში შრომის ბირჟებზე 18 მილიონი უმუშევარი დარეგისტრირდა. აღნიშნული მაჩვენებელი კი ნიშნავს, რომ უმუშევრობის საშუალო დონემ მიმდინარე წლის მაისში 8,2 პროცენტი შეადგინა, რაც 0,6 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში დაფიქსირებული მონაცემები. უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 3,9 პროცენტი დანიასა და ნიდერლანდებში დაფიქსირდა, ყველაზე მაღალი კი, შესაბამისად, 16,4 და 15,5 - პოლონეთსა და სლოვაკეთში. ასევე საკმაოდ მაღალია უმუშევრობის დონე გერმანიაში, სადაც იგი 9,5 პროცენტს შეადგენს.

# ამერიკა, რუსეთი და ლათინო-ამერიკული იარაღის ბაზარი

ლათინოამერიკულ იარაღის ბაზარზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის კონკურენცია თანდათან პოლიტიკურ ელფერს ღებულობს. თეთრ სახლს განსაკუთრებით აშფოთებს რუსეთისა და ვენესუელას თანამშრომლობა. ამ მხრივ კი, მეტად მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებაში ვენესუელას პრეზიდენტის უგო ჩავესის რადიკალური მიდგომა.

გასაგებია ვაშინგტონის რეაქციაც. შეიარაღების საერთაშორისო ბაზრის მასშტაბები სულ უფრო მცირდება, კონკურენცია კი კიდევ უფრო მკაცრ სახეს იღებს. ამერიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში ესპანური და რუსული იარაღის შეტანა, რადგან აქ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები ისტორიულად დევს. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, რუსეთი ამერიკის ზეწოლის შედეგად აღმოსავლეთ ევროპაში და არაბეთის ქვეყნებში იარაღის ტრადიციულ მყიდველებს შეელია.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთი ტრადიციული ტერიტორიიდან თავად გამოაძევა, ასე რომ, გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ რუსეთი კრიზისიდან გამოსვლის შემდეგ იარაღის ექსპორტისთვის ახალი ბაზრების ძიებაშია.

იარაღის ვენესუელაში გაყიდვა რუსეთის ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის რუსული საბრძოლო წარმოების გადარჩენისთვის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი გამოსავალია. წარმოების ზრდის ტენდენციის მიუხედავად, ეროვნული შეკვეთები ქვეყნის თავდაცვის ორგანოების წარმოების მხოლოდ მეოთხედს ფარავს.

ამ ეკონომიკურ გარიგებას პოლიტიკურ ელფერს რუსეთზე მეტად თავად უგო ჩავესი აძლევს, რომელმაც არაერთხელ განაცხადა, რომ ვენესუელასადმი პოტენციურ აგრესიას მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხედავს. რადიკალური ანტიამერიკული პოზიციებიდან გამომდინარე, ჩავესი სწორ გათვლებს ვერ აკეთებს და ვერ ხვდება, რომ მისი აგრესიული პოლიტიკა ამერიკას იარაღის ექსპორტიორთა ძებნის საბაბს აძლევს.

ივნისის დასაწყისში ვენესუელაში 33 ათასი დოლარის ღირებულების რუსული იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის პირველი პარტია შევიდა, რამაც ვაშინგტონის აღშფოთება გამოიწვია. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების აზრით, იარაღი, რომელიც ვენესუელამ რუსეთისგან შეიძინა, ადვილად შესაძლებელია, რომ კოლუმბიელი რადიკალების ხელში მოხვდეს. ეს კი ამ რეგიონის სტაბილურობაზე ცუდად იმოქმედებს. თუმცა არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კოლუმბია იარაღს კიდევ სხვა წყაროებიდანაც ღებულობს.

ანალიტიკოსების აზრით, ვენესუელას ასეთი ანტიამერიკული განწყობა, შესაძლოა, ლათინური ამერიკის სხვა რეგიონებშიც გავრცელდეს, რის გამოც, გამორიცხული არ არის, რუსეთმა პარტნიორული ურთიერთობები სხვა ლათინოამერიკულ ქვეყნებთანაც წამოიწყოს.




## რუსთაველი სტუდენტები შრომით სემესტრს "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში" გაივლიან

პრეზიდენტის ინიციატივას სტუდენტების სხვადასხვა საწარმოებში ზაფხულის განმავლობაში დასაქმების თაობაზე პირველები რუსთაველები გამოეხმაურნენ. შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის საერო უნივერსიტეტის 30 სტუდენტი შრომით სემესტრს "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში" გაატარებს. აღნიშნული პროექტის ოფიციალური პრეზენტაცია გუშინ, უნივერსიტეტის შენობასთან შედგა.

პრეზენტაციაზე ინიციატივას მხარი პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილმაც დაუჭირა: "მნიშვნელოვანია, რომ 30 სტუდენტი საზაფხულო დასვენების პერიოდს გამოიყენებს აქტიურად, ექნებათ გარკვეული შემოსავალი, თავის მხრივ რუსთავისთვის არის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ იწყება მეტალურგიული ქარხნის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, ჩვენ ყველანი - ხელისუფლების წარმომადგენლები, ბიზნესმენები, სტუდენტები., მხოლოდ ერთად შევძლებთ დასაქმების პრობლემის გადაჭრასა და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობას".

"შრომითი სემესტრის განმავლობაში რუსთავის უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ ძირითადი საამქროებისა და ლაბორატორიების რეაბილიტაციის პროცესშიც.

უნივერსიტეტი რექტორი ვლადიმერ ჭყონია იმედოვენებს, რომ აღნიშნული ტრადიცია გაგრძელდება და მომავალში ქარხანა უფრო მეტ სტუდენტს უმასპინძლებს. ამასთან, ქარხანში გატარებული შრომითი სემესტრი სტუდენტებს პროფესიულ მეტალურგებად ჩამოყალიბებაში დაეხმარებათ, კერძოდ ერთი თვის განმავლობაში უშუალოდ შეასრულებენ ქარხანაში არსებულ პრაქტიკულ სამუშაობებს და მიიღებენ უნიკალურ გამოცდილებას.

გუშინვე, სტუდენტებმა შრომითი სემესტრის დაწყებას სპეციალური აქცია მიუძღვნეს. ტრანსფარანტებითა და დროშებით გაფორმებული ავტობუსით რუსთავის შემოსასვლელიდან მეტალურგიული ქარხნის მიმართულებით, ნელი სვლით რუსთავის ცენტრალური ქუჩები შემოირეს. სტუდენტების სურვილი იყო, მთელი ქალაქისთვის ეცნობებინათ, რომ ისინი იქნებიან პირველები, რომლებიც შრომით სემესტრს მეტალურგიულ ქარხანაში გაივლიან და მნიშვნელოვან პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებენ.

## "გაზპრომმა" ირან-სომხეთის გაზსადენის შეძენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო

"გაზპრომი" ირან-სომხეთის დამაკავშირებელ გაზსადენს შეიძენს. ამის შესახებ კომპანიის აქციონერთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე რიაზანოვმა აქციონერთა კრებაზე განაცხადა. მისივე თქმით, გაზსადენის მშენებლობა 2007 წელს დასრულდება და მისი სიმძლავრე წელიწადში 1,2 მილიარდი კუბომეტრი იქნება. "გაზპრომმა" ირან-სომხეთის გაზსადენის შეძენის შესახებ გადაწყვეტილება რუსეთიდან სომხეთში, საქართველოს გავლით გაზის მიწოდების პრობლემების გამო მიიღო. "გაზპრომის" მტკიცებით, ქართული მხარე გაზსადენიდან სომხეთისათვის განკუთვნილ გაზს არასანქცირებულად იღებდა. "გაზპრომს" ენერგეტიკის თავის პროფილურ ბიზნესად გადაქცევა სურს. შიდა ბაზრიდან გაზის მიწოდების გამოთავისუფლება და ექსპორტისათვის მიწოდება ქვანახშირისა და ატომური გენერაციის განვითარების ხარჯზე შესაძლებელია," - აცხადებს "გაზპრომის" გენერალური დირექტორი ალექსეი მილერი. მილერის მოადგილის ალექსანდრ რიაზანოვის განმარტებით, "ელექტროენერგეტიკა გაზის სფეროზე მეტად გამოდის თავისუფალ ბაზარზე და რადგან ასეა, ენერგოკომპანიების წილის ყიდვა "გაზპრომის" აქციონერებს დამატებითი დივიდენდების მიღების საშუალებას აძლევს". პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი მედვედევი, რომელიც პარასკევს "გაზპრომის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს, კომპანიის სტრატეგიას იწონებს. დღეისათვის, "გაზპრომს" "რაო ესის" აქციათა 11 პროცენტი და "მოსენერგოს" აქციათა ბლოკირებული პაკეტი ეკუთვნის, თუმცა ამაზე გაჩერებას არ აპირებს. რიაზანოვმა განაცხადა, რომ "გაზპრომს" მოსკოვის ენერგოსისტემის აქციათა პაკეტის ყიდვა სურდა და გარდა ამისა, კომპანია ტერიტორიალური გენერაციის ობიექტების შეძენითაა დაინტერესებული.

ანალიტიკოსები "გაზპრომის" რუსეთის ბაზარზე ელექტროენერგიის გეგმებთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ, დიმიტრი ლიკაშოვი "ატონიდან" ირწმუნება, რომ "გაზპრომს" ელექტროენერგეტიკაში წასვლა არ სჭირდება. მისივე შეფასებით, "მოგება გაზის ბისზნესში გაცილებით მეტია, ვიდრე ენერგეტიკაში". ვლადიმერ მეტნეევი "ტროიკა დიალოგ"-იდან მიიჩნევს, რომ გაზის ბაზარზე შესაძლო ლიბერალიზაციისა და მასზე გაზის დამოუკიდებელი მწარმოებლების გამოჩენის შესაძლებლობის ფონზე, "გაზპრომი" აქციების შესყიდვით "მომავალში მონოპოლური პოზიციების გარანტირებას უზრუნველყოფს". **ინტერპრესნიუსი**

## ამინდი

| | 3/07 | 4/07 | 5/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 25 | 27 | 29 |
| რიგა | 27 | 27 | 28 |
| ვილნიუსი | 26 | 27 | 27 |
| მოსკოვი | 19 | 25 | 23 |
| მინსკი | 26 | 29 | 30 |
| პარიზი | 31 | 36 | 26 |
| რომი | 30 | 31 | 31 |
| ლონდონი | 30 | 32 | 31 |
| მადრიდი | 33 | 32 | 27 |
| ბონი | 29 | 33 | 35 |
| ვარშავა | 26 | 31 | 32 |
| ათენა | 27 | 26 | 27 |
| ბერნი | 31 | 30 | 31 |
| ამსტერდამი | 25 | 30 | 32 |
| ოსლო | 25 | 26 | 29 |
| ანკარა | 27 | 27 | 28 |
| ვარნა | 23 | 25 | 26 |
| დელი | 54 | 53 | 46 |
| ტოკიო | 32 | 29 | 30 |
| კოპენჰაგენი | 25 | 26 | 26 |
| ბაქო | 26 | 26 | 26 |
| ერევანი | 32 | 30 | 33 |
| ასტანა | 27 | 22 | 19 |
| ჰელსინკი | 23 | 23 | 23 |
| დუბლინი | 20 | 23 | 24 |
| ლისაბონი | 26 | 23 | 22 |
| პრაღა | 25 | 25 | 27 |
| სოფია | 18 | 24 | 22 |
| ბუდაპეშტი | 27 | 30 | 31 |
| ბუხარესტი | 29 | 31 | 32 |

# საქართველოს საგადამხდელო ბალანსი გაუარესდა

პირველი გვერდიდან

მიმდინარე საგადამხდელო ბალანსის ანგარიშის დეფიციტს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში იმპორტის სიჭარბით ხსნიან. უკანასკნელი მონაცემებით ქვეყანაში იმპორტირებული საქონელი თითქმის ორჯერ ჭარბობს ექსპორტს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ახალი საბაჟო კოდექსით საბაჟო განაკვეთები მნიშვნელოვნად მცირდება, მისი ძალაში შესვლის შემდეგ ქვეყანაში იმპორტული პროდუქციის კიდევ უფრო მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი. ამ აზრს ეკონომიკურ ექსპერტთა დიდი ნაწილი ეთანხმება. ახალი საბაჟო კოდექსი რომ ქვეყანაში უცხოური წარმოშობის პროდუქციის მოზღვავებას გამოიწვევს, ამას ხელისუფლებაშიც აღიარებენ. თუმცა ეს კიდევ არაფერია, იმ მოსალოდნელ საშიშროებაზე, რომელიც ქვეყანას წლის ბოლომდე რეალურად ემუქრება.

იმ ფონზე, როცა რუსეთი ქართული წარმოების ალკოჰოლურ სასმელებს და მინერალურ წყლებს კარს უხურავს, ექსპერტები ექსპორტთან დაკავშირებით არასახარბიელო პროგნოზს აკეთებენ. მათი თქმით, წლის ბოლომდე მოსალოდნელია ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება. ამის ალბათობა რომ ძალიან დიდია, ამას კიდევ რამდენიმე ფაქტორიც ადასტურებს. მინერალური წყლები და ალკოჰოლური სასმელები - ამ ორ პროდუქციას წლების განმავლობაში საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში წამყვანი პოზიცია ეკავა, რომელთა გასაღების ყველაზე დიდი ბაზარი, დაახლოებით 70 პროცენტი, რუსეთი იყო.

დღეს ერთიც და მეორეც მეზობელ სახელმწიფოში აკრძალულია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაისის შემდეგ (როცა რუსეთმა საქართველოდან ორივე პროდუქციის შეტანა აკრძალა) ქვეყანაში ექსპორტის მოცულობა, გარკვეულწილად, შემცირდა.

მიმდინარე წლის მეორე კვარტლის მონაცემებს სტატისტიკის დეპარტამენტი უახლოეს ორ კვირაში მოამზადებს, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები საკმარისია იმის სათქმელად, რომ ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი მეორე კვარტალში, პირველთან შედარებით, გაუარესებულია და ის მომდევნო მესამე და მეოთხე კვარტალში კიდევ უფრო გაუარესდება.

2006 წლის იანვრიდან მაისამდე, 2005 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 32.4 პროცენტით, ხოლო იმპორტი - 46.0 პროცენტით, რის შედეგადაც საქონლით ვაჭრობის დეფიციტი გაიზარდა 64.1 პროცენტით და 349 მილიონ 400 ათას აშშ დოლარს მიაღწია.

ცნობისათვის: მიმდინარე წელს ძირითად საიმპორტო საქონელს წარმოადგენს ნავთობპროდუქტები (ნავთობის აირების ჩათვლით), მსუბუქი ავტომობილები და სამკურნალო საშუალებები. 2006 წლის პირველი კვარტლის ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა ყურძნის ნატურალური ღვინოები, ფეროშენადნობები და თხილი და კაკალი.

ერთი საინტერესო დეტალი: შავი ლითონების ჯართი წლების განმავლობაში პირველი საექსპორტო საქონელი იყო და ის ქვეყნიდან გატანილი პროდუქციის ჩამონათვალში მუდმივად ლიდერობდა. მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემების მიხედვით, შავი ლითონების ჯართი მეოთხე ადგილზეა.

წელს, პირველივე კვარტალში ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი ეკავა მინერალურ წყლებს და ოქროს (ნახევრად დამუშავებული ან დაუმუშავებელი). **"რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოდან იმპორტირებული ყურძნის ნატურალური ღვინოებისა და მინერალური წყლების აკრძალვა მიმდინარე წლის მეორე კვარტლის საგადამხდელო ბალანსზე გავლენას აუცილებლად მოახდენს,"** - ასეთ პროგნოზს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში აკეთებენ.

საქართველოს ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 2006 წლის იანვარ-მაისში

(ათასი აშშ დოლარი)

| კოდი | ჯგუფის დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | I კვ. | აპრილი | მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ექსპორტი, სულ | 67,860.1 | 65,248.1 | 87,913.2 | 221,021.5 | 89,268.2 | 77,949.2 |
| | მათ შორის: | | | | | | |
| 02 | ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები | 33.2 | 23.4 | 2.1 | 58.7 | 0.5 | - |
| 03 | თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები | 301.3 | 200.6 | 105.6 | 607.5 | 33.6 | 2.9 |
| 04 | რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი | 59.8 | 1.9 | 1.8 | 63.5 | 0.2 | 12.1 |
| 05 | ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი | - | 0.0 | 0.0 | 0.0 | - | - |
| 06 | ცოცხალი მცენარეები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი | - | 20.0 | 40.3 | 60.3 | 83.7 | 5.8 |
| 07 | ბოსტნეული და საკვებად ვარგისი ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები | 54.4 | 107.5 | 291.4 | 453.3 | 295.6 | 91.5 |
| 08 | საკვებად ვარგისი ნაყოფი და კაკალი; ციტრუსების ან ბახჩეული კულტურების ქერქი და კანი | 4,887.7 | 6,616.0 | 7,754.4 | 19,258.1 | 3,369.7 | 3,926.3 |
| 09 | ყავა, ჩაი, მატე და სანელებლები | 342.2 | 334.3 | 343.7 | 1,020.3 | 222.7 | 304.1 |
| 10 | პურეული მარცვლოვანები | 0.4 | 542.5 | 1,170.1 | 1,713.0 | 2,073.3 | 1,303.1 |
| 11 | ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ხორბლის წებოვანა | 0.3 | 0.3 | 87.1 | 87.7 | 0.9 | - |
| 12 | მცენარეების თესლი და ნაყოფი; მცენარეები სამკურნალო და ტექნიკური მიზნებისათვის | 407.5 | 599.7 | 192.2 | 1,199.5 | 176.4 | 98.4 |
| 13 | შელაქი ბუნებრივი გაუსუფთავებელი; ფისები და სხვა მცენარეული წვენები და ექსტრაქტები | 3.8 | 3.4 | 6.9 | 14.1 | - | - |
| 14 | მცენარეული წარმოშობის სხვა პროდუქტები სხვა ადგილას დაუსახელებელი | - | - | 0.5 | 0.5 | 1.5 | 7.5 |
| 15 | ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცვილები | 21.1 | 5.2 | 4.9 | 31.3 | 7.5 | - |
| 16 | მზა პროდუქტები ხორცის, თევზის ან კიბოსნაირების ან ზღვის სხვა უხერხემლოებისაგან | 1.3 | 0.5 | 2.0 | 3.8 | 0.1 | - |
| 17 | შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან | 1,974.3 | 2,517.1 | 2,046.9 | 6,538.3 | 75.2 | 3,179.0 |
| 18 | კაკაო და პროდუქტები მისგან | 95.8 | 105.0 | 38.9 | 239.8 | 197.7 | 136.2 |
| 19 | მზა პროდუქტები პურეული მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლის ან რძისგან; ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმიი | 0.3 | 0.3 | 0.6 | 1.2 | 0.2 | - |
| 20 | ბოსტნეულის, ნაყოფის, კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები | 730.3 | 210.8 | 847.1 | 1,788.1 | 836.8 | 617.5 |
| 21 | კვების სხვადასხვა პროდუქტები | 70.1 | 91.3 | 18.3 | 179.7 | 55.5 | 157.1 |
| 22 | ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი | 9,599.9 | 16,084.1 | 20,318.7 | 46,002.6 | 9,521.1 | 8,352.2 |
| 23 | კვების მრეწველობის ნაშთები და ნარჩენები; მზა საკვები ცხოველებისათვის | 173.4 | 239.8 | 170.4 | 583.6 | 151.5 | 485.2 |
| 24 | თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები | 0.1 | 4.6 | 0.5 | 5.2 | - | - |
| 25 | მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი | 1,108.6 | 1,073.6 | 2,042.7 | 4,224.8 | 2,283.3 | 2,535.8 |
| 26 | მადნები, წიდა და ნაცარი | 3,655.3 | 3,927.4 | 3,220.2 | 10,803.0 | 3,526.0 | 10,316.8 |
| 27 | მინერალური საწვავი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; ცვილები | 1,897.1 | 36.8 | 4,576.9 | 6,510.8 | 996.3 | 2,985.6 |
| 28 | არაორგანული ქიმიის პროდუქტები; ლითონების, რადიოაქტიური ელემენტების ნაერთები | 213.7 | 240.1 | 406.9 | 860.6 | 875.2 | 727.2 |

საქართველოს იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 2006 წლის იანვარ-მაისში

(ათასი აშშ დოლარი)

| კოდი | ჯგუფის დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | I კვ. | აპრილი | მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | იმპორტი, სულ | 191,046.5 | 223,814.2 | 267,507.8 | 682,368.5 | 285,459.2 | 305,106.1 |
| | მათ შორის: | | | | | | |
| 01 | ცოცხალი ცხოველები | 175.4 | 32.8 | - | 208.2 | 52.2 | 66.2 |
| 02 | ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები | 1,417.7 | 1,616.2 | 1,756.8 | 4,790.7 | 1,827.0 | 3,666.1 |
| 03 | თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები | 794.5 | 1,209.7 | 1,811.2 | 3,815.4 | 2,004.7 | 2,281.2 |
| 04 | რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი | 2,167.1 | 2,043.8 | 2,558.8 | 6,769.7 | 2,505.7 | 2,854.1 |
| 05 | ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი | - | 18.0 | 2.3 | 20.3 | 2.7 | 0.2 |
| 06 | ცოცხალი მცენარეები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი | 69.2 | 69.8 | 146.1 | 285.1 | 92.6 | 150.5 |
| 07 | ბოსტნეული და საკვებად ვარგისი ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები | 543.2 | 502.6 | 829.8 | 1,875.7 | 992.0 | 1,545.6 |
| 08 | საკვებად ვარგისი ნაყოფი და კაკალი; ციტრუსების ან ბახჩეული კულტურების ქერქი და კანი | 382.8 | 307.9 | 871.2 | 1,562.0 | 611.3 | 819.7 |
| 09 | ყავა, ჩაი, მატე და სანელებლები | 413.4 | 665.0 | 668.1 | 1,746.5 | 965.7 | 876.3 |
| 10 | პურეული მარცვლოვანები | 6,345.1 | 5,679.0 | 7,663.0 | 19,687.1 | 8,170.9 | 7,144.0 |
| 11 | ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ხორბლის წებოვანა | 3,333.5 | 3,227.4 | 3,503.8 | 10,064.7 | 3,125.4 | 4,339.2 |
| 12 | მცენარეების თესლი და ნაყოფი; მცენარეები სამკურნალო და ტექნიკური მიზნებისათვის | 245.9 | 437.1 | 278.9 | 961.9 | 334.8 | 250.0 |
| 13 | შელაქი ბუნებრივი გაუსუფთავებელი; ფისები და სხვა მცენარეული წვენები და ექსტრაქტები | 2.3 | 4.4 | 21.1 | 27.9 | 43.6 | 21.7 |
| 14 | მცენარეული წარმოშობის სხვა პროდუქტები სხვა ადგილას დაუსახელებელი | 6.6 | 4.0 | 6.9 | 17.4 | 8.1 | 2.5 |
| 15 | ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცვილები | 1,804.1 | 2,890.1 | 4,212.2 | 8,906.4 | 3,195.1 | 2,548.2 |
| 16 | მზა პროდუქტები ხორცის, თევზის ან კიბოსნაირების ან ზღვის სხვა უხერხემლოებისაგან | 788.1 | 949.0 | 1,773.1 | 3,510.2 | 1,284.2 | 1,819.3 |
| 17 | შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან | 828.7 | 6,962.3 | 5,211.0 | 13,002.0 | 3,966.9 | 8,876.2 |
| 18 | კაკაო და პროდუქტები მისგან | 1,537.6 | 2,502.5 | 2,956.4 | 6,996.4 | 2,671.1 | 2,456.4 |
| 19 | მზა პროდუქტები პურეული მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლის ან რძისგან; ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმიი | 1,314.6 | 1,242.6 | 2,142.1 | 4,699.3 | 2,197.5 | 2,010.4 |
| 20 | ბოსტნეულის, ნაყოფის, კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები | 471.2 | 740.2 | 1,277.4 | 2,488.8 | 1,261.3 | 1,115.7 |
| 21 | კვების სხვადასხვა პროდუქტები | 919.4 | 1,426.6 | 1,687.6 | 4,033.6 | 1,561.0 | 1,837.9 |
| 22 | ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი | 2,050.7 | 1,733.5 | 2,201.0 | 5,985.2 | 1,908.3 | 2,930.0 |
| 23 | კვების მრეწველობის ნაშთები და ნარჩენები; მზა საკვები ცხოველებისათვის | 397.0 | 611.1 | 573.7 | 1,581.7 | 635.2 | 920.9 |
| 24 | თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები | 2,317.0 | 1,630.1 | 1,110.1 | 5,057.3 | 1,551.5 | 2,350.6 |
| 25 | მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი | 1,283.5 | 913.1 | 2,549.0 | 4,745.6 | 2,209.4 | 2,493.7 |
| 26 | მადნები, წიდა და ნაცარი | 22.7 | 77.0 | 1,434.5 | 1,534.2 | 11.6 | 0.4 |
| 27 | მინერალური საწვავი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; ცვილები | 49,906.2 | 52,448.5 | 50,398.8 | 152,753.4 | 59,002.4 | 65,481.5 |
| 28 | არაორგანული ქიმიის პროდუქტები; ლითონების, რადიოაქტიური ელემენტების ნაერთები | 637.6 | 857.8 | 646.8 | 2,142.2 | 1,074.7 | 648.9 |
| 29 | ორგანული ქიმიური ნაერთები | 171.9 | 268.7 | 380.3 | 820.8 | 223.4 | 577.3 |
| 30 | ფარმაცევტული პროდუქცია | 6,923.5 | 8,699.7 | 11,259.1 | 26,882.2 | 10,123.2 | 13,084.5 |

## "მაგთიმ" 8-91-ის ლიცენზია მოიპოვა

ფიქსური კავშირგაბმულობის კომპანიამ "მაგთი" 8-91 ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია მოიპოვა. როგორც "ინტერპრესნიუსს" კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში განუცხადეს, გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა კომპანიამ - "მაგთიმ" მიიღო და, შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელიც გახდა. აღნიშნულ ლიცენზიაში ფიქსური კავშირგაბმულობის კომპანია 15 750 ლარს გადაიხდის. ლიცენზიის საწყისი ოდენობა 15 000 ლარით იყო განსაზღვრული. **ინტერპრესნიუსი**

## ქართველი მეწარმეები ბაქოში ტრენინგებს გაივლიან

ქართველი მეწარმეები, კომპანიების მფლობელები და სავაჭრო აგენტები აზერბაიჯანში ტრენინგებს გაივლიან, რომელიც ორშაბათს ბაქოში დაიწყება. ტრენინგები საერთაშორისო კომპანია Successful Strategies-ის ორგანიზებით იმართება და გაყიდვების მართვას და საერთაშორისო კლასის გაყიდვების ტექნიკას ეძღვნება. ტერნინგებს გამოცდილი საერთაშორისო ექსპერტები ჩაატარებენ. ღონისძიება 6 ივლისს დასრულდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ინდოეთი ჩინეთს მობილური კავშირგაბმულობის დინამიკით აჯობებს

2006 წლის სექტემბრისთვის ინდოეთში მობილური კავშირგაბმულობის აბონენტების რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება და შესაძლოა, ამ მხრივ, ინდოეთმა ჩინეთიც კი ჩამოიტოვოს. ორმა უმსხვილესმა ჩინური კავშირგაბმულობის ოპერატორმა China Mobile-მა და China Unicom-მა საკუთარი სააბონენტო ბაზა 5,6 მილიონი ადამიანით გაზარდეს. ამავე პერიოდში ინდოეთში აბონენტების რაოდენობა 4,25 მილიონი მომხმარებლით გაიზარდა. 2005 წლის მონაცემებით, ჩინეთში მობილური კავშირგაბმულობის აბონენტთა რაოდენობა 374 მილიონი ადამიანით შემოიფარგლებოდა. 2006 წლისთვის კი ჩინელები 15-პროცენტიან მატებას წინასწარმეტყველებენ და აცხადებენ, რომ მომავალ წელს მათ 432 მილიონი აბონენტი ეყოლებათ. ინდოეთში 2005 წელს 76 მილიონი აბონენტი დაფიქსირდა. 2006 წელს ინდოეთის მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორის სააბონენტო ბაზა 68 პროცენტით გაიზარდა და 128 მილიონს მიაღწია. უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში ინდოეთი მობილური კავშირგაბმულობის ბაზარზე ყველაზე უფრო დინამიურად განვითარებადი ქვეყნის სტატუსით შევა. წინასწარი მონაცემებით, მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად 31 პროცენტით გაიზრდება. ივლისის დასაწყისში ინდოეთი, მობილური კავშირგაბმულობის აბონენტების რაოდენობით, მსოფლიოში მეხუთე ადგილს იმკვიდრებს. უკანასკნელი მონაცემებით, აბონენტთა რიცხვმა 100 მილიონ ადამიანს გადააჭარბა. აღნიშნულ ხუთეულში, აბონენტების რაოდენობის მიხედვით, ინდოეთთან ერთად ჩინეთი (170 მილიონი აბონენტი), ამერიკის შეერთებული შტატები (170 მილიონი აბონენტი), იაპონია (141 მილიონი) და რუსეთიც (130 მილიონი) შედის.

## ამერიკელებს იაპონური და გერმანული ავტომობილები მოსწონთ

ამერიკელი მომხმარებლები განსაკუთრებულ უპირატესობას გერმანულ და იაპონურ საავტომობილო კომპანიებს ანიჭებენ. ამ დასკვნამდე კვლევითი ორგანიზაცია J.D Power and Associates მომხმარებელთა გამოკითხვის შემდეგ მივიდა. თუმცა, გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ავტომობილთა მფლობელებს კომპანია porche AG.-ის მოდელებიც არანაკლებად ხიბლავთ. მეორე და მესამე ადგილზე კომპანია BMW AG და Mercedes Benz გადის. მათ კი Lexus და Infiniti მოყვება. შემდგომ პოზიციებზე Toyota Mptor Corp. და Nissan Motor. ხვდება. აღმოჩნდა, რომ ბრენდები Toyota RAV4, Hyundai Azera, Lexus IS 250/IS 350, Porche Cayman, Ford Fusion და Nissan Infiniti თავიანთი სეგმენტის ბაზრების მიხედვით რეიტინგში ლიდერულ პოზიციებს იკავებენ. Ford ერთადერთი ამერიკული საავტომობილო კომპანია აღმოჩნდა, რომელმაც რეიტინგში საპატიო პოზიცია დაიკავა. ავტომოყვარულებმა Ford Mustang სპორტულ, საშუალო ზომის ავტომობილებში ყველაზე საუკეთესოდ დაასახელეს. ყოველწლიური გამოკითხვების რეზულტატები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტომწარმოებლებისთვის. J.D Power and Assosiatec-ის მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში 63 ათასმა ავტომოყვარულმა მიიღო მონაწილეობა.

# საქართველო 2006 წლის იანვრიდან მაისამდე

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შემოსავლების დადებითი ბალანსი დაფიქსირდა და მან 29.1 მილიონი დოლარი შეადგინა. აქ კრედიტში ჭარბობს საქართველოს რეზიდენტების შემოსავლები საზღვარგარეთ მუშაობისგან, ხოლო დებეტში - საინვესტიციო შემოსავლები.

მიმდინარე ტრანსფერტები საკმაოდ სოლიდურია და 27,5 პროცენტით აბალანსებს საქონლის ვაჭრობით გამოწვეულ დეფიციტს. მიმდინარე ტრანსფერტების ბალანსი 2005 წლის პირველ კვარტალში 55,4 მლნ. აშშ დოლარი იყო, ხოლო 2006 პირველ კვარტალში მან 96,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ანუ ადგილი აქვს 73,6-პროცენტიან ზრდას.

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის დადებითმა სალდომ 2006 წლის პირველ კვარტალში 170,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 32,0 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ეს, ძირითადად, გამოწვეულია როგორც კაპიტალის, ისე ფინანსური ანგარიშის დადებითი სალდოს ზრდით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ საქართველოში 2006 წლის პირველ კვარტალში 133,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1,5-ჯერ მეტია 2005 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელზე. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 88,4 პროცენტი სააქციო კაპიტალზე, 6,5 პროცენტი რეინვესტირებულ შემოსავალზე, ხოლო 5,1 პროცენტი სხვა კაპიტალზე (ანუ ინვესტორის მიერ საწარმოსთვის მიცემული სესხი) მოდის. სააქციო კაპიტალში 35,9 პროცენტს შეადგენს პრივატიზაციის პროცესიდან შემოსული თანხები. მკვეთრად არის გაზრდილი ინვესტიციები სამეწარმეო და საბანკო სექტორში. სამეწარმეო სექტორის წილი სააქციო კაპიტალში 53,7 პროცენტია. აქედან 22,0 პროცენტი BP-ს ინვესტიციებზე მოდის. საბანკო სექტორის წილი სააქციო კაპიტალში 10,4 პროცენტია და ის 12,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციის 9,2 პროცენტია. რაც შეეხება ინვესტიციებს სხვა კაპიტალში, აქ ადგილი ჰქონდა ორმხრივ ნაკადებს, ანუ პირდაპირი ინვესტორის მიერ საწარმოსათვის სესხის მიცემას, ასევე საწარმოების მიერ ასეთი სესხის დაფარვას, რამაც გარკვეულწილად შეამცირა ამ კომპონენტის წმინდა მოცულობა.

პორტფელის ინვესტიციები და ფინანსური წარმოებულები უმნიშვნელოა, რადგან ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ფინანსური ბაზრის ჩამოყალიბება სრულყოფილი სახით.

სხვა ინვესტიციების ბალანსმა 2006 წლის პირველ კვარტალში 38,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ჩვენი ვალდებულებების ზრდაზე მიუთითებს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში სხვა ინვესტიციების ბალანსმა 29,9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სარეზერვო აქტივების მოცულობა ოპერაციებით ცვლილების შედეგად 28,5 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა, თუმცა სავალუტო კურსის ცვლილებების გამო იგი 23,1 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა. საბოლოო ჯამში სარეზერვო აქტივები პირველი კვარტლის განმავლობაში 5,5 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 480,6 მლნ დოლარს მიაღწია.

*24 საათი*

24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

მშვიდობით, ბრაზილია!



C2

ეს გზა კლინსმანთან მიგიყვანთ



C3

ლემანის საიდუმლო



C4

## ზღაპარი დასრულდა



ირაკლი ლაბაძისთვის ნადალი მეტისმეტი აღმოჩნდა.

გუშინ ირაკლი ლაბაძემ მორიგი მატჩი გამართა უიმბლდონის ტურნირზე. სამწუხაროდ, სენსაცია არ შედგა. ქართველმა ჩოგბურთელმა ვერაფერი გააწყო რაფაელ ნადალის წინააღმდეგ. ესპანელმა საკმაოდ მაღალ დონეზე გამართა შეხვედრა და ფაქტობრივად შანსიც კი არ მისცა ირაკლის.

მარცხის მიუხედავად, უნდა ჩავთვალოთ, რომ წლევანდელი უიმბლდონი ირაკლისთვის წარმატებული გამოდგა. ბევრი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ის გათამაშების ამ ეტაპზე შეძლებდა გასვლას.

რაც შეეხება სხვა მატჩებს. საკმაოდ იოლად გაიმარჯვა როჯერ ფედერერმა. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მორიგი ტიტულისკენ მიდის და საეჭვოა, რომ ტურნირს შემორჩენილი ჩოგბურთელებიდან მას ვინმემ რეალური კონკურენცია გაუწიოს. როჯერის მთავარი მეტოქე ალბათ ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუტია, რომელმაც წლევანდელ უიმბლდონზე საკმაოდ მაღალი დონის ჩოგბურთი აჩვენა. გათამაშების მეოთხე წრეში ჰიუიტმა დავიდ ფერერი დაამარცხა ოთხს სეტში, თანაც ისე, რომ თითქმის არ დაღლილა.

იოლად მოიგო მარკოს ბაგდატისმა. ჩოგბურთელი, რომელიც სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირის შემდეგ გახდა ცნობილი, ურიგოდ ნამდვილად არ თამაშობს. ამჯერად ბაგდატისმა ენდი მიურეი დაამარცხა სამ სეტში.

ქალთა ტურნირში ვენუს უილიამსის გავარდნის შემდეგ სენსაციების დრო დასრულდა. მეოთხე წრეში, თუ არ ჩავთვლით მარია შარაპოვას, ფავორიტებმა იოლად გაიმარჯვეს. რუს ლამაზმანს ცოტა გაუჭირდა ფლავია პენეტას დამარცხება. პირველი სეტი შარაპოვამ ტაიბრეიკზე მოგო, მეორეში კი დამარცხდა. გადამწყვეტ სეტში რუსმა ჩოგბურთელმა შეძლო ძალების მობილიზება და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

მოულოდნელი იყო ნიკოლ ვაიდასოვას მარცხი. მან ერთი თვის წინ საფრანგეთის ღია პირველობაზე გაიბრწყინა და უიმბლდონზეც ბევრს ელოდნენ მისგან, მაგრამ მეოთხე წრეში ვაიდასოვამ ნა ლისთან დათმო შეხვედრა.

სრულიად უპრობლემოდ მოიგეს კიმ კლაისტერსმა, ჟუსტინ ენინ არდენმა და ამელი მაურსმომ. თითოეულს ორ-ორი სეტის გამართავა დასჭირდა მეტოქის დასამარცხებლად. ალბათ სწორედ ამ სამ ჩოგბურთელსა და მარია შარაპოვას შორის გაირკვევა წელვანდელი უიმბლდონის გამარჯვებული.

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| **ირაკლი ლაბაძე - რაფაელ ნადალი** | **3:6, 6:7, 3:6** |
| **იონას ბიორკმანი - მაქს მირნი** | **6:3,7:6,4:6,2:6,6:3** |
| **ფერნანდო ვერდასკო - რადეკ სტეპანეკი** | **7:6,3:6,6:4,4:6,2:6** |
| **ლეიტონ ჰიუიტი - დავიდ ფერერი** | **6:4,6:4,4:6,7:6** |
| **მარკოს ბაგდატისი - ენდი მიურეი** | **6:3,6:4,7:6** |
| **დმიტრი ტურსუნოვი - იარკო ნიემინენი** | **5:7, 4:6, 7:6, 7:6, 7:9** |
| **ნოვაკ ჯუკოვიჩი - მარიო ანჩიჩი** | **3:6, 4:6, 6:4, 6:4, 5:7** |
| **როჯერ ფედერერი - ტომას ბრდერიჩი** | **6:3,6:3,6:4** |

**ქალები**

| | |
|---|---|
| **მარია შარაპოვა - ფლავია პენეტა** | **7:6,3:6,6:3** |
| **სევერინ ბრემონდი - აი სუგიამა** | **7:6,6:3** |
| **ელენა დემენტიევა - შენონ პერი** | **6:2,6:0** |
| **დანიელა ჰანტუჩოვა - ჟუსტინ ენინ-არდენი** | **3:6,1:6** |
| **ანასტასია მისკინა - იანა იანკოვიჩი** | **6:4,7:6** |
| **ნა ლი - ნიკოლ ვაიდასოვა** | **4:6,6:1,6:3** |
| **აგნეშკა რადვანსკა - კიმ კლაისტერსი** | **2:6,2:6** |
| **ამელი მაურესმო - ანა ივანოვიჩი** | **6:3,6:4** |

## კრესპოს იტალია მოენატრა

არგენტინელი თავდამსხმელის ერნან კრესპოს განცხადებით, დიდია იმის შანსი, რომ ის დაუბრუნდეს იტალიის ჩემპიონატს, რომელიც ერთი წლის წინ „ჩელსიში“ გადაბარგების გამო დატოვა. „ყველამ იცის, რომ ისევ იტალიაში მინდა თამაში. ამას „ჩელსიშიც“ აცნობიერებენ, თვით რომან აბრამოვიჩიც, რომელმაც ახალი კონტრაქტი შემომთავაზა. მიხვდა, რომ მხოლოდ ფულში არ არის საქმე. მან იცის, რომ ლონდონის დატოვება მსურს და ტრანსფერზე დამაყენა,“ - განაცხადა კრესპომ.

31 წლის არგენტინელ ფორვარდზე პრეტენზიას აცხადებენ მილანური კლუბები - „ინტერი“ და „მილანი“, რომლებშიც მან თითო სეზონი გაატარა.

# ტრაბახა იტალიელები და სტუმართმოყვარე გერმანელები

ნინო პირველი
გერმანიიდან

„მსოფლიო სტუმრად მეგობრებთან“ - ასეთია წლევანდელი მუნდიალის დევიზი. „მსოფლიო სტუმრად ჩემპიონებთან“ - მღერიან გერმანელი ფანები ყოველი მოგებული მატჩის შემდეგ. ჩემპიონის სანატრელი ტიტული უკვე სულ ახლოსაა, კიდევ ორი თამაშიც და... ნახევარფინალში იტალიაა ჩასაფრებული, ყველა ტურნირის უცვლელი ფავორიტი, გამოუცნობი შესაძლებლობებისა და დიაპაზონის ნაკრები. გუნდი, რომელსაც ერთნაირად ეხერხება სასწაულის მოხდენაც და სამარცხვინო წაგებაც. სერია A-ს სკანდალის შემდეგ ადვილი არ იყო მუნდიალზე გამგზავრება და ნახევარფინალში გასვლა. ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობა ხომ სწორედ „იუვენტუსის“, „რომასა“ და „მილანის“ მოთამაშეებისგან შედგება. დელ პიერო, ძამბროტა, პეროტა, ტოტი, ნესტა, ინძაგი, ბუფონი და კიდევ სხვანი, ვარსკვლავებად და მთელი იტალიის სათაყვანებლად ქცეული გმირები... ვინ წარმოიდგენდა, რომ მათი მატჩების უმეტესობა მანიპულირებული იყო? მაგრამ იტალიას უყვარს თავისი ფეხბურთელები.

„რაც მოხდა, ყველაფერში კლუბების ფუნქციონერები არიან დამნაშავე, ლუჩანო მოჯი ყოველთვის საეჭვო პიროვნება იყო. რატომ ერთხელ მაინც არ იკითხა ვინმემ, როგორ ახერხებდა „იუვე“ მთელი ამ წლების განმავლობაში ყოველ სეზონში „სკუდეტოს“ მოპოვებას? ხომ ყველასთვის ცხადი იყო, რომ რაღაც შეთქმულებასთან გვქონდა საქმე. ფეხბურთელები არაფერ შუაში არ არიან“, - ასე ფიქრობს „სკუადრა აძურას“ ერთ-ერთი ტიფოზი.

ამ აზრისაა მთელი იტალიაც. ლუჩანო მოჯი განტევების ვაცად იქცა. მას და რამდენიმე მსაჯს სასამართლო პროცესს უწყობენ. სკანდალში გახვეული ჯანლუკა პესოტო ფანჯრიდან ხტება და თავის მოკვლას ცდილობს. მთელი იტალია შოკირებულია. აბა როგორ გინდა ასეთ პირობებში ჩემპიონატზე კონცენტრირება? ალბათ სწორედ ამის გამო „სკუადრა აძურა“ ვერ ახდენს ბრწყინვალე შთაბეჭდილებას. ათი კაცით ამთავრებს მატჩს ცხრა ფეხბურთელით მოთამაშე ამერიკელებთან და ვერაფრით ვერ ახერხებს თამაშის მოგებას. მერვედფინალში ეს კოშმარი კიდევ ერთხელ მეორდება - ესპანელი მსაჯი კარტალეხო მარკო მატერაცის აძევებს მოედნიდან და იტალია მეორე ტაიმის განმავლობაში მხოლოდ თავს იცავს.

ავსტრალია ლამისაა მეოთხედფინალში გავიდეს. მერე ლუკა ტონი თეატრალურად ეცემა მეტოქის საჯარიმოში და ესპანელი არბიტრი, უსამართლოდ რომ გააძევა იტალიელი მცველი მოედნიდან, არარსებულ პენალტს აძლევს „სკუადრა აძურას“. ტოტის დარტყმა და იტალია გადარჩენილია. 3:0 უკრაინელების წინააღმდეგ ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენას მატებს. ახლა უკვე ყველას სჯერა მარჩელო ლიპის გუნდის. მერე რა, რომ ნახევარფინალში მასპინძლებთან უწევთ თამაში?

„ჩვენ არავისი არ გვეშინია. გერმანელებს ძალიან კარგი ნაკრები ჰყავთ, მაგრამ არც ჩვენ ვართ სუსტი გუნდი. ჩვენი მიზანი ფინალში



იტალიელები უკვე მსოფლიო თასზე ფიქრობენ.

გასვლა და ტიტულის მოპოვებაა“, - თავდაჯერებულად აცხადებს მარჩელო ლიპი. იტალიელი ჟურნალისტები უკვე პროვოკაციაზე გადადიან და ტორსტენ ფრინგსის დასჯას ითხოვენ, რომელმაც მეოთხედფინალში გერმანია-არგენტინის მატჩის შემდეგ, სადაც წონასწორობიდან გამოსულმა არგენტინელებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს გერმანელ ფეხბურთელებს, თავი ვერ შეიკავა და საპასუხო დარტყმით გაუმასპინძლდა არგენტინელ ფორვარდს ხულიო კრუსს. ფიფა არ აპირებდა გერმანელი ფეხბურთელების წინააღმდეგ გამოძიებას, მაგრამ იტალიურმა გაზეთმა „ლა რეპუბლიკამ“ ერთი ამბავი ატეხა, თუ დასჯაა, ფრინგსიც უნდა დაისაჯოსო. ბრემენის „ვერდერის“ მცველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო არგენტინელებთან მატჩში, არაჩვეულებრივად აკონტროლებდა რიკელმეს და კრესპოს. იტალიელებთან შეხვედრაში მისი ამოცანა ტოტის განეიტრალება იქნება. ეს შესანიშნავად იცის იტალიურმა პრესამ. ამიტომ ცდილობენ ფრინგსის გაუვნებელყოფას. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ფიფა...

რაც არ უნდა მოხდეს, ორივე დიდი გუნდია - იტალიაც და გერმანიაც. სამწუხაროა, რომ უკვე ნახევარფინალში მოუწევთ ერთმანეთთან თამაში. ეს არაჩვეულებრივი საფინალო მატჩი იქნებოდა...

## რუნი vs რონალდუ

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კრიშტიანუ რონალდუ ალბათ დატოვებს „მანჩესტერ იუნაიტედს“. გარდა იმისა, რომ პორტუგალიელს თავად სურს გუნდიდან წასვლა, არსებობს მეორე მიზეზიც, რის გამოც კრიშტიანუ რონალდუს მანკუნიანურ კლუბში აღარ დაედგომება. გაიხსენეთ ეპიზოდი ინგლის-პორტუგალიის მატჩიდან, როდესაც რუნი მინდვრიდან გააძევეს. დიახ, რუნი საშინლად მოიქცა, მაგრამ ამ დროს რონალდუმ აშკარად მოითხოვა მსაჯისგან, რომ მას უეინისთვის წითელი ბარათი ეჩვენებინა, რამაც, ცხადია, გააღიზიანა ინგლისელთა ფორვარდი. თურმე მატჩის შემდეგ რუნი რონალდუსთან საქმის გარჩევას აპირებდა. ინგლისელი დიდხანს არ ჯდებოდა ავტობუსში და სურდა გასახდელიდან გამოსულ კრიშტიანუს შეხვედროდა. ინგლისის ნაკრების ბანაკიდან გამოსული ინფორმაციით, უეინი რონალდუს ცემას უპირებდა. „შუაზე გავგლეჯ მაგ ნაბიჭვარსო“, - ამბობდა რუნი. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა რის ვაივაგლახით მოახერხეს რუნის ავტობუსში ჩასმა. თუმცა ინციდენტი ამით არ ამოწურულა. ერთ-ერთ ბრიტანულ გაზეთს რუნის მეგობარმა განუცხადა: „უეინი გადარეულია. იფიცება, რომ აუცილებლად სცემს რონალდუს. ბოლოს და ბოლოს, მანჩესტერში ხომ უნდა ჩავიდეს და მერე სად დაემალება“.

მოკლედ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ორი ახალგაზრდა ლიდერი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერთმანეთს. კრიშტიიანუ რონალდუ უკვე არ მალავს, რომ ბრიტანულ კლუბში სათამაშოდ აღარ დაბრუნდება და ჩემპიონატის დასრულებისთანავე იზრუნებს, რომ „რეალში“ გადავიდეს.

## ჩაშლილი ზეიმი

საფრანგეთის ნაკრების გამარჯვების შემდეგ მთელი ქვეყანა ზეიმობდა, რასაც ერთი ტრაგიკული შემთხვევაც მოჰყვა. პატარა ფრანგულ ქალაქ კაპ დე ელში, ისევე როგორც მთელ საფრანგეთში, საყვარელი გუნდის გამარჯვებას აღნიშნავდნენ. ამ ქალაქის ერთ-ერთ მცხოვრები ხმაურმა შეაწუხა და მან ფანჯრიდან ცეცხლი გაუხსნა მოზეიმე ფანებს. ერთი გოგონა მძიმედ დაშავდა. პოლიცია იძულებული გახდა წესრიგის დამრღვევისთვის საპასუხო ცეცხლი გაეხსნა და მოეკლა.

## ბალაკი ხუმრობის გუნებაზეა

გერმანიის ნაკრების ლიდერი მიხაელ ბალაკი იტალიასთან გასამართი ნახევარფინალური მატჩის წინ ხუმრობის გუნებაზე დადგა და ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, რომ მის გუნდს ფინალში გასვლის შანსი არა აქვს:

„გერმანიის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი იტალიელებთან 1:4 წააგო. ამავე ანგარიშით დამარცხდა „ბაიერნი“ „მილანთან“, ასე რომ, ნახევარფინალში მოგების შანსი არ გვაქვს“.

ამის შემდეგ კი უკვე სერიოზულად ამატებს: „ძალების აღსადგენად საკმაო დრო მქონდა. ტურნირს ერთი ფავორიტი უკვე გამოვთიშეთ. იმედია, არგენტინის ნაკრებს იტალიელებსაც მივაყოლებთ“.

## „რეალს“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტის პოსტზე რაიმონ კალდერონი აირჩიეს. საინტერესოა, რომ არჩევნების შემდეგ, რომლის შედეგებიც ჯერ ოფიციალურად დადასტურებული არ არის, კალდერონმა თავად გამოაცხადა საკუთარი თავი „რეალის“ ახალ პრეზიდენტად. იმის გამო, რომ ეს ფაქტობრივად არც ერთ კანდიდატს არ გაუპროტესტებია, კალდერონი უკვე შეიძლება ჩაითვალოს სამეფო კლუბის პრეზიდენტად.

ყველაზე რთული პერიოდი კალდერონისთვის ახლა იწყება. არჩევნების წინ მან ბევრი პირობა დადო. მათ შორის რამდენიმე ძნელად შესასრულებელი.

მაგალითად, კალდერონი ამბობდა, რომ მწვრთნელად ფაბიო კაპელოს მოიყვანს. ეს პირობა არც ისე ძნელი შესასრულებელია, მით უმეტეს, რომ კაპელო „იუვენტუსს“ ალბათ დატოვებს. გაცილებით ძნელი იქნება მომდევნო ორი დაპირების შესრულება, რომელთა თანახმად, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, კალდერონი კაკასა და არიენ რობენს გადაიბირებდა „რეალში“. რამდენად რეალურია ამ პირობის შესრულება, თავად განსაჯეთ. არც „მილანი“ აპირებს კაკას გაყიდვას და არც „ჩელსი“ შეელევა რობენს.

## რონალდინიო დაწვეს

ნათქვამია, სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯიაო. ეს გამონათქვამი მთლიანად გაამართლეს ბრაზილიაში. ბრაზილიის ნაკრების მარცხისა და რონალდინიოს საოცრად უფერული თამაშის გამო აღშფოთებულმა ბრაზილიელმა ფანებმა რონალდინიოს 7-მეტრიანი ქანდაკება დაწვეს. ასე იყარეს ჯავრი ფეხბურთელზე, რომელსაც მუნდიალის დაწყებამდე აღმერთებდნენ.

## ნაკატამ კარიერა დაასრულა

იაპონიის ნაკრების ნახევარმცველმა ჰიდეტოში ნაკატამ განაცხადა, რომ პროფესიული ფეხბურთიდან მიდის.

„ნახევარი წლის წინ გადავწყვიტე, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პროფესიულ ფეხბურთს დავტოვებდი. უბრალოდ, ამის შესახებ არაფერს ვამბობდი. მინდორზე პროფესიონალის რანგში არასდროს აღარ გამოვალ, თუმცა საკუთარი სიამოვნებისთვის აუცილებლად ვითამაშებ“, - აცხადებს ნაკატა.

## უქმეები დაიმლერ-კრაისლერში

დაიმლერ-კრაისლერის საავტომობილო ქარხანაში 4 ივლისი, ფაქტობრივად, უქმე დღედ გამოცხადდა. ამ საავტომობილო გიგანტის ხელმძღვანელებმა სამუშაო დღე შეამცირეს, რათა ქარხნის პერსონალს პრობლემა არ შეექმნას გერმანია-იტალიის მატჩის ყურებაში. ქარხნის 10 000-მდე თანამშრომელი დროზე ადრე დაასრულებს სამუშაო დღეს, რათა გერმანიის ნაკრებისთვის მხარდაჭერაში ხელი არ შეეშალოს.

## „არსენალი“ ბუფონს ყიდულობს

ლონდონის „არსენალი“ მზადაა 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონში. ეს ტრანსფერი რეალური გახდება იმ შემთხვევაში, თუ იტალიაში მიმდინარე საფეხბურთო სკანდალის შემდეგ „იუვენტუსს“ ქვედა დივიზიონში გადაიყვანენ.

# მშვიდობით, ბრაზილია!

ნინო პირველი
*გერმანიიდან*

მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინის მოპოვება ძალიან ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია ამ საპატიო წოდების შენარჩუნება. მსოფლიო ჩემპიონატის სამოცდათექვსმეტწლიან ისტორიაში მოქმედმა ჩემპიონებმა მხოლოდ ორჯერ მოახერხეს ტიტულის დაცვა: 1934-38 წლებში იტალია ორჯერ გახდა სამყაროს საუკეთესო გუნდი. 24 წლის შემდეგ კი ასეთივე სასწაული მოახდინა ბრაზილიამ: 1958 წელს შვედეთში გამარჯვების შემდეგ „სელესაომ“ 1962 წელს ჩილეშიც არავის დაუთმო სანატრელი ოქროს თასი. სამხრეთამერიკელთა ამ დიდი წარმატების შემდეგ 44 წელი გავიდა, ტიტულის ორჯერ ზედიზედ დაცვა კი დღემდე ვერავინ მოახერხა. პირიქით, ზოგიერთი ჩემპიონი ოთხი წლის შემდეგ გამართულ ტურნირზე ხანდახან ვერც კი ახერხებდა ჯგუფური ეტაპის დაძლევას. ასე ჩარჩა შესარჩევ ჯგუფში 1966 წელს ფავორიტად შერაცხული ბრაზილია. იგივე ბედი გაიზიარეს 1998 წლის ტრიუმფატორმა ფრანგებმა 2002 წელს. თითქოს დაწყევლილია მოქმედი ჩემპიონის ბრჭყვიალა ტიტული.


სასოწარკვეთილი ბრაზილიელი ფანები.

„როცა ბრაზილია ფავორიტის რანგში იწყებს ტურნირს, თითქმის ვერასოდეს აღწევს წარმატებას. 2002 წელს დიდი გაჭირვებით გადალახეს საკვალიფიკაციო ეტაპი. მაშინდელი მთავარი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი ლამის მთელმა ბრაზილიამ შეიძულა. ჩავიდნენ იაპონია-კორეაში და ყველა თამაში უპრობლემოდ მოიგეს ფინალის ჩათვლით. როცა ფავორიტებად ვითვლებით, სწორედ მაშინ ვერ ვამართლებთ იმედებს“, - ნაღვლიანად იმართლა თავი წაგებული მეოთხედფინალის შემდეგ დიდმა პელემ გერმანული არხის ZDF-ის პირდაპირ ეთერში.

არადა, ყველაფერი რა ზარ-ზეიმით დაიწყო. პელე, უაღრესად თავდაჯერებული და თავისი საფიცარი გუნდის წარმატებაში ბოლომდე დარწმუნებული, მატჩის წინ მომღერლის ამპლუაში წარუდგა საზოგადოებას. ენერგიულად წაიცეკვა მინისცენაზე და შემართებით შეასრულა სამბას სტილში შექმნილი უცნობი სიმღერა. შემდეგ აქოშინებული ჩაეხუტა გადაცემის წამყვანს და მედიდურად განაცხადა, ბრაზილია აუცილებლად გაიმარჯვებსო. მერე რა, რომ ამ წყეული ფრანგების დამარცხება მხოლოდ ერთხელ მოახერხეს სამი მატჩის ჯამში? არც ისაა ანგარიშში ჩასათვლელი, ზიდანმა და კომპანიამ 1998 წლის ფინალში სასტიკად რომ გააბითურეს რონალდო და მისი ჩემპიონი თანაგუნდელები. ეს ყველაფერი უკვე დიდი ხანია დავიწყებას მიეცა. ვის სცალია ასეთი წვრილმანებისთვის? სტატისტიკა არავის აინტერესებს ბრაზილიაში, ჩვენ აწმყოთი ვცოცხლობთ და არა წარსულით. მეტად ოპტიმისტურად იყო განწყობილი ბრაზილიელთა შავი მარგალიტი. მის ოპტიმიზმს იზიარებდა ბრაზილიელ ფანთა უმრავლესობა. ფრანგები - გადაულახავი ბარიერი? რა სისულელეა! რონალდო და რონალდინიო ცხვირიდან სისხლს ადენენ ფრანგთა ვეტერან მცველებს. ზიდანი? რაღა დროს მისი ფეხბურთია? ძალიანაც სწორია, მუნდიალის შემდეგ ნაკრებიდან წასვლას რომ აპირებს. ბრაზილია იზრუნებს იმისთვის, რომ ბებერმა ზიზუმ რაც შეიძლება სწრაფად შეძლოს პენსიაზე გასვლა. 1 ივლისი ბრაზილიური შურისძიების დღეა!

ფრანგი ფეხბურთელები სხვანაირად ფიქრობდნენ. რაც შეეხება მატჩის ბედს... თამაშის დაწყებისთანავე აქტიურად შეუდგნენ ფინალისკენ გზის გაკვლევას. ზიდანმა და კომპანიამ პირველივე წუთებზე ყველასთვის გასაგებად გამოხატეს, რომ საერთოდ არ აპირებდნენ მოქმედი ჩემპიონების რევერანსით მიღებას. მართალია, რომ ისტორია მეორდება, სტატისტიკა ზოგჯერ სულაც არ ცდება და ცუდად დაცდილი მეტოქეც ნამდვილად არსებობს - 2006 წლის 1 ივლისს მაინის ფრანკფურტში ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც 1998 წლის 12 ივლისს პარიზში. მატჩის მთავარ გმირს ისევ ზიდანი ერქვა და არა რონალდო ან ახალი ვარსკვლავი რონალდინიო და დამსახურებული გამარჯვებით ტკბობის ბედნიერებაც ისევ ლურჯ მაისურებში გამოწყობილ ფანებს ჰქონდათ და არა ყვითლებს. საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ისევ სახეგაბრწყინებული ზეიმობდა „ლე ბლეს“ წარმატებას. „სელესაოს“ გამწვანებულ-გაყვითლებული ფანობა კი ისევ ცხარე ცრემლებს ღვრიდა. მშვიდობით, ბრაზილია! ისევ ფრაგები და ისევ მწარე მარცხი!

ვინ იფიქრებდა, ამდენი თუ შეეძლო ფრანგების ასაკოვან ესკადას! ორი ფრე ჯგუფურ ეტაპზე შვეიცარიასთან და სამხრეთ კორეასთან, დიდი გაჭირვებით მოგებული მესამე და გადამწყვეტი მატჩი ტოგოს წინააღმდეგ და ჯგუფში მხოლოდ მეორე ადგილი შვეიცარიელების შემდეგ! აბსოლუტური იმედგაცრუება! მაგრამ ფრანგებმა ნელ-ნელა გააუმჯობესეს თამაშის ხარისხი და წარმატების იმედი ჩაუსახეს გულშემატკივრებს. მერვედფინალში ესპანელთა ახალგაზრდა, ამბიციური ნაკრების დამარცხება დიდი ტრიუმფის პირველი აქტი იყო. ბრაზილიელთა ძლევის შემდეგ კი უკვე ყველანი ფინალში გასვლაზე ოცნებობენ. ფრანგების წყალობით მსოფლიო ჩამპიონატი ევროპის ჩემპიონატად იქცა. ოთხი ევროპული ნაკრები ნახევარფინალში...

„დაუჯერებელია. არც ერთი სამხრეთამერიკული გუნდი. თავი ცუდ სიზმარში მგონია. ეს ევროპული ფეხბურთის სიძლიერეზე მეტყველებს“, - უნუგეშოდ დამწუხრებული იყო ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა. ასეა თუ ისე, ბრაზილია შინ გაემგზავრა. ევროპელები კი ამ დღეებში ერთმანეთში გაარკვევენ ვის ეკუთვნის მსოფლიოს საუკეთესო გუნდის საპატიო წოდება. ვინ იცის, იქნებ მომავალმა ჩემპიონმა 4 წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკაშიც შეძლოს ტიტულის დაცვა...

# ბრაზილია გაღიმებული დატოვეს

ვასილ უდუმაშვილი

ამბობენ, 1958 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც შვედეთი მასპინძლობდა, ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების თამაშისას საბჭოელთა კაპიტანი სალნიკოვი დარბოდა მინდორზე და ბრაზილიელთა შემხედვარე გაჰყვიროდა: „ფანტასტიკა“, „ფანტასტიკა“.

ახლა 21-ე საუკუნეა. მუნდიალზე აღარავინ ჩადის იმისთვის, რომ ფეხბურთის ჯადოქრების ოსტატობით აღფრთოვანდეს, მსოფლიო ჩემპიონატზე მათ დასამარცხებლად მიდიან.

1958 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. თანამედროვე ცხოვრება უფრო მკაცრი და დაუნდობელია. ასეთივეა ფეხბურთიც. იმარჯვებს ის, ვინც ბოლომდე იბრძვის, არც თავს ზოგავს და არც მეტოქეს. ოქროს მედლებისკენ მიმავალი გზა ტრავმებით, მამაკაცური ცრემლითა და წითელ-ყვითელი ბარათებით არის მოფენილი. ამ მედლებს იღებს ის, ვინც ამ გზას ღირსეულად გაივლის.

მათთვის კი, ვისთვისაც ფეხბურთი მუდმივი ზეიმია, უმჯობესი იქნება, თუ მსოფლიოში იმოგზაურებენ, მოაწყობენ საფეხბურთო შოუებს, დაახლოებით ისეთს, როგორსაც საკალათბურთო „ჰარლემ გლობტროტერსი“ აწყობს, ან ითამაშებენ კოპაკაბანას პლაჟებზე საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი ლამაზმანების თვალწინ და მათ გულს მოიგებენ.

შეუძლებელია არ მოგწონდეს ბრაზილიის ნაკრები. მუდმივად მოღიმარი ფეხბურთელები მინდორზე სპექტაკლებს აწყობენ. გაიხსენეთ, რა ხდებოდა საფრანგეთთან მატჩის წინ. ორივე გუნდის ფეხბურთელები იღიმებოდნენ, ხუმრობდნენ, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. შემდეგ მსაჯმა მატჩის დაწყების ნიშანი მისცა. ფრანგები რადიკალურად შეიცვალნენ. მათ სახეზე ღიმილს ვერ ნახავდით. მინდორზე 11 მებრძოლი დარჩა, რომლებიც არც თავს ზოგავდნენ და არც მეტოქეს. ბრაზილიელები კი კვლავ იღიმებოდნენ. რონალდინიოს მოღიმარი სახისა და მორიდებული რონალდოს შემხედვარე, მატჩის საბოლოო შედეგში ალბათ ეჭვი აღარავის ეპარებოდა. რიბერი და სანიოლი იდაყვებითაც მუშაობდნენ, ბრაზილიელები კი იღიმებოდნენ...


რონალდინიოს ცრემლნარევი ღიმილი.

„თქვენ გაგვიტანთ რამდენსაც შეძლებთ, ჩვენ კი - რამდენსაც გვინდა“, - ეს ბრაზილიური ფორმულა გვახსოვს, მაგრამ ის მუშაობს იაპონიის ნაკრებთან, საფრანგეთის ნაკრებთან კი - არა, რადგან ფრანგებს სხვა ფორმულა აქვთ: „ჩვენ გავიტანთ ერთს და სანამ თქვენ იღიმით და ფიქრობთ, რომ გაგვიტანთ რამდენსაც გინდათ, ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ ამ ჩვენს უპირატესობას“. მხოლოდ კაკა გამოირჩეოდა ამ ფონზე, იბრძოდა, თავს არ ზოგავდა და პარეირამაც სწორედ ის შეცვალა, რომ მინდორზე არსებული ბრაზილიური იდილია არ დაერღვია.

ყველა გამარჯვებული ერთმანეთს ჰგავს, რადგან გამარჯვებისკენ მხოლოდ ერთი გზა მიდის - ბრძოლა. დამარცხებულები კი სხვადასხვაგვარად მარცხდებიან. ინგლისელებს მუდმივად ჩაჰყავთ მუნდიალზე ვარსკვლავებით სავსე გუნდი, რომლებიც მინდორზე ბოლომდე იბრძვიან, მაგრამ ხან თავშეკავება ღალატობთ, როგორც 1998 წელს, ხან მეკარე აკეთებს სისულელეს, როგორც 2002-ში. გერმანელებიც მუდმივად იბრძვიან, უბრალოდ, ბოლო ხანს მათ ვარსკვლავების დეფიციტი აქვთ.

ბრაზილიელებს კი იმდენი ვარსკვლავი ჰყავთ, ორ ნაკრებს ეყოფა, მაგრამ არ ჩანს ბრძოლის ჟინი. გამონაკლისი ალბათ 2002 წლის მუნდიალია, როდესაც სკოლარის გუნდი მართლაც იბრძოდა.

შესაძლოა, ბრაზილიის ნაკრები ჩამოყალიბებულმა საზოგადოებრივმა აზრმაც იმსხვერპლა - მუნდიალის დაწყებამდე ხომ პარეირას გუნდი მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადეს. ჯგუფურმა თამაშებმა კი თავად ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებიც დაარწმუნა, რომ მათთვის ეს მუნდიალი კარნავალს დაემსგავსებოდა და ასე ღიმილით მოიგებდნენ მეექვსედ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. თუმცა ხორვატებთან და ავსტრალიელებთან გამართულმა მატჩებმა ბრაზილიელები ოდნავაც არ დააფიქრა, რომ მათთვის ფეხბურთი ზეიმია და ეს ზეიმი საფრანგეთთან მატჩის შემდეგ დასრულდა. ფრანგები ნახევარფინალში არიან. ბრაზილიელები კი უკვე ცრემლნარევი ღიმილით დაემშვიდობნენ გერმანიას.






## ინფოთეკა

### ფიფამ საბერძნეთი მოკვეთა

ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ყველა საერთაშორისო ტურნირიდან ოფიციალურად მოკვეთა საბერძნეთის ეროვნული ნაკრები და მისი თითოეული წევრი.

ფიფას ასეთი მკაცრი სასჯელის მიზეზი გახდა ის, რომ საბერძნეთის მთავრობა უხეშად ერევა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში. ფიფას წესების თანახმად, ყველა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია დამოუკიდებელი ორგანოა.

გამოდის, რომ ევროპის მოქმედი ჩემპიონები 2008 წლის ტურნირზე ტიტულს ვერ დაიცავენ.

### პეკერმანს დარჩენას სთხოვენ

კვირას არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არ აკმაყოფილებს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ხოსე პეკერმანის გადადგომის მოთხოვნას.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ აღნიშნა, რომ იგი შეეცდება პეკერმანის დაყოლიებას, რათა იგი დარჩეს ეროვნული ნაკრების მესაჭის თანამდებობაზე. „საბოლოოდ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. გერმანიაში ჩვენზე უკეთ არც ერთ გუნდს არ უთამაშია. ამჯერად უბრალოდ იღბალი არ გვეყო“, - თქვა გრონდონამ. არგენტინა მეოთხედფინალში, გერმანიის ნაკრებთან პენალტების სერიაში განცდილი მარცხის შემდეგ გამოეთიშა ჩემპიონატს.

### ტერი თუ ჯერარდი

დევიდ ბექჰემის მიერ ინგლისის ნაკრების კაპიტნის უფლებამოსილების საკუთარი სურვილით მოხსნის შემდეგ „ნისლიან ალბიონზე“ ახალი კაპიტნის კანდიდატურების შესახებ დაიწყეს მსჯელობა. ყველაზე რეალურ კანდიდატთა შორის ასახელებენ მცველ ჯონ ტერის („ჩელსი“) და ნახევარმცველ სტივენ ჯერარდს („ლივერპული“). ორივე ფეხბურთელი ახალგაზრდაა - პირველი 25, ხოლო მეორე - 26 წლისა. ამასთან, ორივე გამოირჩევა ლიდერის თვისებებით - ჯერარდიც და ტერიც საკუთარი საკლუბო გუნდების კაპიტნები არიან. ამ თვალსაზრისით ინგლისის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი სტივ მაკლარენი 16 აგვისტომდე მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამ დღეს ინგლისის ეროვნული გუნდი ამხანაგურ მატჩს გამართავს ბერძნებთან.

### ბექჰემი რჩება

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი და მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი მხოლოდ 6 კვირის შემდეგ შეძლებს მოედანზე დაბრუნებას. ბექჰემმა პორტუგალიასთან მეოთხედფინალური მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისშივე ტრავმის გამო თვალცრემლიანმა დატოვა მოედანი. კვირას ჩატარებულმა გამოკვლევამ მუხლის მყესების გართულებული ტრავმა აჩვენა.

„მუხლი პირველ ტაიმში ვიტკინე, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში ერთ-ერთი პორტუგალიელი ფეხზე დამეცა“, - თქვა ბექჰემმა მატჩის შემდეგ.

6 კვირის შემდეგ, კერძოდ, 16 აგვისტოს, ევრო 2008-ის შესარჩევი ტურნირისთვის მზადების ეგიდით ინგლისის ნაკრები საბერძნეთთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ბექჰემის მონაწილეობა ამ მატჩში ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშაა. 31 წლის ფეხბურთელი ჯერ არ აპირებს სანაკრებო კარიერის დასრულებას და უკვე გამოთქვა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი.

### ტიმოშჩუკს „ფიორენტინა“ იწვევს

იტალიის „ფიორენტინას“ გენერალური დირექტორი პანტელეო კორვინო ამავე კლუბის პრეზიდენტ ანდრეა დელა ვალესთან ერთად განიხილავს უკრაინის ნაკრებისა და დონეცკის „შახტარის“ ნახევარმცველის ანატოლი ტიმოშჩუკის გადაბირების საკითხს. ტიმოშჩუკი „შახტარმა“ კლუბის ბიუჯეტის შევსების იმედით დააყენა ტრანსფერზე. უკრაინული კლუბის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯის შემდეგ ტიმოშჩუკის მიმართ კიდევ ერთმა იტალიურმა კლუბმა - მილანის „ინტერმა“ გამოხატა ინტერესი.

### ლარსონი კორეაში მიდის

შვედურ პრესაში გავრცელებული ცნობით, შვედეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი კარიერის გაგრძელებას აზიაში აპირებს. სავარაუდოდ, 35 წლის ფეხბურთელი სამხრეთ კორეის საფეხბურთო კლუბ „სუვონ ბლუინგზში“ გადავა. ლარსონის ამ გადაწყვეტილებამ გააღიზიანა შვედური „ჰელსინგბორის“, რომელთანაც „ბარსას“ თავდამსხმელმა ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ გააფორმა წელიწადნახევრიანი კონტრაქტი.

# ეს გზა კლინსმანთან მიგიყვანთ

შაბათ-კვირას სრულიად გერმანიამ სიგიჟის რამდენიმე საათი განიცადა - ალემანია ქვეყნის პირველი ნაკრების ნახევარფინალში გასვლას ზეიმობდა. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა ყიჟინასა და დოლების ბრახუნს მოეცვა. ერთადერთი ადგილი, სადაც საყოველთაო სიმშვიდე სუფევდა, გერმანიის დედაქალაქში მდებარე „შლოსჰოტელი" გახლდათ. სასტუმრო, რომელშიც ბუნდესნაკრებს დაედო ბინა. საყოველთაო გამარჯვება იურგენ კლინსმანის გუნდმა მოკრძალებულად აღნიშნა. მეორე დღეს ზეიმი დავიწყებას უნდა მისცემოდა - წინ ხომ იტალიელებთან ნახევარფინალური ჯახია.

ნახევარფინალისტებს არც სტატისტიკის გახსენება დავიწყებიათ. სტატისტიკა კი ისეთია, რომ „სკუადრა აძურას" წინააღმდეგ ჩატარებული მატჩების შედეგები ნამდვილად არ იძლევა მოდუნების საშუალებას: 13 წაგება, 8 ფრე და 7 გამარჯვება. ტკბილად მოსაგონარი არც უკანასკნელი მატჩია - მარტში ფლორენციაში გამართული გერმანია-იტალიის ამხანაგური შეხვედრა აპენინელთა დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა - 4:1.

ალბათ ამიტომაც არის, რომ ოლივერ ბირჰოფის საჯაროდ თქმულს - ბუნდესნაკრებს ახლა მთელი მსოფლიო უნდა უფრთხოდესო, გერმანიაში არავინ იხსენებს. არგენტინელებთან მატჩის მეორე დღესვე, იურგენ კლინსმანის გადაწყვეტილებით, გუნდმა მსუბუქ აღდგენით პროცედურებს მიმართა, კვირას კი სრული დატვირთვით განაახლა ვარჯიში.

თუ არგენტინელებთან მატჩის წინ კლინსმანმა თავის შეგირდებს განტვირთვის მიზნით, აქაოდა, რელაქსაციისთვის კარგი მეთოდიაო, მშვილდ-ისარი ატყორცნინა, ახლა მწვრთნელს ფეხბურთელების დასვენებაზე აღარ უფიქრია. არადა, ბიჭებს სულ სხვა იმედი ჰქონდათ...

„თავისუფალ დროს სიამოვნებით ვთამაშობთ ბოულინგს. მაგრამ მთელი გუნდი ერთად პირველად კოსტა-რიკასთან გამარჯვების შემდეგ გავემართეთ ბურთების გასაგორებლად. აღმოჩნდა, რომ როცა ყველა ერთად ვართ, ბოულინგის თამაში ორმაგად სასიამოვნოა და უკეთესად ხსნის დაძაბულობას. კარგი იქნება, თუ იურგენ კლინსმანი წინააღმდეგი არ იქნება და იტალიელებთან მატჩის წინაც ანალოგიურ „პიკნიკს" მოვაწყობთ", - ეს ბოულინგის დიდი მოყვარულის ტორსტენ ფრინგსის თხოვნა იყო ნაკრების დამრიგებლისადმი.

ბუნდესთავკაცმა კი თქვა, რომ ჯერ დარჩენილი ორი მატჩი უნდა მოიგონ და მერე ფეხბურთელებს გინდ ბოულინგი უთამაშიათ და გინდ ჭადრაკიო.



*კლინსმანი და ლიპი - სხვადასხვა განზომილებაში.*

## გმირთაგმირი

გმირობა გადამდებია. განსაკუთრებით ფეხბურთში. ჩემპიონატის დაწყებისთანავე ჯერ ფილიპ ლამმა მოიპოვა გერმანელთა საყოველთაო სიყვარული, მერე წარმოშობით პოლონელებმა - მიროსლავ კლოზემ და ლუკაშ პოდოლსკიმ. არგენტინელებთან ნაჩვენები საქმენი საგმირონის შემდეგ, ალემანთა გულებში დამსახურებულად დაიდო ბინა იენს ლემანმა.

„გაგვიმართლა, რომ ჩვენს კარს ისეთი მეკარე იცავს, როგორიც იენს ლემანია. მეკარე, რომლისაც ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს ბოლომდე სჯერა, - ამბობდა მეოთხედფინალის შემდეგ იურგენ კლინსმანი, - პენალტების სერიაში კი ლემანმა დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე ალღო აქვს".

ცოდვა გამხელილი სჯობს და, „ალბისელესტეს" შინ გასტუმრებაში იენს ლემანს მარტო ბრწყინვალე ალღო, შესაშური რეაქცია და მრავალწლიანი გამოცდილება არ დახმარებია. როგორც მოგვიანებით ბუნდესნაკრების მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი გამოტყდა, პენალტების სერიის წინ 40 წელს მიტანებულმა გოლკიპერმა „შპარგალკის" წყალობით ჩააბარა კარიერის ერთ-ერთი რთული გამოცდა: ნაკრების მეკარეთა მწვრთნელი ანდრეას კიოპკე და სამწვრთნელო ბრიგადის ერთ-ერთი წარმომადგენელი ურს ზიგენტჰაალერი დაკვირვებით ადევნებდნენ თვალყურს მეტოქეთა მიერ შესრულებულ პენალტებს და ზუსტი გათვლებიც გააკეთეს - სად და როგორ ურტყამენ თერთმეტმეტრიანებს არგენტინის ნაკრების ფეხბურთელები და ნანახი დაწვრილებით გაანდეს ლემანს.

კიოპკესა და ზიგენტჰაალერის დაკვირვებამ და „შპარგალკამ" გაამართლა. ახლა ორივე მათგანი იტალიელთა სტაჟიან პენალტისტებს აკვირდება. რა იცი, რაში გამოადგეთ?

### იურგენ კლინსმანისკენ!

ამასობაში გერმანიის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ გაისლინგენში, სადაც კლინსმანს ბავშვობა და ყრმობა გაუტარებია, ადგილობრივი მოსახლეობა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებს აღარ დაელოდა და ჯერ კიდევ მეოთხედფინალური მატჩის დაწყებამდე ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე ფერადი ტრაფარეტები გამოფინა წარწერით: ეს გზა კლინსმანთან მიგიყვანთ.

„ჩვენთვის ისიც საკმარისია, რასაც უკვე მიაღწია ჩვენმა თანაქალაქელმა მუნდიალზე, - ამბობს ანხელა როზენბერგი, ქალაქის მერიის წარმომადგენელი, - რაღას უნდა დავლოდებოდით? ამიტომაც დავამონტაჟეთ საგზაო ტრაფარეტი, რომელზე გამოსახულ ისარსაც იმ სტადიონისკენ მიყავხართ, სადაც იურგენმა სამოყვარულო საფეხბურთო კლუბ „გაისლინგენში" დაიწყო კარიერა. თანაც, ეს სიმბოლურია - ასე მიუძღვის ის ახლა ეროვნულ ნაკრებს გამარჯვებისკენ".

კლინსმანის ქუჩას რომ გამარჯვებისკენ მიჰყავს, მარტო მის მშობლიურ ქალაქში კი არა, ამაში, სულ ცოტა, დღეს საღამომდე მთელ გერმანიას არ ეპარება ეჭვი.

## ასათიანმა თამაში დაიწყო

მსოფლიო ჩემპიონატი დასკვნით ფაზაში შევიდა, რუსეთში კი უკვე დაიწყო ქვეყნის თასის გათამაშების მორიგი ეტაპი. მოსკოვის „ლოკომოტივი" „ანჟის" დაუპირისპირდა და დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა - 4:2. რკინიგზელებმა პირველი ორი გოლი პენალტებით გაიტანეს. ერთი პენალტი მოსკოველთა კარშიც დაინიშნა, რომლის სამართლიანობაში ეჭვი ეპარება ლოკომოტიველთა დაცვის ლიდერს მალხაზ ასათიანს. ქართველმა მინდორზე 90 წუთი გაატარა და რამდენჯერმე გოლის გატანაც შეეძლო. მატჩის შემდეგ ასათიანი რუს ჟურნალისტებს ესაუბრა.

**- კარგა ხანია ოფიციალური მატჩი არ გაგიმართავთ. შედეგით კმაყოფილი ხართ?**

- ანგარიში 3:0 ჩვენთვის უფრო მისაღები იქნებოდა, თუმცა, არც 4:2-ია ურიგო. ორბურთიანი ფორა განმეორებითი მატჩის წინ შემდეგ ეტაპზე გასვლის რეალურ შანსს გვაძლევს.

**- ელოდით თუ არა, რომ „ანჟი" ასეთ წინააღმდეგობას გაგიწევდათ?**

- დიახ. ვიცოდი, რომ ძლიერი გუნდია. მინდა გითხრათ, რომ მახაჩკალური გუნდი ძალიან მომეწონა.

**- საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ? დღეს აშკარად ორ პოზიციაზე თამაშობდით...**

- ვცდილობდი. თუმცა, რაც მინდოდა, ყოველთვის არ გამომდიოდა. ხანგრძლივი პაუზა გვქონდა და ამანაც იმოქმედა.

**- ამ თამაშში „ლოკომოტივის" ძველმა პრობლემამ იჩინა თავი: უტევთ, გაგაქვთ გოლები, შემდეგ კი ეშვებით...**

- მთლად ასე არ არის. ჩვენს კარში გატანილი მეორე გოლი უსამართლო იყო.

**- რა, პენალტი მსაჯმა მოიგონა?**

- დიახ. ევსეევი მეტოქეს არც კი შეხებია.

**- მეტოქის კარში დანიშნულ ორ პენალტზე რას იტყვით?**

- ორივე სამართლიანად დაინიშნა.

**- იცით თუ არა, რომელ ადგილზეა „ანჟი" პირველ დივიზიონში?**

- მგონი სატურნირო ცხრილის შუაში უნდა იყოს.

**- არა, მხოლოდ ოთხი ქულა აცილებს გასავარდნ ზონას.**

- საკვირველია. „ანჟი" არ ტოვებს იმ გუნდის შთაბეჭდილებას, რომელიც გადარჩენისთვის იბრძვის. დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში სატურნირო მდგომარეობას გამოასწორებენ. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ დაღესტნურმა გუნდმა დღეს საკუთარ თავს აჯობა.

**- სათასო მატჩებში პრემიერლიგის გუნდების უმეტესობამ სათადარიგო შემადგენლობით ითამაშა. „ლოკომოტივმა" კი მინდორზე უძლიერესი შემადგენლობა დააყენა. რა, „ანჟის" შეგეშინდათ?**

- ჯობს ეს მწვრთნელს ჰკითხოთ. ვინ ითამაშებს და ვინ არა, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**- როგორ ფიქრობთ, ამ გამარჯვების შემდეგ განმეორებით მატჩში დუბლშემადგენლობა ითამაშებს?**

- ალბათ. ჩვენ ძალიან ძლიერი ახალგაზრდები გვყავს.

**- დღეს გოლის გატანის რამდენიმე შანსი გქონდათ. მატჩის ბოლო წუთზე კი თითქმის ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენეთ. რა მოხდა?**

- მართალი ბრძანდებით, ბოლო მომენტი ყველაზე სახიფათო იყო. არ ვიცი, რატომ არ გამომივიდა დარტყმა.

## კრისი ამჩატდა

*უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოსთან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაკარგვის მიუხედავად, მძიმეწონოსან ამერიკელ კრის ბერდს კრივიდან წასვლა არ განუზრახავს. მხოლოდ საკუთარი ძალის მოსინჯვა უნდა პირველ მძიმე წონაში. თუმცა, მძიმეწონოსნებს მასთან შეხვედრა არ სურთ!*

ამჟამად ბერდის ბანაკის წარმომადგენლები მოლაპარაკებას მართავენ პირველი მძიმე წონის აბსოლუტურ ჩემპიონ ო`ნილ ბელთან.

„მიმაჩნია, რომ ო`ნილ ბელი წონაში საუკეთესოა. ის აბსოლუტური ჩემპიონია. ამასობაში მეც ვეწერები პირველ მძიმე წონაში. მაგარი იქნება ქვედა წონაში ჩამონაცვლება და მასთან შეხვედრა. უფრო საინტერესო იქნება პირველ მძიმე წონაში ტიტულის დაუფლების შემდეგ მძიმე წონის რომელიმე ჩემპიონის გამოწვევა. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ქვედა წონაში ჩავინაცვლო. თუ ვინმე ქვედა წონიდანაც მოისურვებს მძიმეში ასვლას, შემიძლია მასაც შევხვდე. ერთადერთი, რაც ახლა მინდა, რინგზე გასვლაა.

იმ შემთხვევაში, თუ იოლად გავიმარჯვებ ო`ნილთან, მაშინ არ დავრჩები პირველ მძიმე წონაში. ის კაცი არ ვარ, ვინც იოლ გამოსავალს ეძებს. არ მინდა წინასწარ განვჭვრიტო, თუ რა მოხდება. ხოლო თუ ეს ბრძოლა არ შედგება, მაშინ უკან დავბრუნდები. მინდა საკუთარი საქმე სიამოვნებით ვაკეთო. ჩემი ბოლო ორთაბრძოლებისგან სიამოვნება არ მიმიღია. თითოეული ორთაბრძოლა მხოლოდ ორთაბრძოლა იყო. თუ როდის მივიღებ კრივისგან სიამოვნებას, ამას მაშინ შეიტყობთ, როდესაც მეტოქეებს გავასულელებ".

საგულისხმოა, რომ კრის ბერდის შესაძლო მეტოქეს ო`ნილ ბელსაც საინტერესოდ ესახება მძიმეწონოსანთან შერკინების პერსპექტივა. ამასთან, ასეთი წინადადება დღეს ყველაზე მომხიბვლელად ეჩვენება.

„მგონია, რომ საინტერესო ორთაბრძოლა იქნება. მას ისე ვუყურებ, როგორც ორი თანაბარძალოვანი მოკრივის შერკინებას. ორივე ერთ წონაში გამოვალთ. ბერდს მძიმეწონოსნებთან ჩხუბის გამოცდილება აქვს. ვნახოთ, მასაც ისეთივე ძლიერი დარტყმა აქვს, როგორიც მე?"

ო`ნილ ბელის თქმით, ბანაკებს შორის მოლაპარაკება სამ კვირაზე მეტია გრძელდება. „მართალია, ჯერჯერობით ხელი არაფერზე მოგვიწერია, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩვენი შერკინება შედგება", - ამბობს ის.

„მის საწინააღმდეგოს ვერაფერს ვიტყვი. მისი მიღწევები შთამბეჭდავია. ჩემთვისაც საინტერესო გამოწვევაა მასთან ჩხუბი, რადგან გულშემატკივარს ჩემს შესაძლებლობებს ვაჩვენებ. წაგებაზე არასდროს არ ვფიქრობ. ეს ბრძოლა კარგი შანსი იქნება იმის დასამტკიცებლად, რომ საუკეთესოებთან მეტოქეობა შემიძლია. ყოველთვის მინდოდა ისეთ ჩხუბში მონაწილეობა, რომელშიც აუტსაიდერად შემაფასებდნენ. ეს იმიტომ მომწონს, რომ ჩემს მოწინააღმდეგეებს ენა ჩავაკმედინო".

# ტონი გერმანიასთან დაამტკიცებს





*დღეს კლოზე და ტონი თავის შანსს დაელოდებიან.*

გერმანელებთან შედარებით, ნახევარფინალური მატჩის წინ იდილია სუფევს იტალიელთა ბანაკში. „სკუადრა აძურას" ფეხბურთელები დარწმუნებულნი არიან გამარჯვებაში: მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანასთან უწევთ დაპირისპირება, გამარჯვება მათ დარჩებათ.

უკრაინის ნაკრების კარში შესრულებულმა დუბლმა წერტილი დაუსვა ბოლო ხანს იტალიელი თავდამსხმელის ლუკა ტონის მიმართ გამოთქმულ უამრავ კრიტიკულ შენიშვნას. ახლა ტონის ისღა დარჩენია, თავისი კლასი გერმანიასთან ნახევარფინალში დაამტკიცოს.

ალბათ არც იყო გასაკვირი, რატომ გახდა ფლორენციის „ფიორენტინას" 29 წლის ბომბარდირი ბოროტი ენების ქილიკის საგანი. რატომ და იმიტომ, რომ როცა სერია ა-ს საუკეთესო ბომბარდირი ხარ და ერთ სეზონში გატანილი 31 გოლი გიმაგრებს ზურგს, ზედიზედ ექვსი უგოლო მატჩის ჩატარება არ გეპატიება. მით უმეტეს, მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც იმ ნაკრების ღირსებას იცავს, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძვის.

- ბოლო დროს თავს უსარგებლოდ ვგრძნობდი. ამბობდნენ, რომ ფორმა დავკარგე, რომ პარტნიორებთან საერთო ენას ვერ ვპოულობდი, რომ სათანადოდ არ ვვარჯიშობდი, - უკმაყოფილებას გამოთქვამდა ტონი, - კრიტიკას მხოლოდ ჩემს თამაშთან დაკავშირებით მოვისმენ და არა ჩემი საქციელის შესახებ. საკმარისი იყო მეთქვა, რომ კლუბის პრეზიდენტთან მოლაპარაკებას ვაპირებდი, მაშინვე ხან „ინტერში" გადამიყვანეს, ხანაც - „ბარსელონაში". არადა, გადაკვრითაც არ მიხსენებია, რომ „ფიორენტინადან" წასვლას ვაპირებდი.

**- მაინც რატომ ვერ ახერხებდით ამდენ ხანს გოლის გატანას?**

- პერიოდული ჩავარდნები თითქმის ყველა თავდამსხმელს აქვს. მიუხედავად ამისა, საკუთარი თავის რწმენა არასოდეს დამიკარგავს. არც მაშინ, როცა სერია ბ-ში ვთამაშობდი და არც ახლა, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვდივარ. ისიც მაძლიერებდა, რომ მარჩელო ლიპის ჩემი სჯერა. სხვათა შორის, უკრაინასთან მატჩის წინ, დილით მითხრა: დღეს აუცილებლად გაიტანო.

**- კარგი იქნება, თუ გერმანიასთან შეხვედრის წინაც იგივეს გაგიმეორებთ...**

- დარწმუნებული ვარ, ბუნდესნაკრებმა უკრაინის წინააღმდეგ ჩვენი თამაში და გატანილი სამი გოლი ნახა. ასე რომ, ახლა უფრო მეტად უნდა ვეიფრთხილდეთ. გერმანელებს კარგად ორგანიზებული და ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ნაკლები არც ჩვენ ვართ.

### მარჩელო ლიპი: „გერმანია მასპინძელია, მაგრამ არც იტალიაა ჭაბანი"

რაც შეეხება იტალიელთა თავკაცს, ყველაფერის მიუხედავად, მარჩელო ლიპის მაინც მიაჩნია, რომ ტონის გარდა, ნაკრებში ბევრი ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომელთაც ნებისმიერი დონის რთულ მატჩში შეუძლიათ გარდატეხის შეტანა.

- პირველ რიგში ვგულისხმობ ფრანჩესკო ტოტის, რომელიც მატჩიდან მატჩამდე უმატებს და საერთო ჯამში ტურნირის მიმდინარეობისას ძველი ფორმა თითქმის სრულად აღიდგინა, - ამბობს იტალიელი სპეციალისტი.

**- ტრავმირებული ალესანდრო ნესტა თუ გამოჩნდება გერმანელებთან მატჩში?**

- ვფიქრობ, დღევანდელი მატჩისთვის ნესტა სრულ მზადყოფნაში იქნება. ნესტა-კანავაროს უძლიერესი დუეტი კი გერმანელ თავდამსხმელებს ფეხის გადადგმის საშუალებას არ მისცემს.

**- როგორ შეხვდით პრესაში გავრცელებულ აზრს, რომ იტალიელები „პლაჟის ფეხბურთს" თამაშობენ?**

- ძნელია ამაზე კომენტარის გაკეთება. ჩვენს ნაკრებს თითქმის ორი წელია არ წაუგია. ამ ხნის განმავლობაში ძლიერ მეტოქეებთან გვიწევდა დაპირისპირება. „პლაჟის ფეხბურთით" კი მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ვერ ითამაშებ.

**- ბუნდესნაკრების წინააღმდეგ გამართულ უკანასკნელ მატჩში „სკუადრა აძურამ" 4:1 იმარჯვა. გაძლევთ თუ არა ეს იმის საფუძველს, რომ თქვენი გუნდი ამჯერადაც ფავორიტად ჩათვალოთ?**

- ეს მარტში იყო. მას მერე დიდი დრო გავიდა და, შესაბამისად, კლინსმანის გუნდიც საკმაოდ მოძლიერდა. გარდა ამისა, მაშინ გერმანელებს შინ, ფლორენციაში ვეთამაშეთ. ახლა კი მათ სამშობლოში გვიწევს თამაში. ასე რომ, არ ღირს ჩვენი უპირობო ფავორიტად მონათვლა.

## გულთმისანი რუსი

მსოფლიო ჩემპიონატის დროს ტოტალიზატორში თითქმის ყველა თამაშობს. ერთ-ერთ რუსს კი საოცრად გაუმართლა: მან ოთხი მატჩის შედეგის გამოცნობაზე 50 რუბლი დადო და 762 000 მოიგო, რაც დაახლოებით 25 000 დოლარის ტოლფასია. ინკოგნიტო პირმა ზუსტად გამოიცნო ოთხი მატჩი შედეგი. ესპანეთი - ტუნისი 3:1, გერმანია - ეკვადორი 3:0, ინგლისი - შვედეთი 2:2, ხორვატია - ავსტრალია 2:2.

ამ ჩემპიონატზე ტოტალიზატორები ნამდვილად არ არიან წაგებაში. მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილმა უილიამ ჰილის ტოტალიზატორის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სოლიდური თანხა მოიგეს. მარტო ინგლისის ნაკრების გამარჯვებაზე დაახლოებით 100 მილიონი დოლარი იყო დადებული.

## პროდი „სკუადრა აძურას" თამაშზე გაემგზავრა

იტალიის პრემიერ-მინისტრის რომანო პროდის თქმით, დღეს იგი დორტმუნდში გაემგზავრება, რათა დაესწროს მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის პირველი გუნდის ნახევარფინალურ მატჩს გერმანიასთან. „გერმანიისა და იტალიის ნაკრებების დაპირისპირება ყოველთვის საინტერესო და საამო საცქერია. ჩვენს ქვეყნებს შორის წარსულში გამართულმა მატჩებმა დაუვიწყარი წუთები მაჩუქეს. ამიტომ გადავიწყვიტე, ამ პრინციპულ შეხვედრას სტადიონიდან ვუცქირო", - ნათქვამია პროდის მიერ გერმანიის კანცლერ ანხელა მერკელისთვის გაგზავნილ ღია წერილში.

## დომენიკი ბურთის მფლობელი გახდა

გერმანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ტორსტენ ფრინგსი ერთადერთი არ აღმოჩნდა, ვინც მსოფლიო ჩემპიონატის ბურთი იგდო ხელთ. ფრინგსს ეს ბედნიერება კოსტა-რიკასთან გახსნითი მატჩის შემდეგ ხვდა წილად.

გერმანელ ფეხბურთელს არც საფრანგეთის ეროვნული ნაკრების თავკაცი რაიმონ დომენიკი ჩამორჩა, რომელმაც ბრაზილიელების დამარცხების შემდეგ მიითვისა ჩემპიონატის ბურთი. მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე ფრანგთა დამრიგებელმა ამაყად გახსნა ზურგჩანთა და თავისი მონაპოვარი წარადგინა.

## ბარიჩი ალბანელთა სათავეში

„როიტერის" ინფორმაციით, ცნობილი ხორვატი სპეციალისტი ოტო ბარიჩი ალბანეთის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში.

ბარიჩმა ამ პოსტზე გერმანელი ჰანს-პეტერ ბრიგელი შეცვალა და გუნდს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატისთვის მოამზადებს.

პირველი, რაც ოტო ბარიჩმა ნაკრებში მისვლისთანავე თქვა, ბრიგელი გაწეული სამსახურისთვის შეაქო: „ბრიგელმა კარგად იმუშავა ნაკრებთან, რომელმაც საკმაო პროგრესი განიცადა. ცდას არც მე დავაკლებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა ალბანელებს წარმატებები მოვუტანო".

## „სევილია" გაძლიერდა

ესპანეთის საფეხბურთო კლუბმა ერთბაშად ორ ფეხბურთელთან გააფორმა კონტრაქტი: ესპანეთის მეორე დივიზიონში მოთამაშე „რეალ ბ-ს" სათადარიგო მეკარე დავიდ კობენიოსთან და „მალაგაში" მოთამაშე დუდუსთან.

ისევე როგორც „რეალ ბ"-ში, 24 წლის კობენიო „სევილიაშიც" სათადარიგო იქნება. დავიდ კობენიომ მიმდინარე სეზონში 30 მატჩში 26 გოლი გაუშვა და შედეგიანობით მესამე გახდა მეორე დივიზიონის გოლკიპერთა შორის.

რაც შეეხება „სევილიას" მეორე შენაძენს, 26 წლის პორტუგალიელი დუდუ „მალაგაში" გატარებული ხუთი სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა ესპანურ კლუბში.

## „ბარსამ" ძამბროტას დაადგა თვალი

ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, კატალონიურმა „ბარსელონამ" მოლაპარაკებები წამოიწყო „იუვენტუსის" ხელმძღვანელობასთან იტალიელი მცველის ჯანლუკა ძამბროტას თაობაზე.

კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობა ძამბროტას თამაშით მსოფლიო ჩემპიონატისას მოიხიბლა.

ჯერჯერობით თავად ძამბროტა „იუვენტუსიდან" წასვლაზე არაფერს ამბობს. „ბარსელონას" გარდა, იტალიელი მცველით მილანური კლუბები „ინტერი" და „მილანი" არიან დაინტერესებული.

## ნედვედმა - კი, ბუფონმა - არა

იტალიური „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჩეხეთის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა დაადასტურა, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულებას არ აპირებს. თუმცა, ჯერ კონკრეტულად არ იცის, რომელ კლუბში გააგრძელებს თამაშს.

„მას შემდეგ, რაც ჩეხეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთხოვა, ჩემს მომავალზე დავფიქრდი და მივხვდი, რომ ფეხბურთიდან წასვლა ჯერ ნაადრევია. სულ ცოტა, ერთი სეზონი კიდევ ვითამაშებ, ოღონდ ჯერ არ ვიცი, ნაკრებშიც დავრჩები თუ არა", - თქვა ნედვედმა.

რაც შეეხება „იუვენტუსს", ჩეხი ფეხბურთელის თქმით, მართალია, კარიერის დასრულება სერია ბ-ში მაინცდამაინც არ უნდა, მაგრამ ტურინული კლუბი იმდენად უყვარს, რომ თუ გუნდში დარჩენას შესთავაზებენ, სერია ბ-ზეც თანახმაა.

რაც შეეხება „იუვეს" კარის დარაჯს ჯანლუიჯი ბუფონს, ნედვედის თქმით, პირადად ესაუბრა ჯიჯის, რომელმაც გაანდო, რომ ტურინში დარჩენას არ აპირებს.

პაველ ნედვედის დარად, „იუვენტუსის" მიტოვებას არც ალესანდრო დელ პიერო აპირებს.

## პაკეტა პოსტზე დარჩა

საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ნაკრების მთავარი მწვრთნელი მარკოს პაკეტა თანამდებობაზე დარჩება.

პაკეტას არაბებთან მუშაობა ეჭვქვეშ დადგა მას შემდეგ, რაც საუდის არაბეთი მსოფლიო ჩემპიონატზე ჯგუფში ჩარჩა.

უახლოეს ოფიციალურ მატჩს პაკეტას გუნდი 16 აგვისტოს გამართავს აზიის თასზე, სადაც არაბები ინდოეთის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

## ოუენი გადარჩა

მაიკლ ოუენი გახარებულია - მორიგმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ, საბედნიეროდ, ფეხბურთელს მხოლოდ ჯვარედინი მყესები აქვს დაზიანებული.

ინგლისელი თავდამსხმელი სამკურნალოდ ამერიკაში წავიდა. მას უმკურნალებს ამ სფეროში ცნობილი სპეციალისტი რიჩარდ სტიდმენი, რომელმაც თავის დროზე ალან შირერისა და კრეიგ ბელამის კარიერა გადაარჩინა.

სასიხარულო ცნობის მიუხედავად, გადაწყვეტილება, რომ ოეუნი წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს, ძალაში რჩება.

## ფრინგსი დისკვალიფიცირებულია

გერმანიის ნაკრების ჰავბეკი ტორსტენ ფრინგსი მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალს „სკუადრა აძურას" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

ფიფას მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ სწორედ ფრინგსმა უთავაზა სამხრეთამერიკელთა თავდამსხმელს ხულიო რიკარდო კრუსს გერმანია-არგენტინის მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს შორის მომხდარ ჩხუბში.

ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ტორსტენ ფრინგსი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ასე რომ, თუ გერმანია ფინალში ითამაშებს, გადამწყვეტ მატჩში ფრინგსი გუნდს დაეხმარება.

## ლუსიო რეკორდსმენია

ბრაზილიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელმა ლუსიომ მსოფლიო ჩემპიონატების ახალი რეკორდი დაამყარა - სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელმა მოედანზე 386 წუთი ისე გაატარა, რომ გაფრთხილება არ მიუღია.

მანამდე ეს რეკორდი ეკუთვნოდა პარაგვაელ კარლოს გამარას, რომელმაც 1998 წლის მუნდიალზე 383 წუთი გაძლო წესების დარღვევის გარეშე. საინტერესოა ისიც, რომ ოთხი წლის შემდეგ, კორეა-იაპონიაში, გამარას არც ზედიზედ ოთხ მატჩში (360 წუთი) მიუღია გაფრთხილება.

„ცხადია, საინტერესო სტატისტიკაა, მაგრამ პირადად ჩემთვის უმნიშვნელოა", - თქვა ლუსიომ ფრანგებთან შეხვედრის წინ. ლუსიომ სწორედ „სამფეროვნებთან" შეაჩერა თავისი რეკორდული სვლა - პირველად მსაჯმა სიტყვიერად გააფრთხილა მატჩის 26-ე წუთზე, როცა ბრაზილიელმა ანრი მოცელა, 75-ე წუთზე კი, ისევ ანრისთან უხეშობისთვის, ლუსიომ ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

## პესოტო უკეთესადაა

ბოლო ინფორმაციით, ტურინის „იუვენტუსის" მენეჯერისა და ყოფილი ფეხბურთელის ჯანლუკა პესოტოს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

„წუხელ ღამით თვალი გაახილა და ხელებიც აამოძრავა. მისი მდგომარეობა სტაბილურია და უკეთესობისკენ მიდის. პესოტოს სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება", - განაცხადა პესოტოს მკურნალმა ექიმმა. ჯანლუკა პესოტო საავადმყოფოში მას შემდეგ მიიყვანეს, რაც დეპრესიით შეპყრობილმა თავის მოკვლა სცადა და „იუვენტუსის" ოფისის ფანჯრიდან გადახტა.

# ლემანის საიდუმლო

გერმანულმა გაზეთმა „-მა გამოააშკარავა თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საიდუმლო - როგორ ახერხებს იენს ლემანი პენალტების მოგერიებას. კერძოდ, საუბარია გერმანია-არგენტინის მეოთხედფინალურ მატჩზე და იმ საიდუმლოზე, რომლის წყალობითაც გერმანელთა კიპერმა არგენტინელი ფეხბურთელების მიერ შესრულებული ორი პენალტი მოიგერია.

ტელერეპორტაჟის დროს კარგად ჩანდა, რომ ყოველი პენალტის წინ ლემანი გეტრიდან პატარა ფურცელს იღებდა, კითხულობდა, შემდეგ უკანვე აბრუნებდა და იგერიებდა პენალტს. ასე იყო მაგალითად მაშინ, როდესაც თერთმეტმეტრიანს კამბიასო ასრულებდა.

ტელეკამერამ დააფიქსირა ლემანის ოდნავ საეჭვო საქციელის ყველა ეტაპი. თუ რა ეწერა ამ მაგიურ ფურცელზე, პოპულარულ გერმანულ გაზეთს გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელმა ანდრეას კეპკემ გაუმხილა.

კეპკემ საიდუმლო ტექსტი საჯაროდ გაშიფრა. კერძოდ, ის ტექსტი, რომელიც ეწერა ფურცელზე კამბიასოს დარტყმის წინ. „დარტყმამდე არ გაინძრე, დარტყმისთანავე გადახტი მარცხენა კუთხეში". სწორედ ასე მოიქცა ლემანი და მოიგერია კიდეც გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი.



ლემანის მიერ მოგერიებული პენალტი.

„მატჩამდე მე და იენსი დავსხედით და გავაანალიზეთ სრული ინფორმაცია, რაც გვქონდა იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებენ არგენტინელები თერთმეტმეტრიანებს", - უთხრა კეპკემ გაზეთის ჟურნალისტს.

თურმე თამაშამდე ლემანი დაუკავშირდა თავის ყოფილ თანაგუნდელს და მეგობარს ჰუბ სტივენსს, რომელმაც ბუნდესნაკრების მეკარეს არგენტინელთა პენალტების შესახებ მთელი საინფორმაციო ბანკი შეუგროვა.

„რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთ პატარა ფურცელზე არ დაეტეოდა. მე მხოლოდ იმ ფეხბურთელთა გვარები ჩამოვწერე, რომლებიც, ჩემი ვარაუდით, შეასრულებდნენ პენალტებს. შემდეგ კი თითოეულის გასწვრივ მივაწერე, თუ როგორ და რომელ კუთხეში გზავნიან ისინი ბურთს უფრო ხშირად", - აღიარა კეპკემ. ნათელი ხდება, თუ რა კოლოსალური შრომა გასწია გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა. ფაქტობრივად, ლემანს პენალტების სერიაში შპარგალკა ჰქონდა.

თავად ლემანს პენალტების მოგერიების შემდეგ განსაკუთრებული სიხარული არ გამოუხატავს. „ეს ჩემი სამუშაოა, გერმანიის ნაკრების მეკარე პენალტებს უნდა იგერიებდეს", - თქვა გამარჯვების შემდეგ ლემანმა.

# შევჩენკო იტალიას უქომაგებს

უკრაინის ნაკრების გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელები მეოთხედფინალში იტალიის ნაკრებთან დამარცხდნენ, ის ფაქტი, რომ შევჩენკომ და მისმა თანაგუნდელებმა ამ ეტაპზე გასვლა შეძლეს, უდავოდ დიდი მიღწევაა.

**- იტალიის ნაკრების წინააღმდეგ თამაში თქვენთვის ალბათ განსაკუთრებული იყო.**

- დიახ. ოღონდ არა მხოლოდ იმიტომ, რომ იტალიელებს ვეთამაშებოდით. ეს მეოთხედფინალი იყო და თუ იტალიის ნაკრებისთვის მეოთხედფინალში თამაში ჩვეულებრივი მოვლენაა, უკრაინელებისთვის ეს რაღაც განსაკუთრებულია. ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი გუნდი მეოთხედფინალში გავიდოდა.

**- თქვენი გუნდის ბოლო მატჩს როგორ შეაფასებთ?**

- ურიგოდ არ გვითამაშია. თანამედროვე ფეხბურთში შესაძლოა ყველაფერი ერთმა ეპიზოდმა გადაწყვიტოს. იტალიელებმა მომენტები მაქსიმალურად გამოიყენეს. ჩვენ დაახლოებით იმდენივე სახიფათო მომენტი შევქმენით, რამდენიც „სკუადრა აძურამ", მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ.

**- ალბათ იტალიელი მცველებისგან თავიდანვე იგრძენით განსაკუთრებული ყურადღება.**

- რა თქმა უნდა. ფაქტობრივად, შეტევაში მარტო ვთამაშობდი და, ცხადია, გამიჭირდა. თანაც იტალიელმა მცველებმა ჩემი თამაშის სტილი კარგად იციან.



შევჩენკო კმაყოფილი დაემშვიდობა გერმანიას.

**- ჩემპიონატის პირველ მატჩში ესპანელების წინააღმდეგ სწრაფი გოლი გაუშვით. იგივე მოხდა მეოთხედფინალშიც...**

- რაღაც კანონზომიერება მართლაც ჩანს. მაგრამ თუ ესპანელებთან გაშვებული გოლის შემდეგ გონს ველარ მოვედით, იტალიელებთან ასე არ მომხდარა. მეორე ტაიმში, როდესაც ანგარიში 1:0 იყო იტალიელთა სასარგებლოდ, გოლის გატანაც შეგვეძლო და, ვინ იცის, შემდეგ რა მოხდებოდა. ხოლო როდესაც მეორე გოლი გავუშვით, უკვე მივხვდი, რომ მატჩის გადარჩენა შეუძლებელი იყო.

**- რატომ?**

- მშვენივრად ვიცი, როგორ შეუძლიათ იტალიელებს ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში.

**- მიუხედავად ამისა, შეიძლება თუ არა თქმა, რომ უკრაინის ნაკრებს არ გაუმართლა?**

- დიახ, მაგრამ მარცხის მიზეზი ეს არ ყოფილა. იტალიელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. ჩვენი შეცდომები მაქსიმალურად გამოიყენეს. თუმცა, მარცხის მიუხედავად, არა მგონია, რომ ჩვენი ნაკრები გასაკიცხი იყოს. ბოლომდე ვიბრძოლეთ. ცხადია, გვინდოდა ნახევარფინალში გასვლა, მაგრამ მეტოქე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

**- იტალიის ჩემპიონატის მატჩებში არაერთი გოლი გაგიტანიათ პირლოს გადაცემით. ახლა ის თქვენს მეტოქეებს ამარაგებდა საგოლე პასებით...**

- სამწუხაროდ, ჩვენს გუნდში არ არის ისეთი მაღალი დონის გამთამაშებელი, როგორიც პირლოა. ცხადია, ეს ჩვენი გუნდის შეტევით პოტენციალს აკნინებს. თუმცა, ამ თემაზე დიდხანს საუბარი არ ღირს. უკრაინის ნაკრებში არაერთი კარგი ფეხბურთელია. სწორედ ამიტომ შევძელით მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასვლა.

**- 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კვლავ მოგიწევთ იტალიელების წინააღმდეგ თამაში. ამაზე რას ფიქრობთ?**

- ასეთი მატჩების პროგნოზირება არ ღირს. ერთს კი დაზუსტებით გეტყვით: ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- მატჩის შემდეგ თქვენ უკრაინის ნაკრების გულშემატკივრებს გადაუხადეთ მადლობა, შემდეგ კი იტალიელი ფანების ტრიბუნებისკენ გაემართეთ და მათაც ტაში დაუკარით. ასეთ რამეს თანამედროვე ფეხბურთში იშვიათად ნახავ...**

- შვიდი წელი გავატარე იტალიაში. არასდროს დამავიწყდება, როგორ მიმიღეს იტალიელებმა. მქონდა საშუალება მათთვის მადლობა მეთქვა და ეს შანსი გამოვიყენე. სანამ იტალიელთა ტრიბუნასთან მივიდოდი, ბუფონს და პირლოსაც მივულოცე და მათ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგება ვუსურვე.

**- თუმცა ახლა უკვე ინგლისში ითამაშებთ და არა იტალიაში...**

- ამის გამო ჩემი დამოკიდებულება იტალიელების მიმართ არ იცვლება. საოცარი ხალხია და დარჩენილ მატჩებში იტალიას ვუგულშემატკივრებ.

**- „ჩელსისთან" ერთად ალბათ ჩემპიონთა ლიგის მოგება გსურთ.**

- ვფიქრობ, „ჩელსის" ამ ტიტულის მოგება შეუძლია.

**- რა გრძნობით ტოვებთ გერმანიას?**

- ბედნიერი ვარ, რომ უკრაინის ნაკრები მსოფლიოს რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა. ეს უდიდესი მიღწევაა.

**- როდის და სად გაემგზავრებით დასასვენებლად?**

- ეს ის საკითხია, რომელზეც გერმანიაში საერთოდ არ მიფიქრია. ალბათ ხვდებით რატომაც...

# ფორმულა ინდიზე სირცხვილს იწმენდს

გიგა გურასაშვილი

*მას შემდეგ, რაც შარშანდელ ინდიანაპოლისურ ეტაპს „მიშლენის" საბურავებზე შემდგარმა საჯინიბოებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, ხოლო „აშშ-ის დიდი პრიზი" ფარსად შეირაცხა, ფორმულა 1-ის საჯინიბოთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: ამერიკელი გულშემატკივრის წინაშე სირცხვილია ჩამოსარეცხი, ხოლო რეპუტაცია - აღსადგენიო.*

შარშან საბურავების მწარმოებელი ფრანგული კომპანია „მიშლენის" არასტაბილურობამ საჯინიბოები აიძულა უსაფრთხოების მოტივით სტარტზე გასვლისგან ხელი აეღოთ. უფრო სწორად, სტარტზე ოცივე ბოლიდი გავიდა, მაგრამ გასახურებელი წრის შემდეგ 14 მრბოლმა ბოქსებისკენ გადაუხვია. ფარსად შერაცხული რბოლა კი ყოველგვარი გართულების გარეშე „ფერარის" პილოტებმა მიხაელ შუმახერმა და რუბენს ბარიკელომ მოიგეს. „მიშლენი" კი დღემდე ბოდიშს უხდის ამერიკელებს, რომლებმაც რბოლაზე დასასწრებად ნაყიდ ბილეთში გადახდილი ფული ფაქტობრივად წყალს გაატანეს.

წლეულს მოვლენათა ასეთ განვითარებას აღარ ელოდნენ, რადგან ევროპიდან ამერიკაში წასვლამდე მრბოლებმა, პირველ რიგში კი, „მიშლენის" მომხმარებლებმა პირობა დადეს, რომ ფორმულა 1 აღიდგენდა საკუთარ რეპუტაციას. ერთი სიტყვით, წლეულს რაიმე განსაკუთრებულს არავინ ელოდა.



დიდი პრიზის დიდი ავარიის შედეგები და ინდიანაპოლისის პოლიცია.

ჩემპიონატის მეათე ეტაპი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მიხაელ შუმახერის გამარჯვებით დასრულდა, რაც მიმდინარე სეზონში გერმანელის მესამე გამარჯვებაა. სეზონის ლიდერი და ახლანდელი ჩემპიონი ფერნანდო ალონსო კი პირველად დარჩა კვარცხლბეკს მიღმა - მეხუთე ადგილი.

კვალიფიკაციაზე საუკეთესო შედეგები ფერარელებს ჰქონდათ. შუმიმ სეზონის მესამე, კარიერის 67-ე და ინდიანაპოლისის ტრასის მეოთხე პოული მოიპოვა, მისმა ბრაზილიელმა თანაგუნდელმა ფელიპე მასამ კი მეორე საფეხური დაიკავა.

„რენოს" მეპატრონე ფლავიო ბრიატორე ამერიკულ ეტაპამდე აცხადებდა, ჩემი გუნდი ინდიანაპოლისში ვერ გაიმარჯვებსო: „ჩვენ ამ რბოლას ვერ მოვიგებთ. მაქსიმალური შედეგის მიღწევას კი მაინც შევეცდებით, რათა კვარცხლბეკზე ავიდეთ. არაერთხელ მითქვამს, რომ ყველა რბოლის მოგება შეუძლებელია. წარმატებას მივაღწიეთ ცხრიდან შვიდ ეტაპზე. აქ კი, უბრალოდ, ქულები უნდა მოვიპოვოთ. ვატყობ, ინდიანაპოლისში „ფერარის" გარდა მეტოქეები არ გვეყოლება. იმედი მაქვს, ფინიშზე იტალიური საჯინიბოს ერთ-ერთ მრბოლს მაინც გავუსწრებთ".

რბოლა ავარიით დაიწყო - ერთმანეთს დაეჯახნენ მაკლარენელები ხუან პაბლო მონტოია და კიმი რაიკონენი და მათთან ერთად ნიკ ჰაიდფელდის BMW. გარკვეული დაზიანება მიიღო ჯენსონ ბატონის „ჰონდამაც". ერთი სიტყვით, 10 წრის შემდეგ სტარტზე გასული 22 ბოლიდიდან ტრასას 12 შემორჩა, მოგვიანებით კი რბოლას გამოეთიშა ჟაკ ვილნევის „ზაუბერიც".

ერთი სიტყვით, „აშშ-ის დიდი პრიზის" გამარჯვებული შუმახერი გამოვიდა. მეორე ადგილზე გასული ფელიპე მასა 13 წამით ჩამორჩა თანაგუნდელს, ხოლო ჯანკარლო ფიზიკელა - 25 წამით. მეოთხემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი ტოიოტელმა იარნო ტრულიმ, მეხუთე იყო ალონსო, მეექვსე - რუბენს ბარიკელო („ჰონდა"), მეშვიდე - დევიდ კულჰარდი („რედ ბული"), მერვე - ვიტანტონიო ლუცი („ტორო როსო").

შედეგების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, თუ განსაკუთრებული არაფერი მოხდა, 2006 წლის ჩემპიონიც ფერნანდო ალონსო გახდება. ამის თქმის საბაბს იძლევა ის, რომ ფრანგული ბოლიდები ტექნიკურად სტაბილურები არიან, რაც მათ შედეგებზეც აისახება.

ალონსო უახლოეს მდევარს მიხაელ შუმახერს საერთო ჩათვლაში 19 ქულას უგებს. სეზონის დასრულებამდე რვა ეტაპია დარჩენილი.